დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2024 წლის 16 - 22 სექტემბერი

N39 1557

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ბოდიში წამალია!




4



სია, რომელმაც შექმნა კოლექტიური სანაცეთი!

2-3

**ბიძინა ივანიშვილი:**

პირობას გაძლევთ, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი ძალიან მალე ჩატარდება, რაც აუცილებლად გახდება ჩვენი შერიგების წინაპირობა!

ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, **მოღალატე ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები.**

## გასაუქმებელი 3 რეზიდენტი



„ლიკა შარტავასნაირი შვილი ნებისმიერმა მშობელმა ინატროს!“

7

„რა უფლება გაქვთ, რომ ქიული შარტავას შვილიშვილს, ამ ანგელოზივით გოგოს, ასე ახსენებთ, თქვე გარეწრებო?“

## გაუქმებული ბაქრაძე

### ის მშენებლობაზე მუშაობდა და საკუთარი თავისაგან ჩემპიონი ააშენა!



**ქართული სპორტის ტრიუმფალური დღეები გრძელდება:** 2024 წლის 15 სექტემბერს აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის (UFC) ზემსუბუქი წონის საჩემპიონო ქამრისათვის ბრძოლაში, რომელიც ლასვეგასში გაიმართა, ქართველმა მებრძოლმა, 33 წლის **მერაბ დვალიშვილმა** ამერიკელი **შონ ო'მალი** ხუთრაუნდიან ბრძოლაში დიდი უპირატესობით დაამარცხა.

ასე და ამრიგად, შერეული საბრძოლო ხელოვნების აბსოლუტურ საბრძოლო ჩემპიონატს ერთდროულად ორი მოქმედი ქართველი ჩემპიონი ჰყავს — ზემსუბუქ წონაში **მერაბ დვალიშვილი** და ქვემსუბუქ წონაში — **ილია თოფურია,** რომელმაც საჩემპიონო ქამარი მიმდინარე წლის თებერვალში ავსტრალიელი **ალექსანდრ ვოლკანოვსკის** ძლევით მოიპოვა.

**ვულოცავთ მერაბ დვალიშვილს ბრწყინვალე გამარჯვებას და** UFC**-ის საჩემპიონო ქამრის დაუფლებას, რაც მისი ტიტანური შრომის შედეგი და მებრძოლი, გაუტეხელი ქართული სულის დამსახურებაა.** აკი, სულ რაღაც 10 წლის წინათ 23 წლის ქართველი ბიჭი — **მერაბ დვალიშვილი** ამერიკაში **მშენებლობებზე რიგით მუშად მუშაობდა,** მაგრამ არასოდეს შეუწყვეტია ოცნება, გამხდარიყო მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საბრძოლო ჩემპიონატის ტრიუმფატორი. მან ამერიკელი მეტოქის ძლევისა და საოცნებო ქამრის მოპოვების შემდეგ განაცხადა კიდეც: ***„მე ახლა უკვე ჩემპიონი ვარ, მაგრამ, ამავდროულად, ისევ ის ვარ, ვინც მშენებლობაზე მუშაობდა“.***

დიახ, ის მშენებლობაზე მუშაობდა და საკუთარი თავისაგან ჩემპიონი ააშენა!

**კიდევ ერთხელ გილოცავთ, ქართველო ჩემპიონო! შენი საყვარელი საქართველო შენით ამაყია!**



# პირველი ქოცეული

*როგორც მურმან ლებანიძე თავის ერთ ლექსში წერს — თითქოს ურო დამკრეს თავში, თითქოს პაპაჩემი ცხონდაო, სწორედ ასე დაემართა კოლექტიურ ნაცმოძრაობას „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის, გნებავთ, პირველი ქოცეულის წარდგენის შემდეგ, რადგან მმართველი პარტიის სიაში პირველ ნომრად ბიძინა ივანიშვილი წერია, ხოლო მე-7 და მე-10 ნომრები ლეგენდარული სპორტსმენები, ახლახან ჩავლილი პარიზის ოლიმპიადის ტრიუმფატორები — ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი არიან.*

პაპების ცხონებისა რა გითხრათ, მაგრამ „ქართული ოცნების“ სიის **პირველმა ოცეულმა თუ ქოცეულმა** კოლექტიური ნაცებისათვის თავში უროს ჩარტყმის ეფექტი ნამდვილად იქონია, რაზეც მათი სასოწარკვეთილი განცხადებები თუ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტები მეტყველებენ.

**„ეს არის „ქართული ოცნების“ ბოლო ჟამის სია“;**

**„ეს სია ამტკიცებს, რომ „ქართული ოცნება“ დამთავრებულია“;**

**„სიაში ბიძინა ივანიშვილის პირველი ნომრობა იმას ნიშნავს, რომ ქოცები არჩევნებს აგებენ“...**

ამგვარ განცხადებებს აკეთებენ **კოლექტიური ნაცები** და ამაზე უფრო სულელურ პოსტებს წერენ „ფეისბუქში“ **ნაცლიბერალური სექტის მიმდევრები,** რაც მათი აპათიის აშკარა გამოძახილია, რადგან კარგად აცნობიერებენ, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში **ივანიშვილის პირველი ნომრობა და იქვე მსოფლიო დონის ქართველი სპორტსმენების ყოფნა** ნაცმოძრაობისა და მისი სატელიტების კატასტროფული ფიასკოს მომასწავებელია.

აღარაფერს ვამბობთ იმ ზიზღის, სიძულვილის, შეურაცხყოფისა და ე.წ. ბულინგის კანონადაზე, რომელიც ნაცსექტას **ლაშა ტალახაძისა და გენო პეტრიაშვილის** წინააღმდეგ მედიასა და სოციალურ ქსელებში აქვს ატეხილი.

მაგალითად, ისეთი პოლიტიკური არარაობა, როგორიც **ალ კუპონედ წოდებული რომან გოცირიძე** გახლავთ, **ლაშა ტალახაძესა და გენო პეტრიაშვილს** *„ქართული ოცნების“ მახინჯ პოლიტიკურ სხეულზე აფარებულ ლეღვის ფოთლებს“* უწოდებს, რაც ძალიან სასაცილო და სამარცხვინოა, რადგან







**ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი გამარჯვებასთან, სიხარულთან და საქართველოს დიდებასთან ასოცირდებიან, რომან გოცირიძე კი პუტჩთან, კუპონთან, შევარდნაძესთან, სააკაშვილთან და საქართველოს დაქცევასთან ასოცირდება.**

## ფიქრები „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის წარდგენის ფონზე

მოკლედ რომ მოვჭრათ, **ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი ბუმბერაზი სპორტსმენები და სამშობლოს პატრიოტები არიან, ხოლო კუპონა გოცირიძე, რომელიც მათ „ლეღვის ფოთლებს“ ეძახის, შევარდნაძისა და სააკაშვილის პოლიტიკურ სხეულებზე ის ორგანოა, რომელსაც პირველყოფილი ადამიანები ლეღვის ფოთლით იფარავდნენ.**

ისე კი, ნაცსექტანტების პოლიტიკური კონვულსია, რაც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველ ოცეულსა თუ ქოცეულში ლეგენდარული სპორტსმენების ხილვის გამო დაემართათ, სრულიად ბუნებრივია და გასაკვირი არ არის, რადგან „ქართული ოცნების“ სიაში **ლაშა ტალახაძისა და გენო პეტრიაშვილის** ყოფნა წყალში ყრის მთელ იმ კამპანიასა თუ პროპაგანდას, რასაც კოლექტიური ნაცები და მათი უცხოელი პატრონები ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში განსაკუთრებული სიმძლავრითა და ინტენსივობით აწარმოებენ.

აბა, წარმოიდგინეთ, ნაცებმა და მათმა პატრონებმა რამხელა ძალისხმევა და ფინანსები დახარჯეს იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის ჩაენერგათ, **თითქოს ხელისუფლებამ რუსული კანონი მიიღო, „ქართული ოცნება“ კრემლის მარიონეტია, ივანიშვილი საქართველოს საგარეო კურსს ცვლის, ქვეყანას რუსეთისაკენ მიაქანებს და საერთაშორისო იზოლაციისათვის იმეტებს...** ამ დროს კი უცებ რა ხდება? სამგზის ოლიმპიური, შვიდგზის მსოფლიოს და შვიდგზის ევროპის ჩემპიონი, ლეგენდარული ძალოსანი **ლაშა ტალახაძე** „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველ ათეულში შედის ისევე, როგორც ლეგენდარული მოჭიდავე **გენო პეტრიაშვილი,** რომელსაც მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ორგზის ჩემპიონობასთან ერთად, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედლები აქვს მოპოვებული.

ეს ნიშნავს, რომ კოლექტიურ ნაცებსა და მათ აპეკუნებს — **კოლექტიურ კუბილიუსებს, კოლექტიურ ფოტიგებს, კოლექტიურ რიშებსა და კოლექტიურ შაჰინებს** საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციასა და მარგინალიზაციაზე სულ ტყუილად უწვალიათ, რადგან შეუძლებელია, ისეთ დიდ და მთელ მსოფლიოში დაფასებულ სპორტსმენებს, როგორებიც **ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი** არიან, ანტიდასავლური, პრორუსული და მარცხისთვის განწირული პარტიის საარჩევნო სიის წევრობა მოენდომებინათ.

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



დარწმუნებული ვართ, **ქართველი ხალხის მხარდაჭერით გაიმარჯვებს ჩვენი პოლიტიკური გუნდი,** რაც საქართველოში **მშვიდობის, ღირსების, კეთილდღეობისა და საქართველოს ნათელი, ევროპული მომავლის გამარჯვებას ნიშნავს.** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, **26 ჩვენი დღეა და 26 ოქტომბერს აუცილებლად საქართველო გაიმარჯვებს!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



შეხედეთ **სააკაშვილის** ამ კრიმინალური ბანდის წევრებს: **გვარამიას, მელიას, ხაზარაძეს,** მათ „ენჯეოებს“, ამ აგენტურას. კითხვა მინდა, დავსვა — **ვინ დაიცავს ჩვენს ქვეყანას ომისგან და ვინ დაიცავს ხალხს?**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



არანაირი **მეგობარი აქტი** არ არსებობს, **ჩვენ მეგობრობაც ვიცით და პარტნიორობაც,** მაგრამ ეს ცალმხრივი ვერ იქნება.

„რეზონანსი“

**გენო პეტრიაშვილი**
*ოლიმპიური ჩემპიონი, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მეათე ნომერი*



გულშემატკივარს ბევრი ემოცია შევძინე, **ახლაც ვეცდები, ძალიან ბევრი კარგი საქმე გავაკეთო** და შევუერთდე ამ ძალიან მაგარ გუნდს.

„პირველი არხი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **ისტორიული მარცხის** წინაშეა!

„საქართველოს რესპუბლიკა“





**ლაშა ტალახაძისა და გენო პეტრიაშვილის მსგავსი პატრიოტი, სამშობლოს, ოჯახის, ღვთისა და დედაეკლესიის ერთგული სპორტსმენების პარლამენტში ყოფნა საქართველოს ბევრად მეტ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე ათას პარტიაზე გადამხტარი, უპრინციპო, უიდეო და ყველაფრის მკადრებელი პოლიტიკოსების — კოლექტიური რომანგოცირიძისა და ჭიჭევაშაძის დეპუტატობა!**

სხვათაშორის, **ნაცებსა და ნაცმიდრეკილებს,** რომლებიც **ლაშა ტალახაძეს** „ქართული ოცნების" საპარლამენტო სიაში ყოფნისა და, ზოგადად, პოლიტიკაში ჩართვის გამო ლანძღავენ, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ **ლაშა ტალახაძისა** და საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ნაკრების დღევანდელი მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** ნაცმოძრაობის ეგიდით ორჯერ იყო პარლამენტის წევრი!

საერთოდ, იმაზე ქირქილი და ღლიცინი — სპორტსმენებს პოლიტიკასა და პარლამენტში რა ესაქმებათო, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურია, რადგან იგივე **ლაშა ტალახაძისა და გენო პეტრიაშვილის** მსგავსი პატრიოტი, სამშობლოს, ოჯახის, ღვთისა და დედაეკლესიის ერთგული სპორტსმენების პარლამენტში ყოფნა საქართველოს ბევრად მეტ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე ათას პარტიაზე გადამხტარი, უპრინციპო, უიდეო და ყველაფრის მკადრებელი პოლიტიკოსების — **კოლექტიური რომანგოცირიძისა და ჭიჭევაშაძის** დეპუტატობა.

რაც შეეხება „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში **ბიძინა ივანიშვილის** პირველ ნომრად ყოფნას, ეს სულაც არ ყოფილა მოულოდნელი იმ ფონზე, როცა მმართველი პარტია 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას გეგმავს. ყველასათვის ცხადია, რომ დღევანდელ სახელისუფლო გუნდში **მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს გააჩნია ის პოლიტიკური და საზოგადოებრივი კაპიტალი, რომელიც „ქართულ ოცნებას" საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაში უნდა დაეხმაროს!**

ამასთან, ივანიშვილის საარჩევნო სიაში ყოფნა, ანუ მისი პოლიტიკაში დაბრუნების გაოფიციალურება წერტილს დაუსვამს გაუთავებელ სპეკულაციებს „ჩრდილოვანი მმართველობის" შესახებ, რაც კოლექტიურ ნაცებსა და მათ უცხოელ პატრონებს დიდი ხანია, ხელზე აქვთ დახვეული.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში **სასიქადულო ქართველი სპორტსმენების** შეყვანა და იმავე სიის სათავეში **ბიძინა ივანიშვილის** ყოფნა, რაც 2012 წლის შემდეგ პირველად ხდება, საქართველოს მოსახლეობას კიდევ უფრო გაუადვილებს არჩევანს, რომელიც 2024 წლის 26 ოქტომბერს უნდა გააკეთოს!

**შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მარტივი არჩევანი ქართველ ამომრჩეველს 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ არ ჰქონია!**

***ჯაბა ხუბუა***





# „ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარისა და საპარლამენტო სიის პირველი ნომრის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან 2024 წლის 14 სექტემბერს გორში, წინასაარჩევნო შეხვედრაზე

## ბიძინა ივანიშვილი:

# საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინაშე ისეთი დანაშაულის ჩამდენ ძალას, რომელიც ქვეყანას დღესაც ომისკენ ექაჩება, ძალაუფლების დაბრუნების თეორიული შესაძლებლობაც კი არ უნდა ჰქონდეს!

დღესდღეობით ჩვენი ქვეყანა საგანგებო გამოწვევების წინაშე დგას. **ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ გარე დაკვეთით მოქმედ აგენტურას, რადიკალურ ოპოზიციას ქვეყნის არევის შესაძლებლობას მივცემთ და მშვიდობას ვერ შევინარჩუნებთ.** დღეს ოპოზიცია ეწოდება **ომის პარტიას,** რომელიც ქვეყნის საზიანოდ ნებისმიერ დავალებაზეა ხელის მომწერი, ხოლო მეორე მხარეს არის „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელიც ეროვნული ინტერესების დაცვასა და ქვეყნის განვითარებაზეა ორიენტირებული. ასეთ პირობებში, ჩვენს გუნდს საზოგადოების მყარი მხარდაჭერა აქვს და ჩვენ გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. თუმცა, **ჩვენი ამოცანა არა უბრალოდ გამარჯვება, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა.** ეს არ არის ჩვენი ახირება. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობა შექმნის ყველაზე მყარ გრძელვადიან გარანტიას ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი განვითარებისათვის.

•

დღეს ჩვენ გორში ვიმყოფებით, ქალაქში, რომელიც 1000 წელია, საქართველოს ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლოდ მტკიცედ დგას! ქართველების ენით აღუწერელი გმირობის კიდევ ერთი, გასაოცარი ისტორია სწორედ აქ, სოფელ შინდისთან დაიწერა, ისტორია, რომელიც გვახსენებს, თუ როგორი თავდადებით შეუძლია ქართველს საკუთარი სამშობლოს დაცვა! ეს ქალაქი და მთლიანად, შიდა ქართლი 2008 წლის ომის ქარტეხილის მომსწრეა. **დღესაც, 12 წლის შემდეგ, კვლავ აქ ვდგავარ და სამწუხაროდ, ისევ იმ გამოუსწორებელ შედეგებზე მიწევს ლაპარაკი, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ საკუთარ ქვეყანას დაატეხა თავს.** იმ ავბედითი მოვლენებიდან უკვე 16 წელი გავიდა, თუმცა, მაშინ მოყენებული ჭრილობა ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა. **თქვენ საკუთარ თავზე ყველაზე მძაფრად გამოცადეთ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა ხელისუფლების ღალატმა — ისტორიული რეგიონების ოკუპაცია, საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ათობით ათასი ადამიანი და ასობით ქართველის შეწირული სიცოცხლე — ეს ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის მემკვიდრეობაა.**

საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინაშე ისეთი დანაშაულის ჩამდენ ძალას, რომელიც ქვეყანას დღესაც ომისკენ ექაჩება, ძალაუფლების დაბრუნების თეორიული შესაძლებლობაც კი არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ ჩვენ დავიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტი მემკვიდრე პარტიები არაკონსტიტუციურად გამოცხადდება.

**ეს ადამიანები უმკაცრესად უნდა გასამართლდნენ ყველა იმ უმძიმესი დანაშაულისთვის, რომელიც მათ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩაიდინეს, განსაკუთრებით კი 2008 წელს ჩადენილი უმძიმესი ღალატისთვის.**

•

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა **გაერთიანებულ საქართველოში** ცხოვრებაა! ჩვენი ქვეყნის გარშემო მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. ამ ფონზე, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად ნიადაგი ნებისმიერ დროს შეიძლება მომწიფდეს, რისთვისაც **საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება** გახდება აუცილებელი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებასაც შეუქმნის დაბრკოლებას. **იმისათვის, რომ საქართველოს გამთლიანებას წინ ვერავინ აღუდგეს, „ქართულმა ოცნებამ" მყარი საკონსტიტუციო უმრავლესობა უნდა მოიპოვოს.**

ტერიტორიული მთლიანო-

***გაგრძელება მე-4 გვერდზე***

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



საქართველოს ბიუჯეტი და ქართველი ხალხი **ჯერ კიდევ ველით ხაზარაძისგან 600 000 დოლარის ჩარიცხვას,** რომელიც მას საერთაშორისო არბიტრაჟმა დააკისრა — **ქართველ ხალხს ეს ფული სჭირდება, ჩარიცხოს.**

„ინტერპრესნიუსი"

**ლაშა ბექაური**
*ძიუდოს ოლიმპიური ჩემპიონი*



**ვემიჯნები სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს** და ვფიქრობ, **ჩემს სამშობლოს უნდა ჰყავდეს უფრო ღირსეული, მართლმადიდებელი და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი.**

„პრაიმტაიმი"

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



საქართველოს ისტორიაში, ალბათ, **არავის გაუკეთებია იმდენი „სიკეთე" რუსეთისთვის,** რაც გაუკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ.

„იმედინიუსი"

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



როგორც არასდროს, **საქართველო ახლა არის ახლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან** და ამისთვის უნდა ვიყოთ მზად, ამიტომ **ამას სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა.**

„პირველი არხი"

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**ნაცებო, თქვენ პლაკატები დახიეთ, ჩვენ კი თქვენ დაგხევთ** 26 ოქტომბერს, პოლიტიკურად, რა თქმა უნდა.

„იმედინიუსი"

## ლიდერის სიტყვა



# „ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარისა და საპარლამენტო სიის პირველი ნომრის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან 2024 წლის 14 სექტემბერს გორში, წინასაარჩევნო შეხვედრაზე

## ბიძინა ივანიშვილი:

# საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ ჩვენ დავიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტი მემკვიდრე პარტიები არაკონსტიტუციურად გამოცხადდება!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ბის აღდგენის საკითხს ჩემს წინა გამოსვლებშიც არაერთხელ შევეხე, თუმცა, მთავარი სათქმელი სწორედ დღევანდელი დღისთვის შემოვინახე. ცხადია, ჩვენი მიზანი მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება არ არის. მეტიც, არცერთ გოჯ მიწას არავითარი ფასი არა აქვს იქ მცხოვრები ადამიანების გარეშე. **ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ჩვენი ოსი დებისა და ძმების დაბრუნებაა. მთავარი იდეა იმ ურთიერთობების აღდგენაა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ადუღაბებდა საქართველოს მთლიანობას.**

•

დღეს უკვე ხმამაღლა, ყოველგვარი მორიდების გარეშე ვსაუბრობთ ომის გამჩაღებელ ნაციონალურ მოძრაობაზე, რამეთუ ხელთ გვაქვს მათ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის უამრავი მტკიცებულება. **ჩვენ კარგად გავაცნობიერეთ, რომ ეს ყველაფერი იყო გარედან კარგად დაგეგმილი პროვოკაცია ქართველი და ოსი ხალხის წინააღმდეგ, რომლის მიზანი ჩვენი ერთიანობის გახლეჩა, ურთიერთობების განადგურება და დაუსრულებელი, ხელოვნური დაპირისპირების პირობებში არსებობა იყო.** არსებობა და არა თანაცხოვრება, რადგან ჩვენი ქვეყნის მტრებმა მიზნად სწორედ ამ მოცემულობის შექმნა დაისახეს, რაც, სამწუხაროდ, წარმატებით შეასრულა **პასპორტით ქართველმა, საზრისით და სულით კი უსამშობლო აგენტურამ.**

•

დღეს ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არ ყოფილა არც ქართველი და არც ოსი ხალხის სურვილი. ამიტომ, **როდესაც ძმათა შორის სისხლიანი კონფლიქტის დამკვეთებს ვამხელთ, ხოლო შემსრულებლებს ამ უმძიმეს დანაშაულზე სამართლებრივად ვაგებინებთ პასუხს, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ურთიერთობების აღდგენის საკითხი.** პირობას გაძლევთ, რომ **ქართული ნიურნბერგის პროცესი** ძალიან მალე ჩატარდება, რაც აუცილებლად გახდება ჩვენი შერიგების წინაპირობა.

•

ქართველების ერთ-ერთი ღირსება ყოველთვის იყო რეალობისთვის თვალის გასწორების უნარი, როგორი მწარეც არ უნდა ყოფილიყო ის. საქართველოში 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობის ფონზე, კიდევ უფრო ღრმად მწამს, რომ **სწორედ საკუთარი შეცდომების აღიარება, ქართველებსა და ოსებს შორის საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის გახსენება იქნება იმ გზის დასაწყისი, რომელიც გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს ნდობის აღდგენის სურვილს გაუჩენს.**

26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, **როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ** იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, **მოღალატე ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები.** და რადგან ჩვენი, ქართველებისა და ოსების ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ შენდობაა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მტრების მიერ ჩვენი ხალხებისათვის თავსმოხვეული ძმათამკვლელი დაპირისპირება სწორედ რომ ისტორიული ურთიერთპატიებით და გულწრფელი შერიგებით დასრულდება.

**საქართველოს გულში მცხოვრებო ჩემო თანამოქალაქეებო, 26 ოქტომბერს კიდევ ერთხელ უნდა მოვიხადოთ ვალი ჩვენი სამშობლოს წინაშე, აუცილებლად უნდა მივიდეთ არჩევნებზე და მკაფიოდ დავაფიქსიროთ, რომ ჩვენი მიზანი არა წარსულში დაბრუნება, უსიტყვო მორჩილება და ომი, არამედ მომავლის შენება და განვითარებაა!**

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი დაწყებული გზა ოს ხალხთან შერიგებით გავაგრძელოთ და ყველა ერთად გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრები — მხოლოდ მშვიდობითა და კეთილდღეობით.

**გაუმარჯოს ქართლელებს! გაუმარჯოს ჩვენს ოს დებსა და ძმებს! გაუმარჯოს ერთიან საქართველოს!**

## მთელი ხმით!



*— თქვენს გაზეთში დაბეჭდილ წინა წერილში „სხვა დროთა" ჩამოდგომაზე ვსაუბრობდი. ახლაც თქვენმა სატელეფონო ზარმა ავადსახსენებელი დრო გამახსენა, —* ***აცხადებს მწერალი, ეთნოკულტურათა მკვლევარი საქართველოში კობა არაბული და დასძენს:***

## კობა არაბული:

# ქართული «ნიურნბერგის პროცესი» სჭირდება ერსა და სახელმწიფოს!

— არჩევნების წინ, ალბათ, შემთხვევით არ გამახსენდა ის დრო, როდესაც სააკაშვილის ცენტურიონებმა ქვეყანას ჩამოუარეს და ააოხრეს. ახლა რომ გაჰყვირიან, ხალხი აყრილი და წასულიაო, ვინ და როდის აჰყარა ერი საკუთარი მიწიდან? მე მახსოვს სოფლის მეურნეობა და ქართული მიწა უსარგებლოდ რომ გამოაცხადეს და ამ ისტორიულ სამოთხეში ვაზიც კი გაჩეხეს. სოფლები ჯალალედინის ნადგომს ჰგავდა. **ცისკარიშვილი** ახლა მეორე მოსვლით რომ გვემუქრება და ბღუის, მაშინ კახეთში ჩავიდა და მეღვინეებს ღვინოები დაუქცია. ისიც მახსოვს, **კუზდარად წოდებულმა ბარამიძემ** სვანებს რაკეტები რომ დაუშინა და ამოხოცა, ვიღაცას ჭაშნაგირივით თითიც მიაჭრა. არადა, ახლა **ეს ბარამიძეც** ტარაბუასავით ბჟუის და ხელისუფლებაში მოსვლით იმუქრება!

როგორც ჩანს, აღარ ახსოვთ და მე შევახსენებ მათაც და ახალ თაობასაც — ქვეყანაში **„წითელი მგელი"** შემოიყვანეს ექსპერიმენტებისთვის და ერთიანად გააჟლეტინეს შინაური თუ გარეული ცხოველები. მგლები

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



ხავსად ქცეული მაშველი რგოლები მოსდით უცხოეთიდან, თორემ **აბსოლუტურად ნულები არიან,** როგორც ხშირად თავადაც წამოსცდებათ ხოლმე. **აბსოლუტურად ნულია ქართული ოპოზიცია,** იმიტომ რომ, აგენტი არ შეიძლება რაღაც რეიტინგს ფლობდეს.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის" გენერალური მდივანი*



**ყველაფრის მკადრებლების დრო უნდა დასრულდეს და მათი განაჩენიც უნდა დადგეს.** გარდა იმისა, რომ 26 ოქტომბერს საზოგადოება მათ **პოლიტიკურ განაჩენს** გამოუტანს, „ქართული ოცნება", რომელიც, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობაში მოვა, მათ **სამართლებრივ განაჩენსაც დაახვედრებს აუცილებლად.**

„იმედინიუსი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველოში თუ რამე გაკეთებულა **ევროკავშირთან დაახლოებისთვის,** ყველაფერი „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ განხორციელდა.

„იმედინიუსი"

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



რაც დროს გადის, მეტად იკვეთება **კეზერაშვილის კრიმინალური მასშტაბები ქოლცენტრების საქმეში,** უცნაურია, რატომ აქვს მას ევროკავშირის ქვეყნებში გადაადგილების შესაძლებლობა.

„პირველი არხი"

**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*



**არ გაგვიხსნიან** მოლაპარაკებებს წელს? — **გაგვიხსნიან** მომავალ წელს! — დამერწმუნეთ, ევროკავშირში **ეკონომიკურად დანგრეული ქვეყანა** არავის უნდა.

„ინტერპრესნიუსი"

სოფლებში შედიოდნენ და ადამიანებს ჭამდნენ. როცა გლეხებმა შინაური ცხოველები მოამრავლეს, ღორისა და ფრინველის ჭირი შემოაგდეს. ხეობები დახოცილი ღორებით იყო ჩახერგილი.

იმ პერიოდში შირაქში ჩავედი ადრე ჩასახლებული მთიელების სანახავად. კახეთის ველები გავიარე და არცერთი მტკაველი მიწა მოხნული არ იყო. თითქოს შაჰ-აბასი სისხლიან კალოს ახლა ლეწავდა. სხვათაშორის, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩემს თემში ჩასულმა მთაზე **ივანიშვილის** გაგზავნილი ტრაქტორი შევნიშნე, საკარტოფილე ყანებს ხნავდა.

დალის ხეობიდან მამულის მცველი **ემზარ კვიციანი** განდევნეს, მისი **და** ციხეში ჩაამწყვდიეს. მონადირეთა რაზმებს იარაღი აჰყარეს და ხეობაში მტერი შეუშვეს. ეს სტრატეგიული სივრცე უომრად დაკარგეს. ქუჩებში და მორგებში ჩახოცილი ხალხიც მახსოვს. ეს დრო თითქოს ახლა იყო, გუშინ, გუშინწინ.

**სამწუხაროდ, გვიან წამოზრდილმა თაობამ არ იცის, რა ჩაიდინეს ნაციონალმა ავაზაკებმა, საკუთარი ერისა და ქვეყნის მტრებმა, დღეს ახალი აპოკალიფსის მოვლინება რომ განუზრახავთ ერისთვის!**

**— არ იციან, რადგან ბევრი მათგანი არ დასჯილა და არჩევნებში გამარჯვებისათვის იბრძვის!**

— მართლაც დაიგვიანა მათთვის სასჯელმა, უფლისა და ერის განაჩენმა, მაგრამ ეს დრო მაინც უნდა დადგეს. სამართალი ურმით მოვა, დროგით თუ კერძო ვირით, უნდა მოვიდეს იქ, სადაც მოსასვლელია!

**„ქართული ნიურნბერგის" პროცესი სჭირდება ერსა და სახელმწიფოს!** სამართლის შიში და რეჟიმი ეხმარება ადამიანს ადამიანად ყოფნაში. სხვანაირად იგი ნეანდერტალელად იქცევა და ქუჩებში დედიშობილა დაიწყებს სიარულს.

უნდა დაისაჯონ თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანას დღესაც არ აძლევენ გაერთიანებისა და განვითარების საშუალებას. უცხოელი ბარბაროსების ხელისბიჭები და გოგოები, ციხის შიგნიდან გამტეხი ყორღანაშვილები, **ანუ ბარამიძე-ბოკერიები, ჭიაბერაშვილ-გოცირიძეები, ხაზარაძე-გვარამიები** და დიაცთა მავნებლური კასტა, ენების ქნევითა და ტარტალით შლიან ქვეყანას! ისინი იმ ოკეანისგაღმელი თუ გამოღმელი თაღლითების დაკვეთას ასრულებენ, საქართველოს ხელისუფლებას ურცხვად რომ ეძახიან **თაღლითებს** ეს ეშმაკზე ადრე დაბადებულები!

ისტორიულად ქართველ ერს არაერთხელ ჰქონდა ასეთი დროება — ღალატისა და გათიშულობის. მაგალითად, **ბაზალეთის სინდრომი** — გათიშულობის უმძიმესი ჟამი! დღევანდელი დრო შეიძლება მოინათლოს, როგორც **მავნებელი პრეზიდენტი ქალის სინდრომი,** რომელიც დაუსჯელად მოქმედებს ქვეყნის, ერისა და სახელმწიფოს შიგნიდან გასატეხად. ეს ქალი არის **შავი ტყირპი** ერის ზნეობრივ სარკეზე, იშვიათი გამონაკლისი იმ გენიალურ ისტორიულ ქართველ ქალთა შორის, რომელნიც ქვეყანას ეწირებოდნენ და შვილებსაც სწირავდნენ. **ზურაბიშვილისნაირი ქალის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას. ეს არის მაგალითი, როგორი არ უნდა იყოს ქართველი ქალი და, მითუმეტეს, საქართველოს პრეზიდენტი!** სამწუხაროდ, არ არსებობს სასჯელი ასეთი დანაშაულისთვის, არადა, უნდა იყოს!

სწორედ ნაციონალები და მათი მცველი კაცობრიული კოშმარის „ბოსები" გვიყენებენ უდროო დროს, რომელიც მიუღებელი და დამღუპველია ქართველი ერისათვის, თუმცა, დღეს ერი და სახელმწიფო დროის სხვა ფაზაში შედის და, ვფიქრობ, ხელისუფლება აუწყობს ფეხს!

**— რას არ აკეთებს და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ახალ დროებას აუწყოს ფეხი?**

— ძნელი და რთული გასაგები აღმოჩნდა ზოგი რამ ხელისუფლებისთვისაც, რასაც ჩვენ, მწერლები, აკადემიელები, „ასავალ-დასავალისა" და „საერთო გაზეთის" ხშირი რესპონდენტები უკვე წლებია, ვამბობთ. ახლაც დაჟინებით გავიმეორებ იმავეს.

თავის დროზე გენიალურმა არქიმედემ თქვა: მაპოვნინეთ საყრდენი წერტილი და შევძლებ დედამიწის გადატრიალებასო. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის საყრდენი იდეის პოვნა — ისტორიული მოდიფიცირებული პროპორცია პოლიტიკურ სივრცეში. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება არც ეძებს საყრდენ წერტილს, რომელიც იქნება ერის ინტელექტუალური მწიგნობრულ-ფილოსოფიური საკრალური ცოდნის ცენტრი, რის ირგვლივაც იმოძრავებს სახელმწიფო, როგორც დედამიწა მზის სისტემაში.

**სახელმწიფო იმ სამწერლობო, აკადემიურ-სამეცნიერო ინტელექტუალური ცოდნის აპოკალიფსურ ნანგრევებში ჩარჩა, რომელშიც სააკაშვილმა და მისმა მომავლინებელმა მასონებმა ჩააყოლეს.**




## „სამართალი ურმით მოვა, დროგით თუ კერძო ვირით, უნდა მოვიდეს იქ, სადაც მოსასვლელია!"

ჩვენ აღარ გვაქვს მწიგნობრული აზროვნების პირამიდა, როგორც ეს იყო დიად მეფეთა ზეობის დროს დიდებული აკადემიების სახით. **ჩვენ „ვეფხისა და მოყმის" ლექსი გავცვალეთ ბორდელებსა და ძაღლების აკადემიებზე.**

როგორ გგონიათ, რამ შექმნა ის ვითარება, რომელმაც ვაჟას ათქმევინა — „რა საამური დრო დგება, რა საამური წამია" და რასაც მტერზე იერიშის „ღვთაებრივი" მისტერია მოჰყვა?!

**— თქვენი პასუხი როგორია?**

— სულიერი სინერგიის შეკრებამ, კონცენტრაციამ და ერთიანობის განცდამ, წინაპართა სულთა ენერგიების გამოხმობამ და მხარდაჭერამ!

რამ გამოიწვია ლაშარის გორზე შემდგარი ლაშქრის შინაგანი ეთნოგენური ვულკანური ენერგიის ამოფრქვევა და აღტყინებული მეტაფორული განცდის შექმნა? **ასეთ ვითარებას და წამს ქმნის ერის ცნობიერების განახლება, მწიგნობართა, ხევისბერთა და წინასწარმეტყველთა ემოციური ზეგავლენა და ერის მრისხანება ძალადობის მიმართ.**

**რამ მოაგებინა აღმაშენებელს დიდგორის ომი? არა ოდენ მახვილმა და სამხედრო ხელოვნებამ, არამედ მწიგნობართ-უხუცესმა ჭყონდიდელმა და წიგნმა, რომელიც ბრძოლის დროსაც კი სარტყელსა შიგან ჰქონდა შეკიდული და ცხენზე მჯდომარე კითხულობდა.**

„ჩოგანის ხელმარჯვედ ცემა", „ნარდის მღერა", მოედანზე მობურთალის „დიდი რბევა" რუსთაველის დროსაც იყო, უფრო უწინარეს დროშიც. ბერძენმა მოქანდაკე ბირონმა ბადროს მტყორცნელი ჭაბუკის ბრწყინვალე ფიგურა გამოაქანდაკა, ბურდელმა მშვილდოსანი ჰერაკლეს ფანტასტიკური ქანდაკება გამოკვეთა, მაგრამ რომ არა ჰომეროსი, რომ არა ბაბილონის გოდოლის ამგები ფინიკიელი არქიტექტორი, რომ არა სოკრატე და პლატონი, რომ არა ბიბლია და ეკლესიასტე, არაფერი ეცოდინებოდა და ეხსომებოდა კაცობრიობას. **რომ არა ფარნავაზის მწიგნობრობა, არ გვექნებოდა ერთიანი სახელმწიფო, რომ არა რუსთაველი, არ გვექნებოდა შუა საუკუნეები და შემდგომი დრო.**

**— სპორტი ვერ ასრულებს ერის გამაერთიანებლის ფუნქციას?**

— **კარგია ტაშ-ფანდურობა და ბურთაობა, კიკბოქსინგი მით უფრო, მაგრამ ყველაზე მაღალი თამასა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და ილია ჭავჭავაძეა!** ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ამ თამასის დაძლევასა და დაფინანსებაზე. კულტურა და მწერლობა იცავს ერს ისტორიულ წარღვნებში, როგორც მეხამრიდი. უმწერლობო ქვეყანა მკვდარი „ფენომენია", რომელიც ვერ პასუხობს გლობალური ცივილიზაციის შეკითხვებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აცდენილი ვართ ამ ტიპის იდუმალ სულიერ სიმაღლეებს.

„ქართული ოცნების" პარტიული სიით პირველი შვიდეული შესანიშნავია. მართლაც გამოხატავს ქართველი ერის ინტერესს. არ არის ურიგო მთლიანი ოცეულიც, მაგრამ არსებობს ერთი მუდმივი **„მაგრამ".**

**„ოცნების" სიაში არ ჩანს მწერალი-მწიგნობარი, ფილოსოფოსი-ეზოთერიკოსი, რომელიც შექმნის ეროვნული დაცვის იდეოლოგიას, ეთნოფსიქოლოგიურ მოდელს, არ ჩანს ხევისბერის ტიპის მოღვაწე, თემის კითხული კაცი!**

პრემიერ **ირაკლი კობახიძის** მიერ გამოცხადებული გრანტი არასამთავრობოებისთვის უეჭველად უნდა ერგოს მწერალთა ეროვნულ აკადემიასაც, რომელიც ერის ზნეობრივი სივრცის აღდგენისთვის, ტრადიციების და ეთნოკულტურის დაცვისთვის, მასმედიის და ტელევიზიების მაზომბირებელი აურის არიდებისთვის, მწერლისთვის ღირსეული შემოქმედებითი გარემოს შექმნისთვის იმუშავებს და ხელს შეუწყობს საგანმანათლებო სივრცის გაჯანსაღებას.

ამ ნაბიჯებს რომ გადადგამს ხელისუფლება, იმედს მაძლევს ის, რომ თავზე გვადგას ბრწყინვალე სამების ტაძარი, 21-ე საუკუნის სვეტიცხოველი და გვყავს მისი გენიალური მშენებელი, რომლის ბადალიც არასოდეს ჰყოლია ქართველ ერს! სამწუხაროდ, ქართველთა უმადურობის სინდრომი უსაზღვროა. „რატომ კარგი აგიგიას" შური და ეგოიზმი გადმოდუღს ჩვენს ერში. ერთმა ნაციონალმა ისიც მითხრა, მაგ ტაძრის არსებობა არ ვიციო. წარმოგიდგენიათ, სადამდე მივედით?!

კიდევ ერთხელ ვამბობ, **აუცილებლად უნდა მოქმედებდეს სახელმწიფო სამართალი, საადათო სათემო რჯულის კანონები, ისტორიული მორალი ერის ზნეობრივი სივრცის გასაფილტრად.** არ უნდა გტკიოდეს „რჯულის მოჭრილი ხელი"! **არ შეიძლება, ცისკარიშვილები, ბარამიძეები, ჭიაბერაშვილები, გვარამია-ხაზარაძის ტიპის უტიფრები და თავხედები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ! არ შეიძლება სააკაშვილის აუზებიდან ამოყვანილი ღლავების, ფატმან-ხათუნებისა და უნიტაზის მწერლების „მუსიკა" ისმოდეს საქართველოში!**

**— როგორც „ქართული ოცნების" ლიდერები ამბობენ, ამიტომაც სურთ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება!**

— ფაშისტ-ლიბერასტი ჯალათების გასასამართლებლად საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება, ვფიქრობ, სულაც არ არის აუცილებელი. რატომ არ შეიძლება მანამდე სარჩელის შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში მათ ურიცხვ დანაშაულთა განსასჯელად?! რა უშლის ხელს ამ პროცესის დაწყებას?! პირადად მე არაერთი წერილი მაქვს ამის თაობაზე დაბეჭდილი. **2014 წლიდან ვითხოვდით მწერლობა მათ დასჯას, მათ შორის, „ასავალ-დასავალის" ფურცლებზე!** ახლა მაინც ვიმოქმედოთ დროულად და ეს პროცესი ერის ზნეობრივი და სამართლებრივი ხსნის და გადარჩენის პროცესად ვაქციოთ!

დაშლილი სინერგიით მტერს ვერ დაამარცხებ, ამიტომ უნდა გავერთიანდეთ მტრის ჯინაზე, **„ქართულ ოცნებას" მივცეთ კიდევ ერთი შანსი იმისა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს და პოლიტიკურად სამუდამოდ დაადუმოს ჭილყვავები, რომლებიც ქვეყნის მომავალს აყენებენ საფრთხის წინაშე!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები



**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*

საქართველომ **რა კანონი უნდა მიიღოს და რა არ უნდა მიიღოს,** უპირველესად, **ხალხის გადასაწყვეტია.**

„პირველი არხი"



**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*

რადიკალებისთვის მნიშვნელოვანია არა **26 ოქტომბრის** არჩევნები, არამედ ისინი ემზადებიან **27 ოქტომბრიდან** დესტაბილიზაციისთვის.

„ინტერპრესნიუსი"



**კორნელი კაკაჩია**
*ანალიტიკოსი*

საქართველოს ხელისუფლება **ჰარისის გამარჯვების იდეით** დიდად მოხიბლული არაა, რადგან იციან, რომ **დემოკრატიის კრიტიკულ საკითხებს წინ წამოწევს, განსხვავებით ტრამპისგან.**

„რეზონანსი"



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის" ლიდერი, პარლამენტარი*

**გახარია** დღემდე ელოდება, **როდის დაუძახებს ბიძინა,** მაგრამ მიშასგან განსხვავებით, **ის არ იბრუნებს მოღალატეებს.**

„TV პირველი"



**ბექა ლილუაშვილი**
*პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოსთვის" წევრი*

**ვის უნდა უნდოდეს დანგრეული საქართველო ევროკავშირში?!** — იდიოტურია პროპაგანდა იმის თაობაზე, რომ **ევროკავშირს დანგრეული საქართველო სჭირდება!**

„ინტერპრესნიუსი"



**ნიკა გვარამია**
*„კოალიცია ცვლილებისთვის" ერთ-ერთი ლიდერი*

**სულ რომ შუაზე გასკდეს „ქართული ოცნება",** რა შეთავაზებებიც არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებისთვის, **ის ხელისუფლებას მაინც დატოვებს 26 ოქტომბერს.**

„ინტერპრესნიუსი"

***2015 წლის 28 მარტს, შუადღისას, თბილისში, საკუთარი სახლის სადარბაზოში, „მაკაროვის“ მაყუჩიანი პისტოლეტიდან სამი გასროლით მოკლეს ბიზნესმენი ბესო ხარძიანი, რომლის მეუღლემაც საკუთარი თვალით იხილა, როგორ შეჭყვა მას სადარბაზოში მოპედის ჩაფხუტიანი მძღოლი, რომელიც სინამდვილეში დაქირავებული ქილერი აღმოჩნდა.*** *სასტიკი მკვლელობის შეკვეთა თავიდანვე დაუკავშირდა კუს ტბის წილებს და სააკაშვილის კვაზიფაშისტური რეჟიმის ცნობილ წარმომადგენელს* ***გია უდესიანს,*** *რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ საქართველოდან გაქცეულია.* ***წინა კვირას ქართველმა სამართალდამცავებმა თურქეთიდან ჩამოიყვანეს ინტერპოლის მიერ „წითელი ცირკულარით“ ძებნილი აზერბაიჯანის მოქალაქე ფარიდ გურბანოვი, რომელსაც დაპატიმრების მომენტში ვინაობა შეცვლილი ჰქონდა და ემილ ალიევის სახელით იმალებოდა. მასთან ერთად ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში მონაწილეობდა ოლეგ დოევიც, რომელსაც 19-წლიანი ციხე ემუქრება! ბესიკ ხარძიანის ქალიშვილი ქეთი ხარძიანი სამართალდამცავებს მადლობას უხდის და იმედოვნებს, რომ ეს საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი და მამის მკვლელობის დამკვეთებსაც მალე ჩამოიყვანენ:***



ქეთი ხარძიანი მამასთან – ბესო ხარძიანთან ერთად

# ქეთი ხარძიანი:

# მამაჩემის მკვლელი მკვლელობამდე ერთი დღით ადრე ნანახი მყავს, მე ის ამოვიცანი!

— პირველი დღიდან მოყოლებული, სულ ვამბობ, რომ მამაჩემის შეკვეთილი მკვლელობის უკან **გია უდესიანი** და **რეზო ქურასბედიანი** დგანან! ამ უკანასკნელს, მგონი, სხვა სახელსაც ეძახიან, მაგრამ ოფიციალურად სწორედ ასე ჰქვია.

**— გია უდესიანი გასაგებია, ვინც არის, მაგრამ რეზო ქურასბედიანი რას წარმოადგენს და დღეს სად ცხოვრობს?**

— როგორც ვიცი, **ქურასბედიანი** უკრაინაში მოღვაწე ბიზნესმენია და კუს ტბის წილების ყიდვისას **უდესიანის** პარტნიორი იყო. აქედან გამომდინარე, კუს ტბის წილების ინტერესი მასაც ჰქონდა.

**— თქვენმა ოჯახმა კუს ტბის წილების მიმართ თავისი შელახული ინტერესი აღიდგინა?**

— დიახ, ეს ინტერესები აღდგენილია! რაც წართმეული იყო, დავიბრუნეთ, დანარჩენი წილები მათ ისედაც ჰქონდათ.

**— როგორც ცნობილია, აქამდე უდესიანი ჩეხეთს აფარებდა თავს, დღეს სად იმყოფება?**

— **გია უდესიანი** ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაშია, რადგან, ჩემი ინფორმაციით, ევროპაში „პოლიტიკური დევნილის“ სტატუსი აქვს მიღებული.

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ხელდასხმის გარეშე, მამათქვენის მკვლელობას უდესიანი და მისი თანამზრახველები შეუკვეთდნენ?**

— მოგეხსენებათ, მამაჩემი 2015 წლის 28 მარტს მოკლეს, როცა სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ იყო. შესაბამისად, იყო თუ არა მამაჩემის მკვლელობაში უშუალოდ ჩართული, არ ვიცი, მაგრამ, რაც მანამდე მოხდა, ყველაფერი სააკაშვილის რეჟიმს უკავშირდება. მოგეხსენებათ, მამაჩემი 2011 წლის 16 თებერვალს სოდ-ის თანამშრომლებმა ვარაზისხევში გააჩერეს, ძალის გამოყენებით პირში ნარკოტიკები ჩააყარეს და შემდეგ წყალი მიაყოლებინეს, რათა ეს ნივთიერება რეაქციაში შესულიყო. ამ ოპერაციას მარტო **გია უდესიანი** ვერ დაგეგმავდა, მას აუცილებლად დასჭირდებოდა შინაგან საქმეთა მინისტრისა და მთავარი პროკურორის ნებართვა. მოკლედ, თუ ოპერაციაში შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავარი პროკურორი — **მერაბიშვილი და ადეიშვილი** იქნებოდნენ ჩართული, თავად განსაჯეთ, ექნებოდა თუ არა ინფორმაცია მომხდარის შესახებ სააკაშვილს? შესაძლოა, სააკაშვილს რაცია არ სჭერია ხელში და მამაჩემის დაკავების შესახებ ბრძანება არ გაუცია, მაგრამ წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ეს ბინძური სპეცოპერაცია მასთან არ შეეთანხმებინათ!

დაკავებამდე მამაჩემს კაბინეტში ფარულად მოსასმენი აპარატურა დაუყენეს, რომელიც მისი დაპატიმრების შემდეგ ამოიღეს. მამაჩემს სააკაშვილის მიმართ არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება და, ეტყობა, ამიტომაც უსმენდნენ. მაშინ ისეთი სიტუაცია იყო და სააკაშვილს იმდენი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მარტო მამაჩემი კი არა, მთელი საქართველო მაგას აგინებდა.

**— ძალიან მეუხერხულება, მაგრამ თქვენი ძმა, როგორც ცნობილია, მამათქვენის მკვლელობის სხვა ვერსიაზე საუბრობდა...**

— კი, **მიხეილ ხარძიანი** სხვა ვერსიაზე საუბრობდა და საუბრობს, რადგან **გია უდესიანთან** ძალიან ახლო და კარგი ურთიერთობა აქვს! ამ თემაზე მეტ კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან მას და მის დედასაც თავისი ცხოვრება აქვთ. ისინი **გია უდესიანთან** დადიან და მასთან კომუნიკაციას არც მალავენ. **მიხეილ ხარძიანი** საკუთარი მამის — **ბესო ხარძიანის** წამებაში ბრალდებული **გია უდესიანის** მოწმე იყო და ამაზე ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ!

**— თქვენმა ძმამ მიხეილ ხარძიანმა უდესიანი მამათქვენის მკვლელობის შემდეგ გაიცნო თუ მანამდეც ჰქონდათ ურთიერთობა?**

— არ ვიცი, მგონი, მამაჩემის გარეშე **მიხეილ ხარძიანს** გია უდესიანთან პირადი ურთიერთობა არ ჰქონია, ხოლო მამაჩემის მკვლელობის შემდეგ, როგორც თავად აღნიშნა, დედამისთან ერთად პირადად ეახლა **გია უდესიანს** ევროპაში და საკუთარი მამის წამებაში ბრალდებული დიდი პატივით ინახულა. მაპატიეთ, მაგრამ ამ თემაზე მეტ კომენტარს არ გავაკეთებ! **გია უდესიანმა** და მისმა ბანდამ მამაჩემი აწამეს და სწორედ ამ წამების საფუძველზე დაათმობინეს კუს ტბის წილები! გლდანის ციხეში **ალექსანდრე მუხაძეს** და რეჟიმის უფროსს სწორედ **უდესიანმა** შეუკვეთა მამაჩემის წამება. ამას მამაჩემი ამბობდა ყველგან, სანამ მოკლავდნენ. გარდა ამისა, რვა წელია, პირველი ინსტანციის სასამართლოში **გია უდესიანის** წინააღმდეგ მამაჩემის წამების გამო სისხლის სამართლის საქმე გრძელდება!

**— რა იცით თურქეთიდან ექსტრადირებული ფარიდ გურბანოვის შესახებ?**

— **გურბანოვი** ჩვეულებრივი დაქირავებული ქილერია, რომელმაც მამაჩემის მკვლელობის სანაცვლოდ თანხა აიღო! მეტი მის შესახებ არაფერი ვიცი. არავითარი ნაცნობობა და შეხება მას მამაჩემთან არ ჰქონია.

**— როგორ ფიქრობთ, ფარიდ გურბანოვი გია უდესიანთან კავშირშია?**

— ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. **გია უდესიანი** მას უშუალოდ იცნობდა თუ შუამავლის საშუალებით დაეკონტაქტა და ასე შეუკვეთა მამაჩემის მკვლელობა, ეს უკვე გამოძიების გასარკვევია. მამაჩემის მკვლელობის საქმეზე მე დაკითხული ვარ და ეს პიროვნება — **ფარიდ გურბანოვი** ამოცნობილი მყავს!

**„მიხეილ ხარძიანი საკუთარი მამის – ბესო ხარძიანის წამებაში ბრალდებული გია უდესიანის მოწმე იყო და ამაზე ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ!“**



გია უდესიანი

**— თქვენ მკვლელი ნახეთ?**

— დიახ, მამაჩემის მკვლელობამდე ერთი დღით ადრე მკვლელი ნანახი მყავს. მე ის ამოვიცანი! გამორიცხული არ არის, გამოძიებამ ისევ დამიძახოს და მკვლელი კიდევ ერთხელ ამომაცნობინოს!

**— მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მამა მოგიკლეს, თქვენსა და თქვენს ოჯახზე გია უდესიანის ან მისი საახლობლოს მხრიდან ზეწოლა ან მუქარა ხომ არ ყოფილა?**

— **გია უდესიანის** მთელი სანათესაო დაბლოკილი მყავს. ასე რომ, ასეთი რამ არ ყოფილა! ისე, სასამართლოში თავიდან ძალიან აგრესიულად იქცეოდნენ, მაგრამ მერე, ეტყობა, მიეჩვივნენ...

**— იმედი გაქვთ, რომ ქილერი მამათქვენის მკვლელობის შემკვეთს დაასახელებს?**

— ქილერის ციხეში ყოფნა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მთავარი მაინც შემკვეთებზე გასვლაა! ნებისმიერ შემთხვევაში, მადლობა ქართველ სამართალდამცავებს, რომ ცხრაწლიანი შრომის შედეგად ქილერი დააპატიმრეს! **იმედი მაქვს, ეს საქმე ბოლომდე მივა და მამაჩემის მკვლელობის დამკვეთსაც ჩამოიყვანენ!**



**„მადლობა ქართველ სამართალდამცავებს, რომ ცხრაწლიანი შრომის შედეგად ქილერი დააპატიმრეს!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*ჟურნალისტი*
***მაყვალა ბერიანიძე***

***„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის ოცეულში წარმოდგენილი ცნობილი სპორტსმენებისა და, განსაკუთრებით, ჟიული შარტავას შვილიშვილის — ლიკა შარტავას წინააღმდეგ აგორებულ ლანძღვა-გინების კორიანტელს გმობს და ყველას აფრთხილებს, რომ წითელ ხაზებს ნუ გადააკვეთინებენ:***



# „ლიკა შარტავას-ნაირი შვილი ნებისმიერმა მშობელმა ინატროს!“



## *მაყვალა ბერიანიძე:*

# 31 წელია, ჟიული შარტავას საფლავზე არ ყოფილხართ და რა უფლება გაქვთ, მის შვილიშვილს, ამ ანგელოზივით გოგოს, ასე რომ ახსენებთ, თქვე გარეწრებო?

— „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო სიის ოცეული რომ წარადგინა და პირველ ნომრად **ბიძინა ივანიშვილი** დაასახელა, ბევრისთვის ეს შოკი იყო. მავანმა შოკი იმის გამოც მიიღო, რომ სიის მეოცე ნომრად ულამაზესი და უკეთილშობილესი ლიკა შარტავა გამოაცხადეს, რომელიც **ჟიული შარტავას** შვილიშვილი და **ირაკლი შარტავას** ქალიშვილია. ჟიული სულ რაღაც ორი თვის დახვრეტილი იყო, როცა მის ოჯახში ბაბუის მოსახელე შვილიშვილი, პატარა ჟიული შარტავა დაიბადა. სწორედ მისი და გახლავთ **ლიკა შარტავა,** რომელსაც დღეს არაერთი მოღალატე და ნაბუშარი ატერორებს.

აქვე იმაზეც მინდა, ვისაუბრო, როგორ ლანძღავენ ეს არაადამიანები „ქართული ოცნების“ საარჩევნო ოცეულის კანდიდატებს — **ლაშა ტალახაძესა და გენო პეტრიაშვილს.** ლაშა ტალახაძეს სუსტი ფსიქიკა რომ ჰქონდეს, 8-მილიარდიან მსოფლიოში უძლიერესი მამაკაცი არ იქნებოდა. გავიხსენოთ, **ნონა გაფრინდაშვილს** რას არ უშვრებოდნენ და რას არ კადრულობდნენ მისი მოწინააღმდეგენი, რათა ფსიქიკა მოეშალათ და ამ გზით დაემარცხებინათ, მაგრამ ნონა დარჩა მწვერვალად. ასე რომ, **ზაზა ბიბილაშვილია** თუ ვიღაცა, მოკეტოს! სხვათაშორის, არ გამოვრიცხავ, რომ **ნონა გაფრინდაშვილი** „ქართული ოცნების“ სიაში მოხვდეს და საქართველოს პარლამენტის სხდომა სწორედ მან გახსნას. რაც შეეხება **გენო პეტრიაშვილს,** ამ სიტყვის პატრონი კაცის გულისათვის ყველას დავუპირისპირდები. ამოიღონ ის ვიდეო, როცა 6 წლის **გენო პეტრიაშვილი** ბაღში გამართულ ზეიმზე გამოდის და პირობას დებს — **მოჭიდავე უნდა გამოვიდე და საქართველო ვასახელო!** ხომ შეასრულა ამ ბიჭმა პირობა, ხომ გახდა მსოფლიოს ჩემპიონიც და ოლიმპიადის ყველა სინჯის მედლის მფლობელიც?

საერთოდ, ამ ბოლო დროს ეს ჩვენი გასაოცარი ბიჭები, ჩვენი სპორტსმენები, რაღაც ძალიან აიგდეს. ძალიან მაინტერესებს, რომელი ე.წ. ოპოზიციონერი სჯობს მათ? თუნდაც **სანდრო ბაზაძეს** გარეგნობით, შეუპოვრობით ან ინტელექტით ვინმე სჯობს?

**— სააკაშვილის „ულვაშიანმა ქათამმა“ რომან გოცირიძემ ჩვენს საამაყო სპორტსმენებს, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ არიან, „ლეღვის ფოთლები“ უწოდა!**

— **ლაშა ბაქრაძემ** რომ დაასახელა ნაცების ე.წ. უხმარი სახეები, **მარიამ ქვრივიშვილს, მაკა ბოჭორიშვილს** ან **მარიამ ლაშხს** „მიშას ქალები“ რითი სჯობიან? იმით, რომ უზნეოები და უთავმოყვარეონი არიან? ბოლოს და ბოლოს, ამათ ჭკუა არ უნდა ისწავლონ?

**— ლიკა შარტავას განსაკუთრებით კომკავშირის ცეკას ყოფილი მდივანი, ჟიული შარტავას თანამედროვე მერი წიკლაური ლანძღავს!**

— მერი წიკლაურთან დაკავშირებით არავითარ კომენტარს არ გავაკეთებ, მაგრამ ერთს ვიტყვი — **ლიკა შარტავასნაირი** შვილი ნებისმიერმა მშობელმა ინატროს! ბებიამისმა, **ქალბატონმა ლიამ** ოპერაცია რომ გაიკეთა, თავზე ადგა და ერთი წუთითაც არ მოცილებია. ეგეთი გარეგნობის, ოჯახიშვილი, ეგეთი წესიერი და ქართულად აღზრდილი გოგო მართლაც იშვიათია. ბაბუამისის მთელ თაობას უყვარს. წყალტუბოდან **ბელა ხუნწარიძემ** დამირეკა, რომელიც არაჩვეულებრივ გამოფენებს აწყობს და კაცი ტიროდა — ჟიული შარტავას შვილიშვილის გვარი და სახელი გავიგონე, მითხარი, ვინ არის, რას აკეთებსო? როგორ გგონიათ, ამათ დაუძახეს თუ არა, ლიკა მაშინვე გაიქცა — არიქა, „ქართული ოცნება“ სიაში ჩასასმელად მეძახისო? ჰკითხა ბებოს, ჰკითხა მშობლებს, ჰკითხა ძმას. გულწრფელად გეტყვი — ძმას არ უნდოდა, რომ ლიკა პოლიტიკაში წასულიყო! ვიღაც **ლილი გოლიაძეა** და სოციალურ ქსელებში წერს — **ლიკა შარტავასნაირები სახელოვან წინაპრებს არცხვენენ, საამაყო ანწუხელიძის შვილი არისო!** შე, დალოცვილო, ჟიულის საფლავზე ნამყოფი არ ხარ და რას ბოდავ?

## გიორგი ანწუხელიძე ღმერთმა ნათელში ამყოფოს, მაგრამ მისი ბიჭი სოფო ჯაფარიძის გვერდით რომ ვნახე, გული მეც მომიკვდა! რა უნდა ანწუხელიძის შვილს მოღალატე ნაცების გვერდით?

მაგრამ ამის გამო კი არ გამოვსულვარ და ლანძღვა კი არ დამიწყია! **ჟიული შარტავას შვილიშვილს რაღაცაზე რომ მიუთითებ და ჭკუას ასწავლი, ცოტა დაამუხრუჭე, რა!** საერთოდ, გმირების შთამომავლებს თავი გაანებეთ და **ლიკა შარტავაზე** ვინმეს ენა ცუდად არ მოუტრიალდეს! 31 წელია, ჟიული შარტავას საფლავზე არ ყოფილხართ, ია არ მიგიტანიათ და რა უფლება გაქვთ, მის შვილიშვილს, ამ ანგელოზივით გოგოს, ასე რომ ახსენებთ, თქვე გარეწრებო? დახვრეტილი ჟიული შარტავას ცოლი — **ლია შარტავა** დილის 5 საათზე პურის რიგში იდგა და თქვენ ვისზე ლაპარაკობთ საერთოდ, აზრზე ხართ? თქვენ მაშინ დუბაიში გულაობდით და საზღვარგარეთიდან ჭინჭები ჩამოგქონდათ. ამიტომ ენა დაიმოკლეთ და ამ საოცარ ახალგაზრდებს თავი გაანებეთ!

**— სხვათაშორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან სულ ცოტა ხნის წინათ სწორედ თქვენ მიმართეთ „ქართულ ოცნებას“ და ურჩიეთ, რომ ჟიული შარტავას შვილიშვილი, უმცროსი ჟიული შარტავა გვერდით დაეყენებინათ!**

— კი, ამის შესახებ ჩვენ ნამდვილად ვთქვით. ახლა გაგახსენებთ მეექვსეკლასელი **ჟიული შარტავას** ინტერვიუს, რომელიც 2004 წლის 27 სექტემბრის „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა. პატარა ჟიულის კორესპონდენტი **მანანა ულენტი** ეკითხება: — ჟიული, გული ხომ არ გწყდება რამეზე? — შეიძლება, ვთქვა? — რა თქმა უნდა! — პრეზიდენტს შეიძლება, პირადული ვთხოვო? — როგორ არა! — **მინდა, მამიკო მუშაობდეს, კახა ბიძიასაც სამსახური მისცეს!“**



ჟიული შარტავა




2003 წელს მოვიდნენ ნაცები და 2004 წელს ბავშვი ამას ეუბნება ჟურნალისტს! გეკითხებით, ამას რა ჰქვია? ამის შემდეგ ნაცები რა უფლებით ლაპარაკობენ და რა უფლებით ეხებიან ოჯახს, როცა ჟიული შარტავას მეუღლე, ექიმი **ლია შარტავა** ნაცებმა სამსახურიდან გამოუშვეს და ისიც უმუშევარი დატოვეს? ამათ მართლა ჭკუას მოუხმონ და წითელი ხაზი არ გადამალახვინონ! შეიყვარონ ერთმანეთი, ისწავლონ ერთმანეთის ატანა და გატანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მინდა, მივმართო ულამაზეს **ლიკა შარტავას:** ბაბუაშენმა დაწერა ასეთი რამ — **„ნუ მითვალთვალებთ, არ ვარ საშიში არავისთვის! ნუ მითვალთვალებთ, ვერავითარ ბარიგებაზე ვერ წავალ, მითუმეტეს სინდისთან!“** ჩემო ლიკა, შენ ისეთი გენეტიკის პატრონი ხარ, ამ ნაძირალების ტლიკინი გულთან არ მიიტანო!

**— ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელი თურქეთში დაიჭირეს და საქართველოში ჩამოათრიეს! რა იცით ამ საქმის შესახებ?**

— ბესო ხარძიანს ქონება ვინც წაართვა და ვინც ედავებოდა, ცნობილია. ისიც ცნობილია, სააკაშვილის დროს, როგორ დაიჭირეს და აწამეს. არავის არაფერი შერჩება. **ხარძიანი არის ნაცებისა და პირადად სააკაშვილის მსხვერპლი და ამაში ორი აზრი არ არსებობს.** დარწმუნებული ვარ, ქილერი, რომელიც თურქეთიდან საქართველოში გადმოიყვანეს, ადრე თუ გვიან სიმართლეს იტყვის და დამკვეთებს დაასახელებს! სხვათაშორის, თუ **ბესო ხარძიანის** მკვლელმა პირი მოაღო, **მამუკა ხაზარაძეს** შეუძლია, დაიმალოს!

**— ბესო ხარძიანის ბიზნესწილებით ხაზარაძემაც ისარგებლა?**

— ესენი ამ საქმისგან შორს არ მდგარან! საქვეყნოდ ცნობილია, თუ ვინ წაიღო **ბესო ხარძიანის** ბიზნესწილები და ვინ იყო დაინტერესებული მისი მოშორებით. ასე რომ, ამ საქმეში ჩვენ სიურპრიზები გვექნება! ხომ გახსოვთ, როგორ მოექცნენ **გოჩა ძასოხოვს?** კაცი ქობულეთიდან მოდიოდა, დაიჭირეს, ღამით კეზერაშვილის უწყებაში შეაგდეს, ე.წ. ღამის ნოტარიუსი მიუყვანეს და რაზეც თვალი ჰქონდათ დადგმული, გადააფორმებინეს! **სააკაშვილისა და ადეიშვილის ე.წ. ღამის ნოტარიუსები მილიონერები გახდნენ.** აი, რეესტრი ავიღოთ თუნდაც! დღეს საჯარო რეესტრის თანამშრომელთა 80 პროცენტი ნაცია, რომლებმაც ყველას პირადი მონაცემები იციან. **ხომ ხედავთ, რა ქნეს? — ცესკოს თანამშრომლების პერსონალური მონაცემები გამოაქვეყნეს!** გამორიცხავს ვინმე, რომ საჯარო რეესტრში მოკალათებული ნაცები გაყალბებულ ბიულეტენებს და პირადობის მოწმობებს არ დაამზადებენ? ძალიან რთული სიტუაციაა, სახიფათო ზონაში შევედით, რადგან ასეთი შეტევა და მუქარა საქართველოს მიმართ არ მახსოვს! **მაიკლ კარპენტერი** პირდაპირ ემუქრება საქართველოს. რომელი სამოქალაქო საზოგადოებისა და გამოხატვის თავისუფლების შევიწროებაა საქართველოში, როცა ამერიკელები და ევროპელები თავზე გვასხედან და აღარ იციან, რა ქნან?! მგონი, მაგათ ახალი ბახტრიონი მოენატრათ! ამერიკაში არჩევნებია და სენატში **ეკა გიგაურის** მოსასმენად იცლიან? **ბენ კარდინმა,** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, **ეკა გიგაურს** იმის შესახებ რატომ არ ჰკითხა, დედა რუსი რომ ჰყავს და ინფორმაციები ჩამოსდის რუსეთიდან?

**— თქვენ ამბობთ, რომ ეკა გიგაური სინამდვილეში რუსეთის აგენტია?**

— ჰკითხონ ვანო მერაბიშვილს და იტყვის, ვისი აგენტია სინამდვილეში ეკა გიგაური!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



„კაპიტანი ეკა გიგაური, რომელიც ამერიკის სენატში „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლად“ და „არჩევნების დამოუკიდებელ დამკვირვებლად“ გამოიყვანეს, სინამდვილეში, მერაბიშვილის „შნირია!“




## გოგა ხაინდრავა:

# როცა სააკაშვილის მთელი ხელისუფლება განსასჯელის სკამზე დაჯდება, მეც მათ გვერდით ვიჯდები, რადგან 2006 წლამდე მთავრობაში ვიყავი!

***გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში საქართველოს საკითხზე ე.წ. მოსმენა გაიმართა, სადაც მთავარ მომხსენებლად, უფრო სწორად კი, საქართველოს მთავარ დამსმენად და დამბეზღებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მარადმწვანე დირექტორი, ვანო მერაბიშვილის მიერ კაპიტნის წოდებით დაჯილდოებული ეკა გიგაური წარდგა.***

*უცხოეთის გავლენის აგენტი და საქართველოში მოქმედი „მეხუთე კოლონის“ ერთ-ერთი ფლაგმანი — **კაპიტანი გიგაური** ამერიკელი პატრონების წინაშე საკუთარ ქვეყანას მიწაში რომ ჩადებდა, ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, მაგრამ მოულოდნელი და შემაშფოთებელი იყო ის პოლიტიკური უზრდელობა და უხამსობა, რაც 81 წლის სენატორმა **ჯიმ რიშმა** გამოამჟღავნა, როცა საქართველოს ხელისუფლებას **„თაღლითი“** და **„გარეწარი“** უწოდა.*

*ზოგადად, სენატორი **ჯიმ რიში** და სენატორი **ჯინ შაჰინი** საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ მკვეთრი ანტაგონიზმით რომ გამოირჩევიან, ეს არახალი ამბავია, თუმცა, რიტორიკა, რომელიც მათგან რამდენიმე დღის წინათ გაისმა, ყოველგვარ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ეტიკეტს სცდება.*

***ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას ვესაუბრებით:***

— კიდევ ერთხელ ნათლად დავინახეთ, რომ **სენატორი რიში, სენატორი შაჰინი, სენატორი კარდინი** და ამერიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები საქართველოს სტრატეგიული მეგობრები კი არა, **სტრატეგიული მტრები** არიან, რომლებსაც სუვერენული ქართული სახელმწიფო სძულთ და ეზიზღებათ.

საერთოდ, ის მარაზმი, რაც ამერიკის სენატში მორიგ ჯერზე ვიხილეთ, პოლიტიკურად ბოლომდე დეგრადირებული **რიშებისა და შაჰინების** სასოწარკვეთის გამოძახილია, რადგან უკრაინაში ჩაისვარეს და ხუხულა, რომელიც ოდესღაც მსოფლიო ჰეგემონად ითვლებოდა, თავზე ენგრევათ.

**— სენატორმა ჯიმ რიშმა საქართველოს ხელისუფლებას „გარეწრები“ და „თაღლითები“ უწოდა!**

— რაც **რიშმა** იკადრა, ამას მე-18 საუკუნეში აფრიკელი პაპუასიც არ იკადრებდა, მაგრამ სასოწარკვეთისაგან ელემენტარული ეთიკა და ზრდილობაც დაკარგული აქვთ. სხვათაშორის, ეს ის სენატორი **რიშია,** რომელმაც ბანდიტი **ჟორიკა რურუა** პოლიტიკურ პატიმრად შერაცხა და ასეთ მარაზმში მყოფი ადამიანისაგან რა გასაკვირია, საქართველოს ხელისუფლებას გარეწარი და თაღლითი დაუძახოს? არც კი ესმით, რომ საქართველოს ხელისუფლების შეურაცხყოფით ავტომატურად შეურაცხყოფენ ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელმაც ეს ხელისუფლება ზედიზედ 8 არჩევნებში აირჩია!

**— ამერიკის სენატში საქართველოს დამსმენ კაპიტან გიგაურს რაც შეეხება?**

— **გიგაურმა** სასამართლოში მიჩივლა და სამარცხვინოდ წააგო, რადგან პროცესზე წარვადგინე ყველა საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ მან, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის სისხლში ჩამხშობ კაციჭამიებს **მერაბიშვილის** მიერ გამოწერილი პრემიები დაურიგა, თვითონ კი კაპიტნის რიგგარეშე წოდება მიიღო. ასე რომ, **კაპიტანი გიგაური,** რომელიც ამერიკის სენატში „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლად“ და „არჩევნების დამოუკიდებელ დამკვირვებლად“ გამოიყვანეს, სინამდვილეში, ვანო მერაბიშვილის „შნირია!“

**— ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ კოლექტიური დასავლეთი, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები, აქტიურად ცდილობს, საქართველოში 26 ოქტომბერს გასამართ საპარლამენტო არჩევნებში ჩაერიოს და მის შედეგზე გავლენა მოახდინოს! თქვენი აზრით, ეს დემოკრატიის სტანდარტებში ჯდება?**

— ამერიკული დემოკრატიის შესახებ არსებული მითი საბოლოოდ დაიმსხვრა და დღეს უკვე მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ამერიკა, სინამდვილეში, იმპერიალისტური სახელმწიფოა, რომელმაც თითქმის ყველა კონტინენტსა და ქვეყანაში თავისი სისხლიანი კვალი დატოვა, მაგრამ დღეს აბსოლუტურ დეგრადაციას განიცდის და ერთი-ერთში ემსგავსება **ჩერნენკოს ფორმაციის საბჭოთა კავშირს.**

### ამერიკის დღევანდელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა საერთო ასაკი რომ შეკრიბო, 1000 წელს გადააჭარბებს, მაგრამ პოლიტიკურ მარაზმში ჩავარდნილები მაინც ცდილობენ, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნებისათვის თითის დაქნევით მსოფლიოს აჩვენონ – რაღაც ძალა და გავლენა ჯერ კიდევ გაგვაჩნიაო!

ხელისგულზე დევს, რომ ამ ბებერი მარაზმატიკების — **რიშებისა და შაჰინების** გეგმაა, საქართველოს ხელისუფლება ძალადობრივი გზით შეცვალონ და ძალაუფლება თავიანთ აგენტურას ჩააბარონ! ახლა ცდილობენ, ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიაზე მოახდინონ ზეწოლა და დააწერინონ დასკვნა, თითქოს 26 ოქტომბრის




„სენატორი რიში, სენატორი შაჰინი და აშშ-ის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები საქართველოს სტრატეგიული მეგობრები კი არა, სტრატეგიული მტრები არიან!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი*



**საქართველო სანქციებს რომ მიერთებოდა,** დღეს ქვეყნის ეკონომიკა მინუსებში იქნებოდა და არცერთი ინვესტიცია აქ არ განხორციელდებოდა. ერთადერთი ინვესტიცია, რაც იქნებოდა, **იარაღს გამოაგზავნიდნენ და ჩვენი სამხედროები შეეწირებოდნენ უთანასწორო ომს,** რაც დამანგრეველი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის.

„იმედინიუსი“

**ზაალ მიქელაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველოში მოქმედი **უსამშობლო აგენტურა** კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათ ერთადერთი მიზანი აქვთ — **უსიტყვოდ ემსახურონ თავიანთ უცხოელ პატრონებსა და დამკვეთებს** და არავითარ შემთხვევაში — საქართველოს და ქართველ ხალხს.

„იმედინიუსი“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნას“ თავმჯდომარე*



**ივანიშვილმა** პრეზიდენტად შეიძლება საკუთარი მეუღლის **ეკატერინე ხვედელიძის** კანდიდატურა წარადგინოს!

„ახალი თაობა“

**ლევან მაჭავარიანი**
*„ქართული ოცნების“ წევრი*



ჩვენთვის **ყველაზე კარგი დახმარება** იქნება ის, რომ **ჩვენს შიდა საქმეებში არავინ ჩაერევა.**

„ინტერპრესნიუსი“

არჩევნები გაყალბდა, მაგრამ მაგას აღარავინ „ჭამს“.

პირდაპირ გეუბნებით, რომ საქართველოში რევოლუციას ვერ მოაწყობენ! **ნიკა გვარამია, ლიკა ხოშტარია და ბაია პატარაია** რომ ეყოლებათ რევოლუციის ბელადებად, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? **გაგიგიათ, სადმე ქათმების რევოლუცია მომხდარიყოს?**

**— კი მაგრამ, თუ აშშ და ევროკავშირი საქართველოში 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ, ამას რა მოჰყვება?**

— არ აღიარებენ და ნუ აღიარებენ, თავში ქვა უხლიათ და მუცელში — სამართებელი! **საქართველოს საპარლამენტო არჩევნებიდან ათიოდე დღეში — 5 ნოემბერს — ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და ისეთი ამბები ატყდება, საქართველოსათვის ნამდვილად აღარ ეცლებათ!**

**— რას გულისხმობთ?**

— ამერიკა სამოქალაქო ომის პირას დგას და, ალბათ, მიიღებს კიდეც სამოქალაქო ომს, რადგან დემოკრატები, რომლებსაც არამხოლოდ ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში საშინელი დანაშაულები აქვთ ჩადენილი, გასამართლებისა და ციხეში ჩასმის შიშით, ძალაუფლებას არ დათმობენ. თავის მხრივ, **ამერიკელი ხალხი არ დაუშვებს, რომ ეს მარაზმი ხელისუფლებაში დარჩეს და, მტერს და ავს, ისეთი პროცესები ელოდება ამერიკას.** ჯანდაბამდე გზაც ჰქონიათ, რადგან ასეთი ბოროტების იმპერია მსოფლიოში არავის სჭირდება!

**— რას იტყვით იმ პოლიტიკურ ისტერიაზე, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის წარდგენას კოლექტიური ნაცმოძრაობის მხრიდან მოჰყვა?**

— არამხოლოდ კოლექტიურ ნაცებს, არამედ მათ უცხოელ პატრონებსაც **ბიძინა ივანიშვილის** იმდენად ეშინიათ, რომ მასთან ბრძოლას შვეიცარიის საბანკო სისტემის რეპუტაციაც კი შესწირეს, თუმცა, მაინც სამარცხვინოდ დამარცხდნენ. რაც შეეხებათ „ქართული ოცნების“ სიაში მყოფ სპორტსმენებს, **ლაშა ტალახაძე** გახლავთ მსოფლიო ლეგენდა, ყველაზე ძლიერი მამაკაცი დედამიწის ზურგზე, ტკბილი და გემრიელი ქართველი კაცი, რომელიც უყვარს და ეამაყება ყველას, ვინც თავს საქართველოს შვილად გრძნობს. ამდენად, **გვარამიები, ხოშტარიები, შარვალჩახდილები და სხვა ნაძირალები ლაშა ტალახაძესა და გენო პეტრიაშვილზე** რას იტყვიან, ეს არც ამ ბიჭებს აინტერესებთ და არც ჩვენ უნდა გვანაღვლებდეს! დაე, ანთხიონ ბოღმა კოლექტიურმა ნაცსექტანტებმა, რომლებიც თავიანთ ბოღმაშივე ჩაიხრჩობიან!

**— „ქართული ოცნება“ საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებულ მხარდაჭერას სთხოვს, რათა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება შეძლოს. როგორ ფიქრობთ, ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობა და ნაცმოძრაობისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა, რის პირობასაც ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში დებენ, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული და არარეალისტური ხომ არ არის?**

— რა თქმა უნდა, დაგვიანებულია, მაგრამ ეს დაგვიანება განაპირობა საერთაშორისო ზეწოლამ და კოჰაბიტაციამ, რომელიც დამნაშავე რეჟიმის გადასარჩენად მოიგონეს მისმა უცხოელმა პატრონებმა. მიუხედავად ამისა, ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობა სრულიად რეალისტურია, რადგან დღეს საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და ამერიკელებისა და ევროპელების კი არა, ქართველი ხალხის დაკვეთას ასრულებს. სწორედ ამიტომ სკდებიან გულზე ჩვენი სტრატეგიული მტრები ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამიტომ გიჟდებიან აღმოსავლეთ ევროპელები — პოლონელები, ბალტიისპირელები და სხვები, რომლებიც დღესაც ისეთივე მონობაში არიან, როგორშიც საბჭოთა კავშირის დროს იყვნენ, უბრალოდ, ბატონი გამოიცვალეს და თუ მანამდე რუსეთს ემონებოდნენ, ახლა ამერიკას ემონებიან.



„ვანო მერაბიშვილი ბელარუსში და ჩინეთის ქალაქ ურუმჩიში რუსეთის დაზვერვის წარმომადგენლებს საიდუმლოდ რომ ხვდებოდა, ეს ჩემთვის ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი, როცა მთავრობის წევრი ვიყავი!“

# „2008 წლის აგვისტოს ომი იყო სააკაშვილისა და კრემლის ერთობლივი ოპერაცია, რომელიც შედიოდა ამერიკის ინტერესებშიც!“




რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას, ყველაფერი ხელისგულზე დევს და გამოძიებაც არ არის საჭირო — **სააკაშვილი და მთელი მისი ბანდა ისე უნდა გასამართლდნენ, როგორც სამშობლოს მოღალატეებს ეკუთვნით!**

**— ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლის გამოძიების პირობასაც „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვების შემთხვევაში დებს, 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულებია! ამასთან დაკავშირებით რისი თქმა შეგიძლიათ?**

— სახელმწიფო დანაშაული, რომელიც **სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ოქრუაშვილს, ბოკერიას, უგულავას, ბარამიძეს, ვაშაძეს, კანდელაკს, სამადაშვილსა** და მთელ ამ ხროვას აქვს ჩადენილი, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებით არ ამოიწურება, რადგან ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალზე ქართული ჯარის მარშირების ამსახველი უზარმაზარი ბანერები გამოჰკიდეს წარწერებით „სოხუმი“ და „ცხინვალი“.

სახელმწიფო დანაშაული დაიწყო მაშინ, როცა **სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ოქრუაშვილმა** ერგნეთის ბაზრობა დაკეტეს, არადა, მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით, რომ ერგნეთის ბაზრობა ლეგალური გამხდარიყო, რადგან ეს იყო ადგილი, სადაც ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იყრიდა თავს და არავინ არჩევდა, ვინ ოსი იყო და ვინ — ქართველი. ეს იყო ოჯახების შენახვის საშუალება ქართველებისა და ოსებისათვის, ეს იყო ინტერესთა თანხვედრის პლაცდარმი და მისი დახურვით სააკაშვილის ხროვამ ქვეყნის გარედან მიღებული დაკვეთა შეასრულა.

**— საიდან და ვისგან მოდიოდა ეს დაკვეთა?**

— გავიხსენოთ, რომ საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომებს სააკაშვილის ბიძა — „კაგებეს“ ოფიცერი **თემურ ალასანია** ესწრებოდა; გავიხსენოთ ისიც, რომ სააკაშვილის პირველივე საპრეზიდენტო ვიზიტი მოსკოვში განხორციელდა, რის შემდეგაც მან განაცხადა — **პუტინს** თვალებში ჩავხედე და მივხვდი, რომ ძალიან კეთილი და სანდო კაციაო!

მოკლედ, **2008 წლის აგვისტოს ომი იმ პრორუსული პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო, რომელსაც სააკაშვილი ცალსახად კრემლის დაკვეთით ატარებდა.** ზურაბ ჟვანიაც იმიტომ მოიშორეს, რომ მედასავლეთე იყო და როცა მიხვდა, კრემლის პაიკებთან ჰქონდა საქმე, სააკაშვილის ხროვისათვის სახიფათო გახდა! **ვანო მერაბიშვილი** ბელარუსში და ჩინეთის ქალაქ ურუმჩიში რუსეთის დაზვერვის წარმომადგენლებს საიდუმლოდ რომ ხვდებოდა, ეს ჩემთვის ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი, როცა მთავრობის წევრი ვიყავი.

**— ესე იგი, ამბობთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილის ხელისუფლებისა და კრემლის ურთიერთშეთანხმებით მოხდა?**

— **2008 წლის აგვისტოს ომი იყო სააკაშვილისა და კრემლის ერთობლივი ოპერაცია, რომელიც შედიოდა ამერიკის ინტერესებშიც!** სწორედ ამიტომ არაერთხელ მითქვამს, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი ბიუჯეტის უკანონო ხარჯვაზე კი არა, სამშობლოს ღალატისთვის უნდა გასამართლდნენ!

და კიდევ: **როცა სააკაშვილის მთელი ხელისუფლება განსასჯელის სკამზე დაჯდება, მეც მათ გვერდით ვიჯდები, რადგან 2006 წლამდე მთავრობაში ვიყავი, მაგრამ სასამართლო დარბაზიდანვე გამათავისუფლებენ, რადგან დანაშაული არ ჩამიდენია!**

*ესაუბრა* ***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



კოლექტიური ნაცმოძრაობა **გარედან შექმნილი ბოროტების ძალაა.** მას კონკრეტული მიზნები გააჩნია, რაც **მოსახლეობის წინააღმდეგ წლობით ჩადენილ დანაშაულში გამოიხატა.** ამისთვის სამართლებრივი შეფასების არმიცემა **ახალი დანაშაულის ჩადენის ტოლფასი იქნება.**

„საერთო გაზეთი“

**ალი ბაბაევი**
*„აზერბაიჯანთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე*



არაერთი მცდელობა იყო იმისა, რომ ქვეყანაში **არეულობა მოეწყოთ და რევოლუციის გზით დაემხოთ ხელისუფლება,** როგორც ეს 2003 წელს გააკეთეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. **დიდი მადლობა ქართველ საზოგადოებას, რომ არ აჰყვა ქვეყნის მტრების პროვოკაციას და მათ ავანტიურულ მოწოდებებს.**

„საერთო გაზეთი“

**ოლივერ ვარჰეი**
*ევროკომისარი*



საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, **დაადასტუროს ევროკავშირის გაწევრიანებისადმი ერთგულება,** ევროკავშირი მზადაა, მიესალმოს ახალ წევრ ქვეყნებს უახლოეს წლებში.

„პირველი არხი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ხელისუფლების **სიგიჟეები და მავნებლობები** აუცილებლად დასრულდება 26 ოქტომბერს, **თითოეული მოქალაქე მიიღებს ევროკავშირის პასპორტს.**

„ინტერპრესნიუსი“

# ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან გაქრაძე!

***„ასავალ-დასავალის“ წინა, 2024 წლის 9-15 სექტემბრის 38-ე ნომერში, გამოვაქვეყნეთ წერილი სათაურით — „ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან უნდა გაქრაძე!“***

პუბლიკაცია ეხებოდა ნაციონალური მოძრაობის ე.წ. ახალი სახის — **ლაშა აკაკის ძე ბაქრაძის** მიერ 2024 წლის 3 სექტემბერს ერთ-ერთ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე გაკეთებულ საჯარო განცხადებას, რომლითაც მან **„ქართული ოცნების“ ქალი წევრები შეურაცხყო:**

> *„არჩევანი არის მარტივი გასაკეთებელი, მითუმეტეს, როდესაც შეხედავთ, როგორი ქალები დგანან ჩვენ გვერდით. ქალბატონი თინა დაინახეთ დღეს თქვენ, ქალბატონი თამარი, ქალბატონი სოფო — აი, ასეთ ადამიანებს გთავაზობთ ჩვენ და არა, ბოდიში და, **იმ ნახმარ სახეებს,** რომლებიც აქვთ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს“.*

„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ვწერდით, რომ მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პარტიის — **ნაციონალური მოძრაობის „ახალი სახე“ ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე** ასეთი უხამსი, ფაშისტური და სექსისტური განცხადების გამო, დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ **გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან,** რადგან ამ პოსტზე მისი დატოვება გიორგი ლეონიძის სახელის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფა იქნებოდა.

რაკი **გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროს** დაქვემდებარებაშია, ჩვენს პუბლიკაციაში **კულტურის მინისტრ თეა წულუკიანს** პირდაპირ მოვუწოდეთ, პრინციპული გადაწყვეტილება მიეღო და **სააკაშვილის პარტიის ახალი, მაგრამ პოლიტიკურად და მორალურად უკვე ნახმარი სახე — ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე** ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისათვის მოეშორებინა!

და მართლაც, **2024 წლის 9 სექტემბერს, ორშაბათ დღეს, როცა „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერი სულ ახალი დასტამბული და გავრცელებული იყო, ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან** გაქრაძე!

ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც **საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ლაშა აკაკის ძე ბაქრაძის** თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოაქვეყნა, ვკითხულობთ:

> *„ფაქტებისა და გარემოებების შესწავლითა და ინფორმაციის ანალიზით დასტურდება, რომ **ლაშა ბაქრაძემ** ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, რაც გულისხმობს ზნეობრივ-ეთიკური ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფას ან დარღვევას, არაეთიკურ საქციელს ან სხვა ქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაწესებულების დისკრედიტაცია... **ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა“.***

ჩვენ თუ გვკითხავთ, **ლაშა აკაკის ძე ბაქრაძემ** არაეთიკური, უზნეო და **ქართული ლიტერატურის მუზეუმისათვის** შეურაცხმყოფელი საქციელი ჯერ კიდევ მაშინ ჩაიდინა, როცა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ნარჩენთა მიერ შექმნილ საარჩევნო კოალიციას შეუერთდა, ანუ ოფიციალურად განაცდა და კოლექტიური მეგისქარდავას ორგანულ შემადგენლად იქცა.

დიახ, თუნდაც ეს ფაქტი იყო საკმარისი, რომ **ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე** გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან **გაექროთ,** რადგან არც გიორგი ლეონიძის ძვირფასი ხსოვნა და არც ქართული ლიტერატურის დიადი ისტორია არ იმსახურებდა, მისი სახელი რაიმე ფორმით ყოფილიყო დაკავშირებული **კოლექტიურ მეგისქარდავასთან!**

სხვათაშორის, **„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში რომ ვწერდით — „ნახმარ სახეებზე“ გაკეთებული განცხადების შემდეგ ლაშა აკაკის ძე ბაქრაძის თანამდებობაზე დატოვება გიორგი ლეონიძის სახელისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის შეურაცხყოფა იქნებაო,** ეს კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში თითქმის სიტყვასიტყვით არის გამეორებული:

> *„ცალსახაა, რომ **ლაშა ბაქრაძის** 3 სექტემბრის განცხადება ლახავს იმ მუზეუმის ავტორიტეტს, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს და მისიად ქართული კულტურის ინტერესების დაცვა აქვს განსაზღვრული“.*

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **„ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 9 სექტემბრის ნომერში გახმიანებული მოწოდება — „ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან უნდა გაქრაძე!“** — რომლის მთავარი ადრესატიც კულტურის მინისტრი **თეა წულუკიანი** გახლდათ, 2024 წლის 9 სექტემბერსვე აღსრულდა და **ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე** ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან **გაქრაძე!**

შეიძლება ითქვას, რომ **ლაშა აკაკის ძე ბაქრაძის** თანამდებობიდან გათავისუფლებით, ქართულმა სახელმწიფომ ერთი სამარცხვინო ლაქა ჩამოირეცხა და ერთი კონკრეტული მიმართულებით სამართალი აღადგინა, რადგან არ შეიძლება, იყო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელთა კოჰორტაში, იზიარებდე **მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა** და სხვა სისხლიან ჯალათთა დედაპარტიის იდეოლოგიას და იმავდროულად ხელმძღვანელობდე ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, რომელიც დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გოგლა ლეონიძის სახელს ატარებს!

სწორედ ამიტომ **ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე** ქართული **ლიტერატურის მუზეუმიდან** გაქრაძე და ეს არის ყველაზე მიზერული ფასი, რაც სააკაშვილის პარტიის ახალმა, მაგრამ პოლიტიკურად და **მორალურად უკვე ნახმარმა სახემ** თავისი სექსისტური და ფაშისტური გამოხტომისათვის გადაიხადა!

ამაში კი, როგორც ბევრ სხვა მნიშვნელოვან და ქართული სახელმწიფოსათვის სასიკეთო საქმეში, **„ასავალ-დასავალმა“ საკუთარი წვლილი შეიტანა,** რაც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ნარჩენებთან ბრძოლაში ჩვენი კიდევ ერთი გამარჯვებაა!

**კიდევ ერთი და არა უკანასკნელი გამარჯვება!**

***ჯაბა ხუბუა***




## „ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 9 სექტემბრის ნომერში გახმიანებული მოწოდება – „ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან უნდა გაქრაძე!“ – 2024 წლის 9 სექტემბერსვე აღსრულდა!

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



როცა დასავლეთი გეუბნება — **შეცვალეთ ხელისუფლებაო,** ის რეალურად გეუბნება — **მოიყვანეთ ნაციონალური მოძრაობაო!** ამერიკასა და რუსეთს აწყობთ **გადატრიალება საქართველოში,** რომ ჩაიშალოს ჩინური სატრანზიტო ხაზი.

„კვირის პალიტრა“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი, კავკასიური სახლის თავმჯდომარე*



ოპოზიციას ევროკავშირმა და საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** გამარჯვების ფორმულა უკვე შესთავაზეს — მას ჰქვია **ტექნიკური მთავრობის იდეა,** რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური, **პარტიული ლიდერები უარს ამბობენ მინისტრთა კაბინეტში შესვლაზე** და მინისტრთა კაბინეტი დაკომპლექტდება **პროფესიონალიზმის ნიშნით.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი*



საქართველოს ხელისუფლების ერთი ნაწილი ცდილობს, **მოაგვაროს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.** ამ ვაჭრობაში რუსეთი **ნატოზე უარის თქმასა და ნეიტრალიტეტზე დათანხმებას** მოითხოვს. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, რა ურჩევნია — **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თუ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება.** ამ ეტაპზე ორივე ერთად არ გამოვა.

„კვირის პალიტრა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ევროპასა და საქართველოში მიმდინარე ამხელა საგამოძიებო პროცესის მიუხედავად, **რატომ არ ხდება დავით კეზერაშვილის დაკავება?!** ნუთუ კანონის დაცვა და დამნაშავის დასჯა ევროპულად სხვაგვარ შინაარსს ატარებს.

„იმედინიუსი“

# გასაუქმებელი პრეზიდენტი

*— მე პირადად მომხრე ვარ, კულტურის მინისტრის საერთოდ გაუქმების და სხვადასხვა ინსტიტუტებისთვის, ფონდებისთვის მეტი შესაძლებლობების და დაფინანსების მიცემის! —* ***ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა სალომე ზურაბიშვილმა რამდენიმე დღის წინათ ტელევიზია „ფორმულასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.***




## კონკრეტული თანამდებობის პირის გაუქმება რომ შეიძლებოდეს, უპირველეს ყოვლისა, სალომე ზურაბიშვილი უნდა გაუქმდეს, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ფეხქვეშ გამგები პრეზიდენტი!

სანამ გავარკვევდეთ, რას ნიშნავს **სალომე ზურაბიშვილის** განცხადება **„კულტურის მინისტრის საერთოდ გაუქმების“** შესახებ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის დამრღვევად აღიარებულმა და იმპიჩმენტს ნაცების წყალობით გადარჩენილმა პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა ტელევიზიას, რომლის მფლობელი და დამფინანსებელი ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავე **დავით კეზერაშვილი** გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ **ზურაბიშვილის ინტერვიუ კეზერაშვილის ტელევიზიის ეთერში 2024 წლის 7 სექტემბერს გავიდა, წინა დღეს კი, 2024 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც, თბილისში დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კიდევ ერთი თაღლითური ქოლ-ცენტრი და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი იქნა გამოვლენილი.**

კერძოდ, ქართველი და გერმანელი სამართალდამცავების მიერ ჩატარებული ერთობლივი გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, თბილისში არსებული ქოლ-ცენტრის მეშვეობით, თაღლითურად დაეუფლნენ გერმანიის, სლოვენიისა და სლოვაკეთის მოქალაქეთა კუთვნილ **3 მილიონ 170 ათას ევროს,** საიდანაც მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი **დავით კეზერაშვილის, მისი დისა და დისშვილის** საბანკო ანგარიშებზე გადარიცხეს.

ასე და ამრიგად, ქართველი და ევროპელი სამართალდამცავების მიერ მოპოვებული იქნა პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქოლ-ცენტრების თაღლითური სქემის მეშვეობით ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა ძარცვის უკან ქართული ჯარისათვის **5 მილიონის მომპარავი დავით კეზერაშვილი** დგას.

შესაბამისად, კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ **ტელეკომპანია „ფორმულა“,** რომელთან ინტერვიუშიც საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა **სალომე ზურაბიშვილმა „კულტურის მინისტრის გაუქმებაზე“** ისაუბრა, კეზერაშვილის მიერ ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერებისათვის მოპარული ფულით ფინანსდება.

როცა **საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ სალომე ზურაბიშვილს** არც კი ერიდება, ინტერვიუ მისცეს ქართული ჯარისათვის მოპარული და ევროპელი პენსიონერების ნაძარცვი ფულით დაფინანსებულ **კეზერაშვილის ტელევიზიას,** ეს ნიშნავს, რომ იგი თავს არა საქართველოს, არამედ ნაცმოძრაობის პრეზიდენტად გრძნობს!

რაც შეეხება **სალომე ზურაბიშვილის** მიერ **კეზერაშვილის ტელევიზიის ეთერში** გაკეთებულ განცხადებას — **მომხრე ვარ, კულტურის მინისტრი საერთოდ გაუქმდესო,** აქ საქმე მარტო მის ჩიქორთულთან როდი გვაქვს და ეს მხოლოდ ის არ არის, რაც იყო, მაგალითად, **„სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია, გათხარო“.**

კი, შეიძლება, პრეზიდენტად წოდებულს იმის თქმა უნდოდა, რომ კულტურის სამინისტროს გაუქმების მომხრეა, რაც თავისთავად დიდი აბსურდი და პოლიტიკური ყეყეჩობა გახლავთ, მაგრამ მან თქვა, რომ ემხრობა **„კულტურის მინისტრის გაუქმებას“,** ეს კი ძალიან ჰგავს იმ პერსონალური ბოღმისა და პიროვნული ანტაგონიზმის ამოფრქვევას, რომელიც სალომე ზურაბიშვილის ქვეცნობიერში **თეა წულუკიანის** მიმართ არის დალექილი.

აბა, „მინისტრის გაუქმება“ სხვას რას უნდა ნიშნავდეს?!

ეს იგივეა, გინდოდეს **„დეპუტატის გაუქმება“, „პოლიციელის გაუქმება“, „ექიმის გაუქმება“, „ფეხბურთელის გაუქმება“** და ა.შ.

მოკლედ, **კეზერაშვილის ტელევიზიაში** ზურაბიშვილი საკუთარმა ქვეცნობიერმა ამხილა იმაში, რომ სურს **წულუკიანის გაუქმება, ივანიშვილის გაუქმება, კობახიძის გაუქმება, ღარიბაშვილის გაუქმება, კალაძის გაუქმება** და, საერთოდ, **ყველას გაუქმება,** ვინც მასა და მის უცხოელ პატრონებს საქართველოს სრულ კოლონიზაციაში უშლის ხელს!

დიახ, საქართველოში კულტურის სამინისტროს გაუქმების სურვილი სწორედ იმ კოლონიზატორული პოლიტიკით არის ნაკარნახევი, რომლის ერთ-ერთ მთავარ ადეპტსაც დღეს **პრეზიდენტად წოდებული ზურაბიშვილი** წარმოადგენს!

დიახ, **სალომე ზურაბიშვილი, კოლექტიური ნაცმოძრაობა და მათი ევრო-ამერიკელი პატრონები საქართველოს თავიანთ კოლონიად და „უკანა ეზოდ“ განიხილავენ, რომელსაც კულტურის სამინისტროც კი არ უნდა ჰქონდეს!**

მთავარია, **ჟოზეფ ბორელების, ურსულა ფონ დერ ლაიენებისა და ენტონი ბლინკენების** სავასალოში პოლიტიკური „მეხუთე კოლონა“ და არასამთავრობო სექტორად წოდებული გავლენის აგენტურა არსებობდეს, რომელიც უცხოელი პატრონების ინტერესებს მოემსახურება, კულტურის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები კი სუვერენული ქვეყნების პრეროგატივაა და საქართველოსნაირ კოლონიას არაფერში სჭირდება!

ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაუძინებელ მტერთა და საქართველოს კოლონიზაციის მოსურნეთა მარიონეტი **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოში **„კულტურის მინისტრის გაუქმებაზე“** ოცნებობს!

ისე, **კონკრეტული თანამდებობის პირის გაუქმება რომ შეიძლებოდეს, უპირველეს ყოვლისა, სალომე ზურაბიშვილი უნდა გაუქმდეს, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ფეხქვეშ გამგები პრეზიდენტი!**

ჰო, სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც თავისივე ამომრჩეველს ზურგი აქცია და ქართველი ხალხის შიდა მტრების — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმის ნარჩენთა მოკავშირედ გადაიქცა, ნამდვილად გასაუქმებელი პრეზიდენტია!

მართალია, საქართველოს კონსტიტუციის გამბახებელ პრეზიდენტს საკონსტიტუციო ვადა მიმდინარე წლის ნოემბერში ეწურება, მაგრამ მისი გაუქმება ცოტა უფრო ადრე — 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე უნდა მოხდეს, **როცა ქართველმა ხალხმა კოლექტიურ ნაცმოძრაობას ულმობელი პოლიტიკური განაჩენი უნდა გამოუტანოს და აწ უკვე მართლა სამუდამოდ გაისტუმროს პოლიტიკურ მოუსავლეთში!**

საერთოდ, **სალომე ზურაბიშვილი,** საკუთარი ნებითა თუ უცხოელი პატრონების ბრძანებით, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს და ჩაჰყვება კიდეც!

**სალომე ზურაბიშვილი,** არამხოლოდ როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც პოლიტიკოსი, **ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად გაუქმდება!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

მზად ვარ, **ავიღო დიდი პასუხისმგებლობა,** მათ შორის, **მეორე ვადით,** რათა საქართველო ევროპულ გზას დაუბრუნდეს.

„რეზონანსი“



**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*

ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ **ოფიციალური კიევიდან მიმდინარეობს საქართველოს უსინდისო და უსაქციელო დამუნათება** იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება **იცავს ეროვნულ ინტერესებს და არ ერთვება საომარ კამპანიაში.**

„რეზონანსი“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*

ეს არჩევნები ტარდება **ელექტრონული წესით** და ეს, რა თქმა უნდა, **მისცემს „ოცნებას“ საკმაოდ მაღალ ლეგიტიმაციას,** ეს იქნება მათი სერიოზული კოზირი. **არჩევნების დღეს გაყალბება საკმაოდ არარეალისტურია.**

„ახალი თაობა“



**ირაკლი მელაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*

ერთადერთი, ვისაც შეუძლია დღეს **უზრუნველყოს ხელისუფლების გამარჯვება,** ოპოზიციაა. საზოგადოებაში **არ ჩანს განწყობა,** რომ ხელისუფლება შეიცვლება.

„კვირის პალიტრა“

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №37-38*

***ვაგრძელებთ ინტერვიუს საქართველოს უშიშროების ექსშეფ იგორ გიორგაძესთან, რომელიც გეოპოლიტიკური მოვლენების ჭრილში განიხილავს 1995 წლის 29 აგვისტოსა და 1998 წლის 9 თებერვლის მოვლენებს.***



## იგორ გიორგაძე:

# რუსეთის მხარეზეა აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ჯამში – 6-მილიარდიანი, ღმერთის მიერ ნაკურთხი ჯარი!

**— ლოგიკურად ახსენით, რომ თვე-ნახევრის განმავლობაში თურქეთში იყავით, ჯერ მივლინებით, შემდეგ დასასვენებლად და 29 აგვისტოს ტერაქტს ვერ დაგეგმავდით. თუმცა, მეორე მხრივ, ლოგიკა მაინც ბუნდოვანია. აკი, თავად ამბობთ, რომ 1995 წლის ნოემბრის არჩევნების წინ საქართველოში მდგომარეობა გაზაფხულიდანვე დაიძაბა, რომ ჯაბა იოსელიანმა შევარდნაძის დაპატიმრების განზრახვაც კი გაგანდოთ... ყველაზე დაძაბულ პერიოდში უშიშროების მინისტრი 45 დღით რატომ ტოვებს საქართველოს? იქნებ მოსალოდნელი პროცესების შესახებ წინასწარ იცის და სიტუაციას გაერიდა?**

— სხვათაშორის, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ინტერვიუს წაკითხვისთანავე მითხრა, რომ მკითხველს ეს კითხვა აუცილებლად გაუჩნდებოდა. მეც არ მიკვირს, რომ სწორედ ამ კითხვით ვაგრძელებთ ჩვენს საუბარს. ზაზა, ალბათ გახსოვს, წინა ინტერვიუში გითხარი, რომ ჩემ მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ თათბირზე გამოვაცხადე, არჩევნების ჩაშლას და ფალსიფიკაციას არ დავუშვებმეთქი. თუ მივყვებით შევარდნაძის მოქმედების ლოგიკას, ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილზე, დარწმუნებული ვარ, პირველ რიგში, იმაზე იზრუნებდა, მისთვის საბედისწერო მომენტში, ასე ვთქვათ, „გაჭირვების ჟამს“ **დაუმორჩილებელი** უშიშროების ხელმძღვანელის ნაცვლად, გვერდში ჰყოლოდა **თავისი კაცი,** ვინც უსიტყვოდ შეასრულებდა მის ნებისმიერ ბრძანებას. ასეთი კაცი შევარდნაძემ უშიშროების მინისტრად ჩემი დანიშვნისთანავე მომისვა გვერდით პირველი მოადგილის რანგში. ის იყო **ავთანდილ იოსელიანი,** რომელმაც, თუ ისევ დავუბრუნდებით წინა ინტერვიუს, პირველმა მოახსენა თავის პატრონს, რომ **გიორგაძე** მისი მტერია, ვინაიდან, არჩევნების გაყალბებას არ დაუშვებს. ზუსტად ამის გამო, შევარდნაძემ არჩია, რომ არჩევნების წინა თვეებში მოვეშორებინე და ჩემი არყოფნის პერიოდში უშიშროებისთვის მის მონა-მორჩილსა და **ჩემს დაუძინებელ კოლეგას ეხელმძღვანელა.**

თურქეთში ჩემი მივლინების იდეა **შევარდნაძემ** მისთვის დამახასიათებელი მანერით მომაწოდა. 1995 წლის ივლისის 10 რიცხვია, მის კაბინეტში ვარ, მოხსენება დავამთავრე და თითქოს სხვათაშორის მეუბნება — *„კაცო, დემირელმა (თურქეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა) დამირეკა, მომიკითხა, მხარდაჭერა გამომიცხადა. კარგა ხანია, ვიცნობ, ძალიან კარგი პიროვნებაა და ვფიქრობ, უპრიანი იქნება, ჩახვიდე შენს თურქ კოლეგასთან და თურქეთის უშიშროებასთან ხელშეკრულება დადო. სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, რუსებთან, უკრაინელებთან და ოკეანის გაღმა ამერიკასთან გაქვს თანამშრომლობაზე მოწერილი ხელი... თურქეთმა რა დაგვიშავა? ჩვენი უახლოესი მეზობელია, ნატოში უძლიერესი ჯარი ჰყავს, ჩვენი უახლოესი სტრატეგიული პარტნიორია. თან, დემირელსაც შეხვდები, ჩემგან საჩუქარს ჩაუტან...“.*

ასეთ შემთხვევაში სულაც არ იყო აუცილებელი, კონტრდაზვერვის და დაზვერვის გამოცდილი მოხელე ან უშიშროების გენერალი ყოფილიყავი. საკმარისი იყო, შევარდნაძის გვერდით რამდენიმე თვე გემუშავა, რომ მიმხვდარიყავი, რა ლამაზად შენიღბა ჩანაფიქრი — რაც შეიძლება მალე მოვშორებოდი საქართველოს ფარგლებს... და, რადგან მე ნამდვილად არ ვაპირებდი მის დამხობას (ამაზე უკვე დაწვრილებით ვისაუბრეთ), იმ მიზნით, რათა გამეგო, სინამდვილეში მისი სვლა სწორად გავთვალე თუ არა, თხოვნით მივმართე, მივლინებისთვის შვებულებაც გადამება და თურქეთში დავრჩენილიყავი. **უნდა გენახა მისი რეაქცია! გახარებული, ეგრევე დამთანხმდა და სახის გამომეტყველებით** თითქოს მეუბნებოდა: ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მიმიხვდი ზრახვას თუ მართლა შვებულება გინდა; ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უფრო დიდხანს არ იქნები საქართველოში, მით უკეთესი!

**— რა მიართვით შევარდნაძის სახელით დემირელს?**

— დემირელის საჩუქარი შევარდნაძემ უშიშროების სამსახურს „შეგვაწერა“, თან მისებურად, შინაურული ტონითა და ინტონაციით მითხრა, რომ ენდობა რა ჩემს გემოვნებას, თავადვე ამერჩია საკადრისი საჩუქარი და იქვე ნება დამრთო, უშიშროების სამსახურის ბიუჯეტიდან გამეღო ხარჯები...

დემირელს შევარდნაძის სახელით გადავეცი ხელით დამზადებული ულამაზესი ჭადრაკის დაფა და ნახევრად ძვირფასი ქვისგან ნაკეთი არაჩვეულებრივი ფორმების ფიგურები.

**— დეტალურად და დამაჯერებლად განმარტეთ, შევარდნაძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ჯაბა იოსელიანის განზრახვას მხარი რად არ აუბით... მაგრამ გაზაფხულის მერე ნუთუ არ დაინტერესებულხართ, ჯაბა თქვენ გარეშე, საკუთარი ძალებით ხომ არ აპირებდა ამ განზრახვის განხორციელებას?**

— ვინ მოგახსენათ? თუნდაც სურვილი არ მქონოდა, ინფორმაცია არამხოლოდ ჯაბაზე, არამედ ქვეყანაში ყველა საჭირბოროტო მოვლენაზე გეგმაზომიერად, როგორც უშიშროების სისტემაში უნდა ყოფილიყო, ჩემკენ მოედინებოდა, მაგრამ **ჯაბა იოსელიანი** ჭკვიანი, გამოცდილი და ბრძენი კაცი იყო. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საუბრის მერე იგი იმაზეც დაფიქრდებოდა, რომ თვითონ მარტო ვერ გაქაჩავდა შევარდნაძის დაპატიმრებას და განზრახვაზე ხელს აიღებდა!

**— 1998 წლის 9 თებერვალს თბილისში, 300 არაგველის მემორიალთან, შევარდნაძის წინააღმდეგ მძლავრი სამხედრო ოპერაცია განხორციელდა. გოჩა ესებუას ხელმძღვანელობით ქართულ-ჩეჩნურმა შეიარაღებულმა ჯგუფმა ყუმბარმტყორცნებით და ავტომატებით ცეცხლი გაუხსნა შევარდნაძის კორტეჟს, რომელიც თბილისის ცენტრიდან კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისკენ მიემართებოდა. შევარდნაძის მანქანას მოხვდა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, თუმცა, იგი მაინც ცოცხალი გადარჩა. იმ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა ჩემი მეგობარი, კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პოლკოვნიკი ნუგზარ ჩუხუა, რომელმაც მოგვიანებით პირადად ჩემთან საუბარში გადაჭრით თქვა, რომ გამორიცხული იყო, მანქანაში, რომელსაც ჭურვი მოხვდა, ვინმე ფიზიკურად გადარჩენილიყო, შესაბამისად, რადგან შევარდნაძე ცოცხალი დარჩა, მისი აზრით, იმ მანქანაში არ იჯდა. თქვენი მონაცემებით, რა მოხდა სინამდვილეში?**

— **გოჩა ესებუა** ჯერ კიდევ 1995 წლის დასაწყისში მოხვდა უშიშროების მეთვალყურეობის ქვეშ. მასზე ინფორმაცია ჩემმა პირველმა მოადგილემ **ავთო იოსელიანმა** მომახსენა. ძალიან მოკლედ რომ გითხრათ, **ესებუა** სუფრასთან თუ მეგობრების წრეში საუბრისას ხმამაღლა აცხადებდა, რომ მისი ძმის მკვლელ შევარდნაძეს აუცილებლად გაუსწორდებოდა. ბუნებრივია, ჩემი ბრძანების შესაბამისად, ის უშიშროების სამსახურის კონკრეტულმა ქვედანაყოფმა ოპერატიულ დამუშავებაში აიყვანა და თან მის შესახებ აცნობა სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსს **ვახტანგ ქუთათელაძეს.** 1998 წლის დასაწყისიდან შევარდნაძის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. იმ პერიოდში მას გვერდით ჰყავდა **ავთანდილ იოსელიანი და ვახტანგ ქუთათელაძე,** სწორედ ისინი, ვინც თავი გამოიჩინეს 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ტერაქტის ინსცენირებით. აღარ შევჩერდები იმაზე, რომ **სწორედ ტერაქტის ინსცენირების შედეგად მოხდა შევარდნაძის გაპრეზიდენტება,** იმის მიუხედავად, რომ **იოსელიანმა და ქუთათელაძემ** სცენარში მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვეს. ამჯერადაც, 1998 წლის 9 თებერვალს, მათ წინასწარ დაგეგმილი ახალი „ტერაქტი“ გაითამაშეს, რომლის საშუალებითაც შევარდნაძის თავზე დაგროვილი „შავი ღრუბლები“ გაფანტეს.

**— ნუთუ ეს ტერაქტიც სპექტაკლი იყო?**

— ერთი მხრივ, **ეს იყო მრავალსვლიანი ოპერაცია,** მეორე მხრივ — არცთუ რთულად ჩასატარებელი. ოპერაციის პირველ ეტაპზე დაგეგმილი სცენარის მიხედვით, **გოჩა ესებუამ** „შემთხვევით“ გაიცნო სამეგრელოს მკვიდრი (პირობითად, ვინმე **ხუჭუა**), რომელიც მოკლევადიანი მივლინებით იყო ჩასული მშობლიურ მხარეში.

აღმოჩნდა, რომ **„ხუჭუა“** თბილისში სახელმწიფო დაცვის სამსახურში მსახურობდა, კანონიერი ხელისუფლების მომხრე იყო (რასაც, ვითომ, ოსტატურად უმალავდა თავის კოლეგებს) და შევარდნაძე „ეზიზღებოდა“. **ესებუას და „ხუჭუას“** „შემთხვევითი“ გაცნობა გადაიზარდა „თანამოაზრეთა ფარულ კავ-

## კვირგვინოსნები

**პაატა დავითაია**
*„საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი*



რუსეთი არასდროს შეგვპირებია **ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას.** თავის დროზე ასეთი რამ აქვს ნათქვამი რუსეთის სამეფო ოჯახის, **რომანოვების** წარმომადგენელს — **რუსეთის ხელმოწერას აქვს ის ფასი, რაც ღირს ქაღალდი და კალამიო.**

„კვირის პალიტრა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს, **რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში არ გაიმარჯვოს.** ამერიკასა და ევროკავშირში თუ გადაწყვიტეს, რომ **არჩევნები არალეგიტიმურად ცნონ,** ისინი ამას გააკეთებენ.

„ახალი თაობა“

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი*



**მესამე მსოფლიო ომს ვეთამაშებით** და გვყავს პრეზიდენტი, რომელიც **არც კი ვიცით, პრეზიდენტია თუ არა.**

„იმედინიუსი“

**პედრო სანჩესი**
*ესპანეთის პრემიერ-მინისტრი*



ჩვენ არ გვჭირდება **სავაჭრო ომი,** ვფიქრობ, უნდა ავაშენოთ **ხიდები ევროკავშირსა და ჩინეთს შორის.**

„რეზონანსი“

**დიმიტრი პესკოვი**
*კრემლის პრესსპიკერი*



უკრაინას დასავლური რაკეტებით **რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმის უფლება** თუ მიეცემა, საპასუხო რეაქცია იქნება.

„რეზონანსი“



# „მეორე ტერაქტის შედეგად შევარდნაძის თავზე დაგროვილი შავი ღრუბლები გაიფანტა!“

შირში“. რა თქმა უნდა, მკითხველი მიხვდება, რომ **„ხუჭუა“** ოპერაციის ფარგლებში, მისთვის გაწერილი სცენარის შესაბამისად მოქმედებდა!

**— ასეც ვიფიქრე. გოჩა ესებუას გულწრფელობაში ეჭვი არასოდეს შემიტანია, მაგრამ თურმე, მოვლენები წინასწარ ყოფილა დაგეგმილი...**

— დიახ, **„ხუჭუასთან“** მეგობრობამ **გოჩა ესებუას** იმედი გაუმყარა, რომ შევარდნაძის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ თავის დიდი ხნის ჩანაფიქრს სისრულეში მოიყვანდა. მართლაც, 1998 წლის იანვრის შუა რიცხვებში **„ხუჭუა“** ესებუას სთავაზობს შევარდნაძის ლიკვიდაციის გეგმას. დათქმულ დღეს **ესებუა** სანაპიროზე მდებარე სამთავრობო ტრასაზე თავის მებრძოლებთან ერთად უნდა ჩაუსაფრდეს შევარდნაძის კორტეჟს. ეს ადგილი, რაც სანაპიროს მოპირდაპირე მხრიდანაც კარგად ჩანდა და, რომელიც, **„ხუჭუას“** თქმით, ტერაქტის განხორციელებისთვის ყველაზე ხელსაყრელი იყო, **„ხუჭუამ“** თავად შესთავაზა **გოჩა ესებუას.**

1998 წლის 9 თებერვალს **„ხუჭუა“** გოჩა ესებუას გადასცემს წინასწარ დათქმულ მესიჯს, რომლის თანახმად, **ესებუას** შეიარაღებული 18-კაციანი ჯგუფი „ფარულად“ იკავებს წინასწარ შესწავლილ პოზიციებს და ელოდება შევარდნაძის კორტეჟის ჩამოვლას. მართლაც, დაცვის სამსახურის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით, **შევარდნაძის** სამუშაო რეზიდენციიდან იძვრება სახელმწიფოს მეთაურის კორტეჟი და ჩვეულებისამებრ, დიდი სიჩქარით მიემართება კრწანისისკენ. იმ საღამოს ყველაფერი წესის მიხედვით განხორციელდა, როგორც ყოველთვის — ტრასაზე კორტეჟის გამოჩენამდე დაცვის სამსახურის მანქანებმა ჩაიქროლეს, რომელთა მოვალეობა იყო ამ ტრასაზე საეჭვო სიტუაციისა და პირების გამოვლენა. მათ მიჰყვნენ „გაის“ მანქანები, მერე უკვე — კორტეჟი. მოკლედ, ყველაფერი იმგვარად, როგორც ყოველთვის, თუმცა, ერთი ნიუანსის სხვაობით:

## იმ მომენტისთვის შევარდნაძე უკვე საათ-ნახევარია, კრწანისში, საკუთარ რეზიდენციაში იმყოფება და ტელევიზორის წინ სავარძელში მოკალათებული, მასზე მორიგი უშედეგო ტერაქტის ამსახველ სენსაციურ რეპორტაჟს ელოდება...

ამის მერე რაც მოხდა, უკვე ყველამ იცის. შევარდნაძის მანქანა ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვით გამოიყვანეს მწყობრიდან. დაცვასა და თავდამსხმელებს შორის გამართული შეტაკების დროს ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა დაცვის 2 თანამშრომელი — **კახა შევარდენიძე და დავით კოკაური,** ხოლო თავდამსხმელთა მხრიდან — ჩეჩენი ეროვნების ბოევიკი **ოსმან ჯანგალიევი.**

სხვათაშორის, შევარდნაძის ძალოვნებმა ელვის სისწრაფით „დაადგინეს“ ტერორისტების ვინაობა და მისამართები; მეტიც — მოსახლეობას აჩვენეს სანაპიროს მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლის აივნიდან გადაღებული კადრები, რომელშიც ჩანს გასროლა ყუმბარმტყორცნიდან, სროლა ტყვიამფრქვევიდან და ავტომატებიდან. მოკლედ, ჰოლივუდს შეშურდებოდა ასეთი სიუჟეტი!





ედუარდ შევარდნაძის ავტომობილი 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ

თურმე, ვიდეოკასეტა სიხარულით გაბრუებულ ტერორისტს „შემთხვევით“ აივანზე დარჩენია. სწრაფად დაადგინეს ტერორისტების რიგებში ჩეჩნური კვალი — მოკლულის გულის ჯიბეში იპოვეს რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკის მიერ გაცემული საბუთი. საერთოდ, **თურმე, ჩეჩნებს ასეთი „წესი ჰქონიათ“ — თუ საკუთარი სამშობლო გიყვარს, მისი საბუთი ყველგან უნდა ატარო, თუნდაც, ტერორისტული აქტის შესრულების დროს; რა იცი, რაში გამოგადგება?!**

ასე და ამგვარად, შევარდნაძის ხელისუფლებამ კიდევ ორიოდე წლით გაიმყარა მდგომარეობა და, რაც შევარდნაძის პატრონისთვის, ანუ აშშ-თვის მნიშვნელოვანი იყო, მსოფლიოში გახმაურებულ ტერაქტში **„აშკარად გამოიკვეთა რუსული კვალი!“** სხვა საკითხია, რომ ზოგიერთ, „მეტისმეტად ინფორმირებულ“ ჭინკას ამ ტერაქტშიც ჩემი კვალი მოელანდა!

**— რუსეთში როგორ მიიღეს ეს მორიგი სპექტაკლი?**

— **შევარდნაძის** ძალოვნების მიერ გათამაშებულ ამ მორიგ ტერაქტზე რუსეთის მხრიდან რეაქცია ყველაზე ლაკონიურად საქართველოს მკვიდრმა, პლეხანოვზე გაზრდილმა, ცხონებულმა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, რუსეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა **ევგენი პრიმაკოვმა** გამოხატა.

1998 წლის მარტში, თბილისში გათამაშებული ტერაქტიდან 1 თვეში, სერბეთში ვიზიტით მყოფი პრიმაკოვი იქ განლაგებული რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის ბატალიონის უფროსს ამ სიტყვებით მიმართავს:

**„— მინდა, როგორც პროფესიონალს, გკითხოთ, ასეთი ყუმბარმტყორცნიდან** (ამ მომენტში ხელში ყუმბარმტყორცნი უჭირავს) **ნასროლი ჭურვი რას უზამს ჯავშანტრანსპორტიორს და მასში მყოფ ეკიპაჟს?“**

„— ჯავშანტრანსპორტიორს მწყობრიდან გამოიყვანს, ეკიპაჟი კი უმალ განადგურდება!“ — პასუხობს ბატალიონის მეთაური.

**„— და რა დაემართებათ სალონში მყოფ მგზავრებს, თუ ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვი მოხვდება ჯავშნიანი მერსედესის ძრავს?“** — ეძიება რუსეთის პრემიერი.

„— ევგენი მაქსიმოვიჩ, კონკრეტულად, რამ გამოიწვია თქვენი ინტერესი?“ — კითხვითვე პასუხობს პრიმაკოვის „მიამიტური“ შეკითხვით განცვიფრებული ბატალიონის უფროსი...

პრიმაკოვის კითხვაში ჩაქსოვილი შინაარსი ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები გახდა, როდესაც მან ჩაიცინა და სარკასტულად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — **„არა, ისე, სხვათაშორის ვიკითხე...“** — ამით მიანიშნა საერთაშორისო საზოგადოებას და, უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძის პატრონ აშშ-ს, რომ **„№2 უშედეგო ტერაქტი“** თეთრი ძაფით იყო შეკერილი და რუსეთს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ სისხლიან კლოუნადასთან!

**— ვახტანგ ქუთათელაძე, რომელმაც 1995 წლის აგვისტოში დაცულ ტერიტორიაზე რუსთავიდან გატაცებული, უნომრო, დანაღმული „ნივა“ ვერ შეამჩნია შმელის მახლობლად, ზუსტად იმ დღეს, 1998 წლის 9 თებერვალს, ახალი ტერაქტის დღეს — შევარდნაძემ უშიშროების მინისტრად გაამწესა... ეს ფაქტი რაზე მეტყველებს?**

— როგორც წესი, უფროსი თავის თანამშრომელს კარგი მუშაობისთვის, დავალების პირნათლად შესრულების და მიღწეული შედეგის გამო აწინაურებს. აქედან გამომდინარე, **ვახტანგ ქუთათელაძის** უშიშროების მინისტრად გამწესება ნიშნავს, რომ მან სამთავრობო დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კარგად იმუშავა, შევარდნაძის ყოველი დავალება პირნათლად შეასრულა და სასურველ შედეგსაც მიაღწია! დაბოლოს, **გოჩა ესებუა** დასავლეთ საქართველოში „სპეცოპერაციის“ შედეგად მოკლეს ზურგში ნასროლი ტყვიით. აბა, ცოცხალი **ესებუა,** რომელიც სასამართლოს წინაშე მოყვებოდა **„ხუჭუასთან“** ერთად დაგეგმილი ტერორისტული აქტის დეტალებზე, ვის სჭირდებოდა?!

მართლაც, მოდით, ისევ შევარდნაძის გადასახედიდან მივუდგეთ ამ კითხვას. **1995 წლის აგვისტოს „ტერაქტის“** შედეგებით **შევარდნაძე** ზარზეიმით გაპრეზიდენტდა. მისმა დაცვის სამსახურის უფროსმა გამოძიების კითხვაზე — როგორ მოხდა, რომ შევარდნაძის სამუშაო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მხოლოდ შევარდნაძის და მისი დაცვის მანქანებს ჰქონდათ შესვლის უფლება, 26-27-28 აგვისტოს განმავლობაში უნომროდ იდგა რუსთავში გატაცებული, დანაღმული „ნივა“, — მან თვალის დაუხამხამებლად უპასუხა: — მე რამდენჯერმე ვი-

გაგრძელება მე-14 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**მაია ბითაძე**
*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე*



ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა ძალიან კარგად იციან, რომ **„ქართული ოცნება“ არის სწორედ ის, რომელსაც არანაირად არ უნდა სხვა გზა,** გარდა იმ სტრატეგიული ერთი გზისა, რასაც **ევროკავშირში ინტეგრაცია** ჰქვია.

„იმედინიუსი“

**გელა ნიკოლაიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოსთვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



არსებობს საფრთხე, რომ **არჩევნები არალეგიტიმურად ცნონ.** სიტუაციის არევის მცდელობები იქნება. **საქმე რევოლუციამდე, ალბათ, არ მივა.** ქართველი საზოგადოების იმედი მაქვს — **თუ ხელისუფლება დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, დასავლეთს რევოლუციის მოწყობის საფუძველი აღარ ექნება.**

„საერთო გაზეთი“

**დავით ჩიხლაძე**
*ანალიტიკოსი*



საინტერესოა, დასავლელი პარტნიორების მოსაზრება როგორია, **დაგმობენ კეზერაშვილის მიერ ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებას** თუ დუმილს არჩევენ? **ქოლ-ცენტრების საქმის თანამონაწილეა ქართული ოპოზიცია, რომელსაც კეზერაშვილი აფინანსებს,** არ შეიძლება, ქართულ პოლიტიკაში **უცხოური, კრიმინალური გზით ნაშოვნი ფული** ტრიალებდეს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბაჩო ლომიძე**
*პოლიტოლოგი*



„ოცნების“ ლიდერები **გამოვლენ სცენაზე, დადგებიან და აწყობენ პოდიუმს.** თითოს აცვია აქციაზე მყოფი თითოეული მოქალაქის წლიური შემოსავლის ღირებულების. **ასე პოზიორობენ, ერთმანეთს ეპრანჭებიან.**

„ახალი თაობა“



# იგორ გიორგაძე:

# როგორც სახელმწიფო – დღევანდელი რუსეთი ნამდვილად დამოუკიდებელია, მაგრამ ცსს-ის (ЦРУ-ს) 90-იან წლებში ნამოქმედარის შედეგები უკვალოდ არ და ვერ გაქრებოდა!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კითხე, რა უნდა აქ ამ მანქანასმეთქი და ნორმალური პასუხი ვერ მივიღეო! (!!!)

ამას თავი დავანებოთ, რამდენ ნიჭიერი უნდა იყო ადამიანი, რომ შენს თანამშრომლებს ისე დაუმალო სამთავრობო მთავარ ტრასაზე კბილებამდე, ყუმბარმტყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით შეიარაღებული 18 ტერორისტი, რომ ისინი ვერც სახელმწიფო დაცვის სამსახურის მრავალრიცხოვანმა აგენტურამ დაინახოს, რომლებსაც ფულს მხოლოდ იმისთვის უხდიან, რომ თავიანთი ფანჯრებიდან დანახული და საკუთარი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიაზე შემჩნეული საეჭვო პიროვნების თაობაზე ელვის უსწრაფესად დაცვის სამსახურს აცნობონ; ვერც საგანგებოდ ამ მიზნით გამოყოფილმა ოპერატიულმა მუშაკებმა, რომლებიც კორტეჟის გავლამდე საგულდაგულოდ ათვალიერებენ ტრასას?!

ანდა 1998 წლის ჰოლივუდური თრილერის მსგავსად დადგმული და შევარდნაძისთვის „ჰეფი ენდით" დაგვირგვინებული ფინალით ტერაქტი რად ღირს? გახსოვთ, ალბათ, ტერორისტების თავდასხმის ადგილზე „არსაიდან" გაჩენილმა მამაცმა მილიციელმა — თბილისელმა სომეხმა (ამაშიც რამხელა მნიშვნელობა ჩააქსოვა!) თავის „ჟიგულში" ჩასვა შეუდრეკელი, ტყვიამიუკარები სახელმწიფოს მეთაური და უვნებლად მიაბრძანა კრწანისის საცხოვრებელ რეზიდენციაში!

თავიდანვე გითხარით — **მეორე ტერაქტის შედეგად შევარდნაძის თავზე დაგროვილი შავი ღრუბლები გაიფანტა!** სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ორი ეპიზოდი არის საკმარისი (ვიმეორებ — შევარდნაძის ლოგიკიდან გამომდინარე) უშიშროების მინისტრად **ქუთათელაძის** დასანიშნად?

**— წინა საუბარში დაბეჯითებით განმიცხადეთ, ელცინის პერიოდში რუსეთს ხელისუფლება ფაქტობრივად არ ჰყავდა და მას ცსს (ЦРУ) მართავდაო. ამჟამად როგორ ფიქრობთ, არის თუ არა რუსეთი და მისი ხელისუფლება დასავლეთის გავლენისგან დამოუკიდებელი?**

— როგორც სახელმწიფო — დღევანდელი რუსეთი ნამდვილად დამოუკიდებელია, მაგრამ ცსს-ის (ЦРУ-ს) 90-იან წლებში ნამოქმედარის შედეგები უკვალოდ არ და ვერ გაქრებოდა. რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში შემორჩნენ ისეთებიც, დღემდე თვალები დასავლეთისკენ, თავიანთი ყოფილი პატრონებისკენ რომ გაურბით. **ეს რუსეთისთვის სერიოზული პრობლემაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რუსეთის დღევანდელი წინამძღოლი ამ პრობლემას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვეტს.**

დღეს თვალნათლივ ჩანს, რომ რუსეთში მეხუთე კოლონის მწყობრი რიგების გამოხშირვის პროცესი „სპეციალურმა სამხედრო ოპერაციამაც" დააჩქარა. კოლექტიური დასავლეთის სათავეში მოსულმა ტვინარეულმა ბრბომ რუსეთი თითქოს იზოლაციაშიც მოაქცია, თუმცა, ნებისმიერი მიუკერძოებელი ადამიანი ხედავს, რომ რუსეთთან, როგორც მართლმადიდებელი სარწმუნოების ფორპოსტთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით ამ სატანისტების შემოსევას წინ აღუდგნენ ტრადიციული ფასეულობების მატარებელი ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან **ჩინეთი, ინდოეთი და ისლამური ცივილიზაცია!**

**— „მართვადი ქაოსის" მსოფლიოსთვის მტანჯველი მექანიზმი ოდესმე შეჩერდება?**

— ყველაფერი უფლის ნებაა. კაცობრიობა დღეს სატანისტურ ბნელეთსა და ღვთაებრივ ნათელს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გადამწყვეტ სტადიაშია.

**ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უკრაინაში რუსეთი არა ნარკომანი ტაკიმასხარას, ვადაგასული ზელენსკის ბანდერელ ნეონაცისტებს, არამედ კოლექტიური დასავლეთის და ნატოს გარყვნილ, აღვირახსნილ, ცინიკოს, დაუნდობელ ჭინკებს უპირისპირდება!**

რაც მთავარია, ამ ბრძოლაში რუსეთს მსოფლიოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს! **რუსეთის მხარეზეა აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ჯამში — 6-მილიარდიანი, ღმერთის მიერ ნაკურთხი ჯარი!**

**— საქართველოს თანამედროვე ხელისუფლება რამდენად სწორად ულებს ალღოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ პროცესებს?**

— საქართველოს დღევანდელი მთავრობა სააკაშვილის ჯალათების განუკითხაობის და საკუთარი შეცდომების შედეგებს იმკის. თუ ყოველდღიურობიდან ამოვალთ და ჩვენს სამშობლოში მიმდინარე პროცესებს ზემოდან გადმოვხედავთ, სიტუაცია ასე მესახება: **80-90-იან წლებში ჩვენ, როგორც ერს, სინდის-ნამუსის, ტრადიციული ავკარგიანობის და პატიოსნების ძარღვი გაგვიწყდა, თუ გნებავთ, გაგვიწყვიტეს!** ახლა ამ გაწყვეტილი ძარღვის შეხორცების პროცესი დაიწყო — სულით და გულით მინდა, დავიჯერო, რომ ეს ასეა და შეცდომების აღიარების, მათი გამოსწორების პროცესი არა წინასაარჩევნო მანიპულაციაა, არამედ გააზრებული და გონივრული ნაბიჯები, მიმართული ჩვენი ერის და სამშობლოს კეთილდღეობისკენ! **დაე, ღმერთი იყოს ჩვენკენ, ღვთის შემწეობით აუცილებლად გავიმარჯვებთ!**




ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი ბორის ელცინის საფლავთან

**„ეს რუსეთისთვის სერიოზული პრობლემაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რუსეთის დღევანდელი წინამძღოლი ამ პრობლემას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვეტს!"**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ივანიშვილმა** ღმერთსაც კი „გადაუჯოკრა", **მესამედ მოვიდა,** ეს იძულებითი ნაბიჯია, კარგი ცხოვრებით არ არის განპირობებული — **სია კატასტროფულად სუსტია,** ორი კინკილა სპორტსმენის იმედზე დარჩნენ.

„ინტერპრესნიუსი"

**გრიგოლ გეგელია**
*„ძლიერი საქართველოს" წევრი*



გამარჯვება არასოდეს ყოფილა ისე ახლოს, როგორც ახლა — საკმარისია, იხილოთ **ხელისუფლების ბოლო ჟამის სია,** რათა დარწმუნდეთ, **რა კომიკურად სრულდება რუსული ხელისუფლება.**

„ინტერპრესნიუსი"

**პეტრე მამრაძე**
*„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელი*



**სააკაშვილის ბიძა** მილიონ დოლარს აძლევდა იმას, **ვინც „სნაიპერსკი" ვინტოვკით მოკლავდა ივანიშვილს** — მილიონი დოლარი არ გაუჭირდება იმ კაცს, ვინც **ტრამპის გვერდით შეისყიდა აპარტამენტები.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**მაიკლ ო'ფლაჰერტი**
*ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი*



**შალვა პაპუაშვილს:** არ მიიღოთ ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონი. **ბავშვებისთვის ერთნაირსქესიანთა ურთიერთობების ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა არ შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლს.**

„იმედინიუსი"

# ვენეჩელისიმესი

**№45 (281) ★2024 წლის 16 სექტემბერი★ გამოდის 2003 წლიდან**




# ტრამპის ბრძოლა დიადი ამერიკისათვის და კამალა ჰარისის ფარისევლური კრეჭა

2024 წლის 10 სექტემბერს ფილადელფიაში გამართულმა საპრეზიდენტო დებატებმა **დონალდ ტრამპსა** და **კამალა ჰარისს** შორის თვალნათლივ დაგვანახა, რომ **გლობალური ომის პარტია** მართლაც არსებობს და მისი მიხრწნილი ადეპტის **ჯო ბაიდენის** პოლიტიკური მემკვიდრეც სწორედ ფასადური დემოკრატიის ნიღბით იწყებს ამერიკის პირველქალობისათვის ბრძოლას. დიად ამერიკაზე მეოცნებე **ტრამპმა,** რომელმაც სულ ახლახან კინაღამ გაიზიარა **ორი კენედის ბედი,** 4 წლის წინანდელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საბოლოოდ გააცნობიერა ყალბისმქმნელ დემოკრატთა მხრიდან ტოტალური დევნის მასშტაბები. უფრო მეტიც, **უზნეო და სნეულ მმართველთა მისწრაფებამ მსოფლიო ბატონობისადმი მილიონობით ადამიანის თვალწინ გამოძერწა ფულსა და სისხლზე დაგეშილი ქონდრისკაცის, უკრაინის თავკერძა მმართველის ამაზრზენი ფიგურა, რომელსაც სლავი ხალხების განადგურების პროგრამა მიანდეს.** ამერიკელი ხალხის მილიარდები, რომლებიც **ბაიდენებისა და ჰარისების მსგავსი წარმონაქმნების** ხელით **მესამე მსოფლიო ომის გასაჩაღებლად** მიედინება, სხვა არაფერია, თუ არა ნედლეულის ახალი ბაზებისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდების მტაცებლური ინსტინქტი, რითიც **ინდიელთა მმუსრავი და ხიროსიმა-ნაგასაკის შემოქმედი ამერიკის შეერთებული შტატები** ყოველთვის გამორჩეული იყო!

მობაიდენე ოპონენტთა მრუდე ლოგიკით, 2024 წლის საპრეზიდენტო დებატებში 59 წლის **ჰარისმა** 78 წლის **ტრამპი** დაჯაბნა, მაგრამ, თუ გულისყურით გავაანალიზებთ მათი დისკუსიის ქვეტექსტს, მივხვდებით, რომ **ჰარისის ფარისევლური კრეჭის** მიღმა იმალება ის ავხორცი ლუციფერი, რომელმაც მსოფლიოს ხალხები უზნეობის ჭაობში და გოგირდით მოგიზგიზე ტბაში უნდა გადაუძახოს!

**ფრთხილად, სამყარო საფრთხეშია! და კიდევ უფრო დიდ საფრთხეშია საქართველო, სადაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ბინძურ ნაციონალთა ანტიეროვნული, ანტიქრისტიანული და ანტისახელმწიფოებრივი თუხთუხი!**








**ამერიკული ატრამპციონი ★**

# პლასტელინსიმუსი გახაზირდა!

***საქართველოს მოსახლეობას საქმე მოსალოცად აქვს — ხანდაზმული თაღლითების, ქუთაისის ავტოქარხნის სტამბოლის ბაზარზე გამხაზირებელთა შვილების, შევარდნაძის მიერ დანიშნული ბიზნესმენ-ექიმ-პოლიტიკოსების, უბორნიის მგოსნების, ამერიკის სპეცსამსახურების აგენტების, ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილი შევარდნაძის მსტოვრებისა და ტუალეტის მჯღაბნელების გაერთიანებაში, რომელსაც „ლელო“ ჰქვია, საქართველოს ყოფილი მთავარსარდელი და პლასტელინსიმუსი გიორგი მარგველაშვილიც გამოჩნდა...***

ამაზეა ნათქვამი, ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც დაუმატესო!

მოკლედ, **კაცი პლასტელინსიმუსი, კაცი ნაპრეზიდენტალი, კაცი ქსლისა მბეჭველი,** რომელსაც წინდების ქსოვა ეხერხება და ამერიკელების აგენტების ბუნაგის — **ჯიპას** ლექტორია, ბოლოს და ბოლოს, **მამუკა ხაზარაძის** მიერ მოქსოვილ აბლაბუდაში გაბმული აღმოჩნდა!

**პლასტელინსიმუსი მარგველაშვილი,** რომელიც, ძირითადად, დუშეთშია ჩაბუდებული და ხან თრიაქით არის გამოშტერებული და ხანაც — ღვინით, ხაზარაძესთან, სავარაუდოდ, ერთადერთი მიზნით შეჩურთეს — **ლგბტ ოპოზიცია** არჩევნებში რომ დამარცხდება, **სალომე ზურაბიშვილთან** ერთად **მარგველაშვილიც** უნდა აკნავლდეს — **არიქა, გვიშველეთ, საქართველოში არჩევნები გაყალბდაო!** ამერიკასა და ევროპაში ეს კნავილი ასე იქნება გადათარგმნილი და შეფასებული — **საქართველოში 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები ერთად აპროტესტებენო!** ცხადია, იმას არავინ იტყვის, **პლასტელინსიმუსი მარგველაშვილი** მთელი დღე გამოთრიაქებული დადის და უკვე ვეღარ აზროვნებს, ხოლო მოქმედ პრეზიდენტ **ზურაბიშვილს** მოწევა და თრიაქი რაღად უნდა, ისედაც გამოშტერებულიაო!

მომხდართან დაკავშირებით საინტერესოა ირაკლი კობახიძის შეფასებაც — **ხაზარაძე არის ნულოვანი რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსების მაგნიტი. „ლელო“ განწირულია, რომ ვერ გადალახავს საარჩევნო ბარიერს!**

ჩვენ კი სხვაგვარად ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ **ლუკაშენკოს** მიერ ნაჩუქარი კარტოფილის ამოღებაში დაოსტატებულ პლასტელინსიმუს მარგველაშვილს **მამუკა ხაზარაძემ** „ლელოში“ მხოლოდ იმიტომ უხმო, რომ გამარჯვების შემთხვევაში, **ხალხიდან ფულის ამოღებაში** დაიხმაროს! მართალია, ლგბტ **რომან გოცირიძე** და **ლიაკა ხოშტარია** უფრო ადვილად გადაკეთდებიან ქალად და კაცად, ვიდრე **მამუკა ხაზარაძე** ამ არჩევნებში გაიმარჯვებს, მაგრამ **თაღლითს და თანაც ხანდაზმულს,** რას გაუგებ?

ინფორმაცია **პლასტელინსიმუსი მარგველაშვილის** გახაზირების შესახებ „ლელოს“ გენერალურმა მდივანმა **ირაკლი კუპრაძემ** გააჟღერა, რომელმაც სოციალურ ქსელებში ე.წ. სელფი გამოკიდა წარწერით — **„წინ მხოლოდ გამარჯვებაა!“**

**კუპრაძეს** ერჩია, ფოტოზე ასეთი რამ მიეჯღაბნა — **„წინ მხოლოდ მამუკას „უბორნიაა!“** — მაგრამ რა ვუყოთ, გენსეკმა რაც მოიფიქრა, ის ქნა...

ისე, **კუპრაძემ უნდა იცოდეს, რომ გასაცოდავებულ ქართულ პოლიტიკაში მისი გვარის ფუძიდან ნაწარმოები გვარების — კუპრეიშვილისა და კუპრავას აქტიურობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის ცუდად დასრულდა.** ასე, მაგალითად, საქართველოს პირველი ეროვნული პარლამენტის წევრმა **დავით კუპრეიშვილმა ზვიად გამსახურდიას** ზურგი აქცია და სამშობლოს მოღალატე პუტჩისტებს შეეკრა, რითიც საკუთარი თავი სამუდამოდ შეიჩვენა, ხოლო **ზვიად კუპრავამ** იმდენი ირბინა და იმაიმუნა, სანამ ვირის აბანოში არ ამოყო თავი! აქედან გამომდინარე, ვურჩევთ **ირაკლი კუპრაძეს,** ცუდ კომპანიაშია და ემანდ ფრთხილად იყოს, თორემ პირდაპირ ჯოჯოხეთის კუპრში ამოყოფს თავს!

**კუპრაძის** მიერ გადაღებულ სელფზე ვხედავთ: **ბადრი ჯაფარიძეს, დავით ბამყრელიძეს, ფიქრია ჩიხრაძეს,** საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივან **დავით რაქვიაშვილს, გიორგი მარგველაშვილს, მამუკა ხაზარაძესა** და, ცხადია, თავად **ირაკლი კუპრაძეს!**



**თაღლითებში ჩაქსოვილი ★**

**ბადრი ჯაფარიძის** შესახებ რა უნდა გითხრათ, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ სიით საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვს მოწერილი და მაინც **ხანდაზმული თაღლითია.** იყო ერთი მაგარი სვანი კაცი, ჩვენი და ჩვენი გაზეთის დიდად მოყვარული, აწ განსვენებული **თემრაზ ჭელიძე,** რომელსაც 90-იან წლებში **ბადრი ჯაფარიძემ** და **მამუკა ხაზარაძემ** რამდენიმე ათასი დოლარი სადღაც წკვარამში შეატანინეს და თაღლითურად გასტაცეს. **თემრაზ ჭელიძემ** მიამბო: **ბადრიც და მამუკაც დიდი ხნის განმავლობაში მემალებოდნენ... ერთ დღესაც „პლეხანოვზე“, დიდი უნივერმაღის შენობაში, სადაც დღეს „თიბისი ბანკია“, სრულიად შემთხვევით გადავაწყდი ბადრი ჯაფარიძეს, რომელსაც დანა მუცელთან ჩუმად მივაბჯინე და ისე, რომ ხალხს არ გაეგონა, ვუთხარი — ხომ მიცანი? ჩემი ფული მომეცი, თორემ ახლავე სულს გაგაფრთხობინებ-მეთქი! ბადრი გაშეშდა, გაშავდა და ლუღლუღი დაიწყო — მე არ მიქნია, ამ შარში მამუკა ხაზარაძემ გამხვია! მოსაკლავი იყო, მაგრამ მაინც ვერ გავიმეტე და გავუშვი!**

დღეს კაცური კაცი **თემრაზ ჭელიძე,** რომელსაც ათასგზის თხოვნა ვერ შევუსრულე და სვანეთში ვერ ვეწვიე, ცოცხალი აღარ არის, სამაგიეროდ, **ხანდაზმული თაღლითი ბადრი ჯაფარიძეა** ცოცხალი და ბედნიერი...



ვაჟა-ფშაველას გენიალური სტრიქონების პერიფრაზს თუ მივმართავთ, მართლაცდა, **„ვაი, ეგეთას სიცოცხლეს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“**

მივყვეთ „სელფზე“ გამოსახულ დანარჩენ სახეებს...

**დავით ბამყრელიძე** შევარდნაძის „კომსომოლა“ და დანიშნული ბიზნესმენი იყო, რომელიც **კახა თარგამაძესთან** ერთად, წლების განმავლობაში ფულის მჭრელ დაზგას ამუშავებდა და მძღოლებს ფულს სძალავდა!

ცნობილი პუტჩისტკა **ფიქრია ჩიხრაძე ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილთან, დათო ტურაშვილთან, თედო ისაკაძესთან** და სხვებთან ერთად უნივერსიტეტის **„პრესკლუბის“** წევრი იყო, რომელსაც თავიდან ბოლომდე „კაგებე“ აკონტროლებდა. **ფიქრიამ სისხლიანი გადატრიალებით დიდად იხეირა. შევარდნაძემ მას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ატეხილი წივილ-კივილი დაუფასა და თბილისში ბინა უფეშქაშა...**

**დავით რაქვიაშვილი** უშიშროების საბჭოს მდივნობის დროს რას უბერავდა, არ ვიცი, მაგრამ ლგბტ აქტივისტებისა და ნაცხროვის გაერთიანებულ მიტინგებზე გიტარით ხელში რომ გამოვიდა და კარგა გვარიანად შეუბერა, გვახსოვს... **პლასტელინსიმუსი მარგველაშვილის** განუყრელი მეგობარი, როგორც ჩანს, მაშინ დაახლოებით იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც ერთ მიტინგზე ჭუჭყიანი ტანსაცმლით გამოსული, აყროლებული **მარგველაშვილი,** რომელსაც ან კარბიდის არაყი ჰქონდა დალეული ანდა პლანის კაიფში იყო და ენას პირში ვერ ატრიალებდა! **მახსოვს, მარგველაშვილმა მაშინ მიტინგს უკრაინულად მიმართა, მაგრამ ვაი, იმ მიმართვას, უკრაინულად კი არა, ქართულად ვერ მეტყველებდა!**

რაც შეეხება სელფზე გამოსახულ **ხაზარ-ფაშა მამუკას,** ხანდაზმულ თაღლითს ისეთი სახე აქვს, აშკარაა, ფული კი არ შესდის, არამედ გასდის! დიახ, როგორც ერთ დროს ქუთაისელ ბიოცისტერნას, ისე გასდის **ხაზარ-ბაშს,** რომელიც სწორედ სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში დაიბადა და **აფერისტობითა და სიხარბით სამტრედიელ კვაჭი კვაჭანტირაძეს გაასწრო!**



**მარგველაშვილი კარტოფილების ამოღებიდან ხაზარაძის ვალების ამოღებაზე გადადის!**

მოკლედ, ხაზარაძე ფიქრობს, რომ ლუკაშენკოს კარტოფილის ამოღებაში გაწაფული აწ უკვე **გახაზირებული მარგველაშვილი** მოსახლეობიდან ფულების ამოღებაში დაეხმარება, მაგრამ **ისე არ მოხდეს, თრიაქით მთვრალ პლასტელინსიმუს მარგველაშვილს ხაზარაძის თავი ლუკაშენკოს ნაჩუქარი კარტოფილი ეგონოს და მამუკა აქეთ არ გაახაზიროს!**

***დიტო ჩუბინიძე***

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43, 44*

# რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

# ას ერგასის დღე

**იბეჭდება შემოკლებით**






**მიხეილ კვესელავა**

## ხალხთა სამსჯავრო...

მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდა ჩამოვიდა ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზის პორტალიდან და თავისი სასწორით ხელში ჩადგა მოსამართლეთა შორის.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მსგავსი რამ არასოდეს მოსწრებია კაცობრიობას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარმდგარიყო ერთი ერის ათ მილიონამდე წარმომადგენელი, მათი მთავრობა, პარტია, არმიის სარდლობა და სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციები. ეს აპოკალიფსური მითიც ჩვენს დროში იქცა სინამდვილედ. მართალია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც სცადეს მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლება „საერთაშორისო მორალისა და ხელშეკრულებათა წმიდათაწმიდა ძალის უკიდურესი შეურაცხყოფის გამო“; ანტანტის სახელმწიფოებმა სპეციალური ტრიბუნალიც შექმნეს, მაგრამ პროცესი არ შემდგარა. კაიზერმა ვილჰელმ მეორემ ჰოლანდიის სამეფოს შეაფარა თავი, როგორც „საერთაშორისო კონფლიქტის მსხვერპლმა“. ფელდმარშალი ჰინდენბურგი, გენერლები ლუდენდორფი და მაკენზენი, ბავარიის კრონპრინცი რუპრეხტი, ადმირალი ტირპიცი, კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი და სხვები არ გამოცხადდნენ ტრიბუნალში და არც არავის შეუწუხებია ისინი. არც დანარჩენი 890 სამხედრო დამნაშავისათვის დაუდვიათ რამე სასჯელი...

ამჯერად კი, როგორც ჩანს, „გულუბრყვილოებიც“ გონს მოვიდნენ და გაიმართა ეს გრანდიოზული პროცესი, რომელსაც მთელმა მსოფლიომ — ისევ იმ ბიბლიური „საშინელი სამსჯავროს“ ასოციაციით — „ხალხთა სამსჯავრო“ უწოდა. საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების შეთანხმებით, ბრალმდებელთა კომიტეტმა პასუხისგებაში მისცა 24 მთავარი სამხედრო დამნაშავე:

**1.** რაიხსმარშალი **ჰერმან გერინგი;**

**2.** ჰიტლერის მოადგილე 1941 წლამდე **რუდოლფ ჰესი;**

**3.** საგარეო საქმეთა მინისტრი **იოახიმ ფონ რიბენტროპი;**

**4.** რაიხსლაიტერი **რობერტ ლეი;**

**5.** ფელდმარშალი **ვილჰელმ კაიტელი;**

**6.** სახელმწიფო უშიშროების უფროსი **ერნსტ კალტენბრუნერი;**

**7.** აღმოსავლეთის ოკუპირებული რაიონების საიმპერიო კომისარი **ალფრედ როზენბერგი;**

**8.** პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი **ჰანს ფრანკი;**

**9.** იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი **ვილჰელმ ფრიკი;**

**10.** გაულაიტერი **იულიუს შტრაიხერი;**

**11.** ეკონომიკის მინისტრი **ვალტერ ფუნკი;**

**12.** გერმანიის საიმპერიო ბანკის პრეზიდენტი **იალმარ შახტი;**

**13.** მრეწველი **გუსტავ კრუპ ფონ ბოლენ უნდ ჰოლბახი;**

**14.** გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალი, გროსადმირალი **კარლ დენიცი;**

**15.** გერმანიის საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, გროსადმირალი **ერიხ რედერი;**

**16.** „ჰიტლერული ახალგაზრდობის“ ყოფილი მეთაური, ვენის გაულაიტერი **ბალდურ ფონ შირახი;**

**17.** მუშახელის გამოყენების გენერალური რწმუნებული, გაულაიტერი **ფრიც ფონ ზაუკელი;**

**18.** გენერალი **ალფრედ იოდლი;**



**ჰერმან გერინგი, იოახიმ ფონ რიბენტროპი, ალფრედ როზენბერგი, ვილჰელმ კაიტელი**



**ალფრედ იოდლი, ერნსტ კალტენბრუნერი, მარტინ ბორმანი, ფრიც ფონ ზაუკელი**



**იულიუს შტრაიხერი, ჰანს ფრანკი, არტურ ზეის-ინკვარტი, ვილჰელმ ფრიკი**

**19.** პარტიული კანცელარიის უფროსი, რაიხსლაიტერი **მარტინ ბორმანი;**

**20.** ყოფილი ვიცე-კანცლერი **ფრანც ფონ პაპენი;**

**21.** ავსტრიის ყოფილი კანცლერი, ნიდერლანდის საიმპერიო კომისარი **არტურ ზეის-ინკვარტი;**

**22.** შეიარაღების მინისტრი **ალბერტ შპეერი;**

**23.** საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბოჰემიისა და მორავიის საიმპერიო პროტექტორი **კონსტანტინ ფონ ნოირატი;**

**24.** გერმანიის დეპეშათა სააგენტოსა და რადიომაუწყებლობის უფროსი **ჰანს ფრიჩე;**

გასამართლებულ იქნა აგრეთვე 6 დანაშაულებრივად გამოცხადებული ორგანიზაცია:

**1. მთავრობის კაბინეტი;**

**2. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა;**

**3. დამცველი რაზმები ამ პარტიისა (SS), უშიშროების სამსახურითურთ (SD);**

**4. სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია (გესტაპო);**

**5. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოიერიშე რაზმები (SA);**

**6. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი და უმაღლესი სარდლობა.**

ამ სიას გამოაკლდნენ რობერტ ლეი, რომელმაც პროცესის დაწყებამდე სატუსაღოში ჩამოიხრჩო თავი და გუსტავ კრუპი — მძიმე ავადმყოფობის გამო. მარტინ ბორმანი, როგორც ფიქრობდნენ, მიიმალა და გაასამართლეს დაუსწრებლად. მთავარზე უმთავრესმა სამხედრო დამნაშავეებმა ადოლფ ჰიტლერმა, იოზეფ გებელსმა და ჰაინრიხ ჰიმლერმა თვითმკვლელობით სცადეს, თავი აერიდებინათ მართლმსაჯულებისათვის, მაგრამ ამაოდ. იურისტები ამბობენ, მკვდრებს არ ასამართლებენო, ლიტერატორები კი იტოვებენ ამის უფლებას. **სტენდალი წერს: „არიან მკვდრები, რომელნიც სიკვდილით დასჯას იმსახურებენ“;** ასეთები იყვნენ ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი, ლეი და მრავალი სხვა, რომელთა გვარები წამდაუწუმ ისმოდა ხალხთა დიდ სამსჯავროში. არც თემიდას თვალებს გამოჰპარვია მათი დანაშაული. იგი განსასჯელთა სკამზე სვამდა ყველას, ვისაც რამე ბრალი მიუძღოდა ამ კატასტროფულ ბოროტმოქმედებაში.

●

...ქალღმერთ თემიდას შემოსვლამდე ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზი, სადაც პროცესი მიმდინარეობდა, სანახევროდ ჩაბნელებული იყო. ამერიკელებმა, რომელნიც იქ მასპინძლის როლს ასრულებდნენ, მართლაც სცადეს რელიგიური „საშინელი სამსჯავროს“ გათამაშება. დადგმაც ბიბლიური ხასიათისა იყო, „დეკორაციებიც“. მთავარი სამხედრო დამნაშავენი მოათავსეს ციხეში, რომელიც გვირაბით უერთდება ნიურნბერგის იუსტიციის სასახლეს. ამის შემდეგ ამერიკელებმა იუსტიციის სასახლის საკნებში, დერეფნებსა და დარბაზში ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე ამოქოლეს

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-3 გვერდზე*

ყველა ფანჯარა და მძიმე ფარდები ჩამოკიდეს, რომ მსჯავრდებულებს უკვე არასოდეს არ ეხილათ მზის სინათლე, ანუ „მთიებნი აღმობრწყინებულნი“, „რაჲთა არა მოიძიონ იგინი უფალმან ზეგარდამოჲთ, არცა რაჲთა მოვიდეს მათ ზედა ნათელი, და რაჲთა შეიპყრნეს იგინი ბნელმან და აჩრდილმან სიკუდილისამან“...

ამის გამო მთელი ათი თვის განმავლობაში პროცესი ელექტროშუქზე მიმდინარეობდა. მიზანსცენაც თავისებურად იყო დაწყობილი. სხდომათა დარბაზში გარდა ერთი კარისა, რომლის პორტალზედაც ის თვალებახვეული თემიდა იდგა, ყველა დანარჩენი გაუქმებულ იქნა. ამ ერთი კარით უნდა შემოსულიყო და გასულიყო ყველა, ვინც მართლმსაჯულებას ემსახურებოდა ან მისი მახვილის სიმძიმეს მოელოდა: ვითომ იმის ნიშნად, რომ სამართალს სხვა გზა არა აქვს, გარდა ერთისა, არც ბედისწერას ადამიანისას!..

●

პროცესმა დაკარგა რეალური განზომილებანი და რაღაც მითიურ უსასრულობაში გადაიზარდა. გონების თვალი გაჰყვა ამ უსასრულობას და იმ 21 მთავარ სამხედრო დამნაშავეთა შორის, რომელთაც თავზე თეთრმუზარადებიანი სამხედრო პოლიციელები ადგნენ ხელკეტებით, დაინახა ათ მილიონამდე კიდევ სხვა — იმ ექვსი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მეთაურები და აქტიური ფუნქციონერები, რომელთაც ამავე პროცესზე ასამართლებდნენ. აქვე გამოჩნდნენ ისინიც, ქმრებსა და შვილებს რომ სწერდნენ ფრონტზე: „ვილი, ძვირფასო, გამომიგზავნე სურათები, როგორ ხოცავ პარტიზანებს“. არც ისინი დარჩნენ შორს, საკონცენტრაციო ბანაკებში დახოცილთა ტანსაცმელს რომ ინაწილებდნენ და, სისხლს თუ შენიშნავდნენ, საჩივრებს გზავნიდნენ, რატომ წინასწარ კარგად არ წმენდენო. მსჯავრს ვერც ის „სინდისისა და პასუხისმგებლობისაგან“ გათავისუფლებული გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები ასცდნენ, დაპყრობილ ქვეყნებში რომ აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას... და კიდევ, ვინ იცის, რამდენი მილიონი იტაცებდა თავზე ხელს, ვინმეს რომ უფრო ხმამაღლა დაეძახა, დამნაშავეებს ქუდი ეწვითო.

მოსამართლეებს შორის ჩადგა ყველა, ვისაც ოდესმე სამართლის კვერთხი აღუმართავს. იარუსზე კი 250 კორესპონდენტთან ერთად იყო დანარჩენი მსოფლიო, რომელიც ინტერესით ადევნებდა თვალყურს პროცესის მიმდინარეობას და ფიქრობდა თავის მომავალზე...

**... არც ესაა ყველაფერი. მერე რომ ამ ომის მსხვერპლნი... ერთბაშად წამოიმართნენ და ჰკითხეს ცოცხლებს: თქვენ სად იყავით, როცა ეს ამბავი ხდებოდაო, ვინ იცის, კიდევ რამდენმა მილიონმა იგრძნო თავი სამსჯავროს წინაშე, იურიდიულისა თუ არა, მორალურისა მაინც.**

●

... ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ამ, ისტორიაში ჯერ არნახულ პროცესს სრულიად მარტივი და ადვილად გასაგები მოდუსი მოუძებნა. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა თქვა კიდეც:

— საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ზოგადი ამოცანა მარტივია, იგი სულ სამი პუნქტისაგან შედგება:

**1.** ადგილი ჰქონდა თუ არა მოქმედებას, რაც ტრიბუნალის წესდებით განმარტებულია, როგორც დანაშაულებრივი.

**2.** არის თუ არა ეს მოქმედება შედეგი საერთო გეგმის, ანუ შეთქმულებისა.

**3.** არიან თუ არა ბრალდებულები იმათ რიცხვში, ვინც ამაზე სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს.

სწორედ რომ სისხლის სამართლისა! ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ წინასწარ, თორემ ზოგს ჰგონია, ნიურნბერგში დამარცხებული გერმანიის ნაცისტ ხელმძღვანელებს მათი პოლიტიკური იდეების გამო ასამართლებდნენ გამარჯვებული სახელმწიფოები. ამის შესახებ თავიდანვე გარკვევით განაცხადა იმავე ჯეკსონმა:

— ჩვენ მათ იდეების გამო არ ვასამართლებთ. ბრალდებულებს უფლება აქვთ, თუ ეს სურთ, ჩირქი მოსცხონ იუდეველთა შენაძენს ცივილიზაციის ისტორიაში, რომლის ნაწილად ერთ დროს თვითონ გერმანიაც ითვლებოდა. ამის გამო მათ საერთაშორისო ტრიბუნალს არ გადასცემდნენ, რომ სახელმწიფოთა საზღვრები არ გადაელახათ...

და სხვა ისეთი დანაშაული არ ჩაედინათ, რაც ჩამოყალიბებულია ტრიბუნალის წესდების ქვეთავში: „იურისდიქცია და საერთო პრინციპები“ (განყ. II, სტატია 6).

ამავე ტრიბუნალის იურისდიქციით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენენ და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას იწვევენ შემდეგი ქმედობანი ან რომელიმე მათგანი:

ა) დანაშაული მშვიდობის მიმართ, სახელდობრ: დაგეგმვა, მომზადება, დაწყება თუ წარმოება აგრესიული ან კიდევ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დამრღვევი ომებისა; აგრეთვე საერთო გეგმასა ან შეთქმულებაში მონაწილეობა, რაც მიმართულია რომელიმე ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელებისაკენ.

ბ) სამხედრო დანაშაულობანი, სახელდობრ: ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა, რასაც მიეკუთვნება ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობა, წამება, მონებად ან სხვა რამ მიზნისათვის წაყვანა; სამხედრო ტყვეების ან ზღვაზე მყოფ პირთა მკვლელობა ან წამება, მძევალთა დახოცვა; საზოგადოებრივი ან კერძო ქონების ძარცვა; ქალაქებისა და სოფლების უაზრო ნგრევა-განადგურება სამხედრო აუცილებლობის გარეშე და სხვა დანაშაულობანი.

გ) დანაშაულობანი ადამიანურობის მიმართ, სახელდობრ: სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობა, დახოცვა, დამონება, გადასახლება და სხვა სისასტიკე, ან კიდევ დევნა პოლიტიკური, რასიული თუ რელიგიური მოტივებით, ისეთი დანაშაულის განსახორციელებლად (ან მასთან დაკავშირებით), რომელიც ექვემდებარება ტრიბუნალის იურისდიქციას, იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა ეს ქმედობა ქვეყნის შინაგანი წესების დარღვევა.

ხელმძღვანელები, ორგანიზატორები, წამქეზებელნი და ხელისშემწყობნი, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ რომელიმე ზემოთ აღნიშნული დანაშაულობის დაგეგმვასა ან შესრულებაში, პასუხს აგებენ ყველა ქმედობაზე, რაც ჩადენილია ამა თუ იმ პიროვნების მიერ ასეთი გეგმის განხორციელების მიზნით.

ტრიბუნალი მტკიცების გარეშე მხედველობაში არ იღებდა არცერთ დანაშაულებრივ ფაქტს. ყველაფერი უნდა წარდგენილი და დასაბუთებული ყოფილიყო. რაც პროცესის მიმდინარეობის დროს არ იქნებოდა თქმული და დადასტურებული, ბრალდებად არ ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველაფერმა, რაც მოხდა, ხელახლა კალეიდოსკოპივით გაიარა პროცესის მონაწილეთა თვალწინ. ამას დიდი დრო მოუნდა: მოსამზადებელი პერიოდის გარდა — ათი თვე! ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა 212 სხდომა, შედგა 16 ათასი თაბახი ოქმი, ჩაიწერა 27 ათასი მეტრი ფირი, გადაღებულ იქნა 7 ათასი ფოტოფირფიტა, გამოქვეყნდა 5390 დოკუმენტი, დაიკითხა ათასამდე მოწმე... და მიუხედავად ამისა, ის პროცესი დღემდე არ დამთავრებულა. ცხადია, ამას იურიდიული თვალსაზრისით კი არ ვამბობ, არამედ ისტორიულით. ამ მხრივ კი ბევრი რამ დარჩა გაურკვეველი, თუნდაც „უბრალო“ საკითხი: როგორ გახდა ყველაფერი ეს შესაძლებელი მეოცე საუკუნეში, ცივილიზაციის თანამედროვე დონეზე, ევროპის შუაგულში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ქვეყანაში?

... მახსოვს, იმ დღეს პროცესზე რომ შემოიტანეს „ძვალსამტვრევი მანქანა“, პატიმრების ქონისაგან დამზადებული საპონი, ცოცხალი ადამიანის ტყავისაგან გაკეთებული ნივთები: აბაჟურები, ხელჩანთები, საფულეები და სხვა. მდივანმა ქალმა ვერ აიტანა და იკივლა. მთარგმნელ გოგონას გული შეუღონდა... ბრალდებულთაგან ზოგმა თავი ჩაღუნა, ზოგმა შავი სათვალე აიფარა, პაპენმა და შახტმა ზურგი შეაქციეს დარბაზს... ამერიკელმა ბრალმდებელმა კი ხელში ლექსების წიგნი შეათამაშა და თქვა:

— აი, ლირიკული ლექსების კრებული, რომლის ყდაც ცოცხალი ადამიანის ტყავისაგანაა გაკეთებული...

ახლა ჩემ გვერდით მჯდომმა ფრანგმა პოეტმა, რომლის შესახებაც შემდეგ გიამბობთ, ვერ მოითმინა, ფეხზე წამოხტა და ისტერიულად იყვირა:

— სალუტ ცივილიზაციას, სალუტ!..

სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო, თვალები უზომოდ გაფართოებოდა და ბნედიანივით ცახცახებდა. ვეცით, რომ გარეთ გაგვეყვანა... გაგვიძალიანდა, ყელსახვევი ჩამოიგლიჯა და ერთხელ კიდევ შესძახა:

— სალუტ!

ძლივს გავიყვანეთ, გარეთაც ბორგავდა და ყვიროდა:

— უნდა ვაღიაროთ! სხვა გზა არ არის, უნდა ვაღიაროთ!

ჯერ მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციეთ, მერე ისევ რამდენჯერმე წამოიყვირა:

— თუ ასეა, უნდა ვაღიაროთ!

— რა უნდა ვაღიაროთ? — ჩავეკითხე მე.

თითქოს მის დაძაბულ სხეულს ერთბაშად ძვლები გამოეცალაო, ისე მოეშვა, მოდუნდა და ჩვარივით დაეცა სკამზე. მერე თვალებზე ხელები აიფარა და უფრო გაგუდული ხმით თქვა:

— უნდა ვაღიაროთ:

— რომ ქვეყანა შეიშალა;

— რომ ბრძოლა უაზროა;

— რომ სიკეთე შეუძლებელია;

— რომ ყველაფერი დამთავრებულია და...

— რომ ჩვენც მალე მგლებივით დავიწყებთ ყმუილს!..

მერე სული მოითქვა, გარშემო უაზროდ მიიხედ-მოიხედა და სულ მთლად გაგუდული ხმით დაუმატა:

— მაშინ მეც ცოცხალი ადამიანის ტყავისაგან დაწნულ სიმებს გავუბამ ჩემს ჩანგს, დავჯდები რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმის წინ და ყოველდღე თითო საზიზღარ ლექსს შევაფურთხებ კაცობრიობას...

●

— კაცობრიობა გადაგვარდა, ადამიანი ნთქავს თავისივე წინაპრების ტვინს, — ყვიროდა ცინიკოსი და ასეთ ამაზრზენ სურათს ხატავდა:

ფეშენებელური რესტორანი... რჩეული საზოგადოება... მილიონერები და მათი ხასები... ბატონები და ქალბატონები... ოქრო და ვერცხლი... ფარჩა და სიასამური... თანამედროვე კულინარიის საოცრება და შადრევანი შამპანურების... ბოლოს კი...

დელიკატესი!..

ვერცხლის სამფეხებზე გაკრული ცოცხალი მაიმუნები, კისერზე ვერცხლისავე მარყუჟშემოჭერილნი და თავზე ტყავგადამძვრალნი... ვერცხლის პაწია ჩაქუჩები და კოვზები... ნატიფი მოძრაობანი... ჩაქუჩების რაკუნი მაიმუნების შიშველ თავის ქალაზე... ძვლების ყრუ მტვრევა... პატარა კოვზები და...

ცივილიზებული კაცობრიობა მადიანად შეექცევა თავისი შორეული წინაპრების თბილ ტვინს...

# მიხეილ ქვესელავა

# ას ერგასის დღე

## იბეჭდება შემოკლებით



რუდოლფ ჰესი, ერიხ რედერი, ვალტერ ფუნკი



გუსტავ კრუპი, რობერტ ლეი, ჰანს ფრიჩე



ფრანც ფონ პაპენი, იალმარ შახტი, კარლ დენიცი

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

გენერალისიმუსი
2024 წლის 16 სექტემბერი, №45 (281)
სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



ი:

დიდი პასუხისმგებლობა, მათ შორის მეორე ვადით,
ჲო დაუბრუნდეს ევროპულ გზას

# ერთჯერადი გამოყენების პრეზოდაც ვერ ივარგა!

**გაუტკბა კაი ცხოვრება,** ვისკის ლევა, წევა და ჯამ-ჭურჭლის მტვრევა.

**მეორე ვადითაც** უნდა წამოწოლა ორბელიანების სასახლეში და ბუმბულებით დანიავება. არადა, **მეორედ** თუ შედგა იქ ფეხი, ისევ იმას იზამს, რაც **პირველ ჯერზე** ჰქმნა — ახლად დასრულებული რემონტი ხელახლა დააწყებინა, **ერთ ბორჯღისთან** შპალერების ფერი არ მოეწონა, **მეორე ბორჯღისთან** კიდე — განათება, თვითონ ჯამ-ჭურჭელსა და ჭაღების ფორმაზე ჰქონდა გართულება. რაკი ჭაღები შეაცვლევინა, ნოხები და ფარდებიც ზედ მიაყოლა. ლამის კედლები დაათხრევინა და ელგაყვანილობა ხელახლა გააკეთებინა.

**ახლაც ეგრე იზამს, ახლაც აიშვერს ქოშებს უკუღმა!**

☺

გეუბნებით, ეს არ მოხდება, მაგრამ, თუ გაუვარდა მეველესავით, ეგრევე დაიბარებს თავის ძმა **ოთარას** და ტექნიკურ ხაზეინად დანიშნავს. **პირველ ჯერზე** ვერ მოასწრო, მაშინ უმძრახად იყვნენ, მოგვიანებით შერიგდნენ.

რაც მთავარია, იმ სასახლეს გველ-ბაყაყთა ბუნაგად გადააქცევს, როგორც **პირველ ჯერზე** გადააქცია. უფრო გააფართოებს და უფრო გაიჯეჯილებს!

ასე რომ, დროზე ჩაუწყეთ „პრავიზიონკაში" საცვალნიფხვები, რომ **მეორედ** ველარ შემოგვტენონ. ხომ ხედავთ, **ერთჯერადი გამოყენების პრეზოდაც ვერ ივარგა!**

# კუპონავ, ეს რა მოჩმახე ქართველ სპორტსმენებზე?

**შევარდნაძის** ლეღვის ფოთოლი იყავ, სისულელეები აკეთე, **ამოგისვა, მოგიშორა, გადაგაგდო!**

**სააკაშვილის** ლეღვის ფოთოლი იყავ, იბოდიალე, ხეირიანი ვერაფერი გააკეთე, **ამოგისვა, მოგიშორა, გადაგაგდო!**

ბოლოს **ნაცებს** მიეფარე ლეღვის ფოთლად, მაგათაც **ამოგისვეს, მოგიშორეს, გადაგაგდეს!**

პარლამენტში **ხატია დეკანოიძესთან** ერთად რაღაც სასაცილო ჯგუფი შექმენი, „ევრო-ოპტიმისტები" დაარქვი, მიედე, მოედე, იბუქსავე, ხატიამაც **ამოგისვა, მოგიშორა, გადაგაგდო** და ისევ ნაცებში დაბრუნდი!

**დავითვალოთ, რამდენჯერ ხარ ნახმარი და ამოსმული?**

**თვითონ დაითვალე, რაც მე არ ვიცი, ისიც მიამატე, დარწმუნებული ვარ, ცოტა არ გამოვა.**

ბოლოს ისე წაგივიდა საქმე, **ლეღვის ფოთლადაც აღარავის უნდიხარ** და ეგეთ ბინძურ რაღაცებს იმიტომ ლაპარაკობ, გინდა, ახალგაზრდა სპორტსმენებს, წარმატებულებს, ჩემპიონებს გული გაუტეხო.

არ გამოგივა მაი ამბავი!

**26 ოქტომბერს საბოლოოდ ამოგისვამენ.**

ფუჰ, შენი!



რომან გოცირიძე:

ცნობილი და აღიარებული სპორტსმენები, საყვარელი ადამიანები, „ქართული ოცნების" პოლიტიკურად მახინჯ სხეულზე ლეღვის ფოთლის როლს შეასრულებენ

# გა-ცენტრ-ილები




გია ჯაფარიძე:

26 ოქტომბერს თბილისი გახდება ევროპის დედაქალაქი, თბილისი გახდება ევროპის ცენტრი!

ვინც არ იცნობთ, გაიცანით — **ეს მეორე გირჩია, ზურაბას ძმა.** გეგონება, ერთი **შარვალჩახდილი** არ გვეყოფოდა, ახლა მეორეც გაიჩითა. **როცა თბილისი ევროპის ცენტრი და დედაქალაქი გახდება, შეიძლება მესამეც გაიჩითოს და არ გაგიკვირდეთ!**

ამ ჭკუანაღრძობებს **14-მილიარდიანი აფერა** არ ჰყოფნით, ვითომ ევროკავშირი რომ გვაძლევს 26 ოქტომბრის შემდეგ და ახლა ეს მოიგონეს — **თუ გავიმარჯვებთ, თბილისი გახდება ევროპის დედაქალაქი, თანაც ცენტრიო!**

**ხატია დეკანოიძეს** ჩაეკითხნენ — **14 მილიარდს რომელი ორგანიზაცია გვაძლევს, დააკონკრეტეთო და...** იცით, რა უპასუხა? **ეხლა მაგის დრო არ არისო.**

☺

საერთოდ, წესია, როცა ტყუილს იგონებ, თუ გინდა, დამაჯერებელი იყოს, ამ ტყუილთან დაკავშირებით ტყუილი პასუხებიც მზად უნდა გქონდეს. პირველივე შეკითხვაზე რომ ჩაფლავდები, ეგ რანაირი ტყუილია?

**როგორ გვაძლევს ევროკავშირი 14 მილიარდს, როცა არ გვაძლევს?** ის მაინც თქვი, რას გვაძლევს — ევროს, დოლარს თუ ლარს?

აბა, რანაირად გახდება თბილისი ევროპის ცენტრი, როცა საამისოდ ერთი მიზეზიც კი არ არსებობს?

მოკლედ, **ერთი შარვალჩახდილი არ გვეყოფოდა და მეორეც გაიჩითა!**





# რაჭველიც მიაყოლეთ!

**ლაშა აკაკიევიჩ ბაქრაძე** ლიტერატურის მუზეუმიდან **გააჭიტლაყეს.** მე თუ მკითხავთ, უფრო ადრეც იყო მისაჭიტლაყებელი და კიდე ბევრი — ზედ მისაყოლებელი.

## კულტურის სამინისტროს კიდევ ერთი საპანღურე კანდიდატურა

## ხომ არ შევთავაზოთ?

**ჰო, ეგ არი, დირიჟორი მემანიშვილ-რაჭველი, სიმფონიური ორკესტრის უმფროსი და კაი ხელფასზე მომჯდარი მეჯოხე.**

მოკლედ, **მაგათი ენისა და ჯოხის ქნევა არ გაიშვა** ყიზილქილისას გადასახვევამდე!

# ლაზარე ჯორბენაძე:



## სააკაშვილმა „ქართულ ოცნებას“ მადლობა უნდა გადაუხადოს, რომ სანატორიუმში ყოფნის პერიოდში ნარკოტიკები გადააგდო!



*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-38*

*— რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ნაცსექტისა და კოლექტიური დასავლეთის განცხადებები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ერთმანეთს, ანუ კოლექტიური დასავლეთი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს,* ***— აცხადებს თავის მორიგ ინტერვიუში უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე და დასძენს:***

## „რატომ ხმას არ იღებთ და არ ლაპარაკობთ, რომ ე.წ. გლობალური ომის პარტია სინამდვილეში არის ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო?“

— გადატრიალების მოწყობა მხოლოდ ნაციონალ ვირთხებს არ შეუძლიათ, რადგან არამარტო კრეტინები არიან, არამედ არც ფინანსური რესურსები გააჩნიათ და არც ოპერატიული დაგეგმვის გამოცდილება. სამაგიეროდ, ამ ყველაფრის რესურსი აქვთ ამერიკისა და ევროპის სპეცსამსახურებს. **სწორედ ამერიკელები და ევროპელები გეგმავენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დამხობას, რაც საქართველოს დამხობას ნიშნავს!** ამიტომ ხელისუფლებამ კარგად გამოიფხიკოს ყურები და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას... აი, მაგალითად, რომ გაიძახიან — **გლობალური ომის პარტიაო!** — ეს რას ნიშნავს? ბუჩქებშია გლობალური ომის პარტია დამალული და არ იციან, ვინ წარმოადგენს ამ ძალას? **დალოცვილებო, რატომ ხმას არ იღებთ და არ ლაპარაკობთ, რომ ე.წ. გლობალური ომის პარტია სინამდვილეში არის ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ანუ ე.წ. ცერეუ, ამერიკის სპეცსამსახურები, ევროპის სპეცსამსახურები და ამერიკისა და ევროპის დიდი სახელმწიფოების ლიდერები!** ეს რომ ასეა, ყველამ იცის, მიყრუებულ სოფელში რომ გლეხია, იმანაც იცის... ჰოდა, შე დალოცვილო, მე რომ ეს ვიცი, თქვი შენც და გამიხარდება, უფრო კარგად დაგიკრავ ტაშს! სწორედ ამერიკული ცერეუ და ევროპული სპეცსამსახურები მფარველობენ ბანდიტ და ნარკომან **კეზერაშვილს,** რომელიც ევროპაში „ლინკოლნითა“ და „ბრაბუსით“ დაგრიალებს და კაციშვილი ხელს არ კიდებს!

**— ამერიკისა და ევროპის სპეცსამსახურებმა კეზერაშვილს ხელშეუხებლობის გარანტია რატომ მისცეს?**

— დავიწყოთ იმით, რომ კეზერაშვილი ჩვეულებრივი ნარკომანი და ვირთხაა, რომელიც ყველაფრის მკადრებელია. ამერიკისა და ევროპის სპეცსამსახურებმა კეზერაშვილს ხელშეუხებლობის გარანტია იმიტომ მისცეს, რომ ფინანსური პოლიციის უფროსობისა და თავდაცვის მინისტრობის დროს ეს ნაძირლა თავიდან ბოლომდე იმათ დავალებებს ასრულებდა და დღესაც ასრულებს. **დიდძალი ფული რომ მოდის არჩევნების ასარევად და გადატრიალების მოსაწყობად, როგორ ფიქრობთ, ვისია? ცხადია, ამერიკელებისა და ევროპელების!** მეტი საქმე არა აქვთ სააკაშვილს, ადეიშვილსა და კეზერაშვილს, გადატრიალების მოსაწყობად თავიანთი ფული დახარჯონ. ხელისუფლების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ე.წ. ქოლცენტრების საქმის გახსნით **კეზერაშვილს** სერიოზული დარტყმა მიაყენა, მაგრამ იგი მაინც აბლაბუდასავით არის მოდებული ქართულ ბიზნესს. სამწუხარო და სავალალოა, რომ თავის დროზე შეერთებულმა შტატებმა „ქართული ოცნება“ აიძულა და კეზერაშვილს საქართველოდან თავისი ნაძარცვ-ნაალაფარის აქტივების გატანის საშუალება მისცა! **კაცი „წითელი ცირკულარით“ იძებნება, მაგრამ შუაგულ ევროპაში ამერიკელ და ევროპელ მალადჩინოსნებს ხვდება და კაციშვილი ხმას არ სცემს. იგივე ითქმის ზურაბ ადეიშვილზეც...** პირდაპირ გეტყვით, „ქართული ოცნება“ ვერც **მეგის ქარდავას** ჩამოათრევდა, რომ არა მისი შიზოიდური ხასიათი...

**— მაინც რა მოხდა?**

— მეგის ქარდავა ცნობილი ფსიქოპათია და ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს ქალზე იძალადა, რასაც ევროპაში არავის პატიობენ. ამიტომ ევროპელ სპეცსამსახურებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ — ძალიან კარგად იცოდნენ ძებნაში რომ იყო, სტაცეს ხელი და საქართველოს გადმოსცეს! წინააღმდეგ შემთხვევაში, **ქარდავა** დღესაც თავისუფალი და ხელშეუხებელი იქნებოდა! **კეზერაშვილს** უფრო მაღალი ხელშეუხებლობის გარანტია აქვს მიცემული და მისი „წითელი ცირკულარით“ ძებნა იუსტიციის სამინისტროს შენობას, ფაქტობრივად, არ გასცდენია. კვიპროსს, სადაც ის თავს აფარებს, **კეზერაშვილისთვის** პოლიტიკური თავშესაფარი არ მიუცია, მაგრამ არც დაუჭერია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვირთხა „წითელი ცირკულარით“ იძებნება!

**— მაშ, რაშია საქმე?**

— საქმე ძალიან დიდ ფულშია... საქართველოში ნავთობის ბიზნესის ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე არის ის ფირმა, რომლის უკანაც სწორედ **კეზერაშვილი** დგას. ფირმა **„მაგნატი“** მან **ჯემალ ლეონიძეს** წაართვა, ხოლო **„სენტა“ — დავით მიმინოშვილსა და ზაალ იაკობიძეს.** უწესიერესი კაცი, ბიზნესმენი **ჯემალ ლეონიძე** ნაცებმა და **კეზერაშვილმა** მიწასთან გაასწორეს, უმდიდრესი ადამიანი ქონების გარეშე დატოვეს და მისი კუთვნილი სახლები, რესტორანი და ტერმინალები თბილისში, ქარელსა და სამტრედიაში მიისაკუთრეს. სხვათაშორის, ამ საქმეზე სამართლიანობა დღემდე არ აღდგენილა და **ჯემალ ლეონიძე** კუთვნილი ქონების დაბრუნებას, რომელიც მაშინდელი შეფასებით 80 მილიონ დოლარს აჭარბებდა, დღემდე ელის. ვინც ამ ხალხს ეს ქონებები წაართვა, დღეს პროკურატურასა და ქვეყნის პოლიტიკურ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე არიან! კეზერაშვილმა ეს ჩამორთმეული ბიზნესები და ტერმინალები გააერთიანა **კომპანია „გალფში“,** რომელიც რუსეთში მოღვაწე ქართველ ებრაელზე **დავით იაკობაშვილზე** გააფორმა. **იაკობაშვილი** დღეს ისრაელში ცხოვრობს. **კე-**

## „ჭყონდიდელ მიტროპოლიტს, მიშამადიდებელ ცრუ-პეტრეს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ძმები ახალაიებისა და სხვა სატანების სალხინოს მონასტერში გადამალვა პირადად მიშამ დაავალა!“







დათა და ბაჩო ახალაიები



# „სწორედ ამერიკული ცერეუ და ევროპული სპეცსამსახურები მფარველობენ ბანდიტ და ნარკომან კეზერაშვილს, რომელიც ევროპაში „ლინკოლნითა“ და „ბრაბუსით“ დაგრიალებს და კაციშვილი ხელს არ კიდებს!“

## „დღევანდელი ხელისუფლება კეზერაშვილის ოფშორების მისამართებს რომ ეძებს, მისი ყოფილი მოადგილეები ხელისუფლებაში უზით!“

**ზერაშვილსა** და მის ხროვას შექმნილი აქვთ ფულის კეთების უნიკალური სისტემა.

**— მაინც რა სისტემა?**

— იმისთვის, რომ იაფად ნაყიდი ბენზინის ან დიზელის საწვავის ფასი ხელოვნურად გაზარდონ, **კეზერაშვილი და მისი ბანდა** ორმაგ გადაყიდვას მიმართავენ. კერძოდ, საწვავის თავდაპირველად მყიდველი ფირმა, რომელიც ისევ და ისევ კეზერაშვილისაა, ფასდანამატს არიცხავს და საწვავს საქართველოში შემომტან ფირმაზე ყიდის, ხოლო საქართველოში საწვავის შემომტანი ფირმა ბენზინსა და დიზელს კიდევ ერთხელ ყიდის სხვა ფირმაზე, რომელიც საწვავს ანბაჟებს და ასე სამმაგი ფასდანამატით ხელოვნურად ძვირდება ბენზინი და დიზელი! **დარწმუნებული ვარ, ამ უბინძური ოპერაციების შესახებ ჩვენმა ძალოვანმა და სპეციალურმა უწყებებმა ყველაფერი ზედმიწევნით იციან, მაგრამ, როგორც ჩანს, კეზერაშვილთან დაკავშირებით რაღაც ხდება. ფაქტია, რომ ამ ყველაფრის უკან დგას მილიარდერი დავით იაკობაშვილი, ხოლო იაკობაშვილის უკან — კეზერაშვილი!**

**— კეზერაშვილი სააკაშვილმა რა ნიშნით გამოარჩია და შეარჩია?**

— **კეზერაშვილი** ერთი ნარკომანი ვირთხაა. **სააკაშვილი** თავისით არაფერს აკეთებდა და კადრებს თავიდან ბოლომდე არჩევდნენ ამერიკის სპეცსამსახურები, რომელთა მიზანი ქართველების ხერხემალში გადატეხა, ხალხიდან რაც შეიძლება მეტი ფულის ამოღება და საზოგადოების „დაჩმორება“ იყო.

## ამ გეგმის შესასრულებლად საჭირო იყო ნარკომანები, ფსიქოპათები, მკვლელები და ყველაფერზე წამსვლელი ადამიანები. კეზერაშვილები, ახალაიები, მეგის ქარდავა და სხვები სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს!

**— სააკაშვილის რეჟიმის მთავარ ინკვიზიტორებს შორის კეზერაშვილის გარდა კიდევ ვინ იყო ნარკომანი?**

— **დათა ახალაია** გაქანებული ნარკომანი იყო. **სანდრო გირგვლიანის** ტრაგედიის შემდეგ მას დღე არ ჩაუგდია, რომ წამალი არ გაეკეთებინა! **სააკაშვილი** ნარკოტიკზე **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობის შემდეგ „შეჯდა“. ისე, სააკაშვილმა „ქართულ ოცნებას“ მადლობა უნდა გადაუხადოს, რომ სანატორიუმში ყოფნის პერიოდში ნარკოტიკები გადააგდო! მიშა „სუფთაზე“ იჯდა — კოკაინსაც მოიხმარდა და ჰეროინსაც!

**— სოსო თოფურიძე?**

— **სოსო თოფურიძე** ნარკომანი არ ყოფილა!

**— ბაჩო ახალაია?**

— **ბაჩო ახალაია** ნარკომანი არ ყოფილა, ფსიქოპათი იყო!

**— გია დგებუაძე, ანუ ე.წ. „მასტერა“?**

— **„მასტერა“** იმ უბინძურეს სისტემაში ყველაზე უფრო ღირსეული კაცი იყო და არც ნარკოტიკებს ეტანებოდა. სხვათაშორის, ის ძალიან განიცდიდა იმ უბედურებას, რასაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა. დანამდვილებით ვიცი, რომ **„მასტერა“** შინაგანად ძალიან მძიმედ იყო, რადგან იცოდა, რასაც აკეთებდა. ამიტომ იყო, რომ ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში იგი, ფაქტობრივად, გალოთდა და დავალებებს დალევის გარეშე ვერ ასრულებდა. სხვათაშორის, მაგათი უბინძურესი დავალებების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იყო **ხარება ხარაზიშვილი.** გაიხსენოს **ხარებამ,** სად იყო და რას აკეთებდა, როცა კუდის სპეცრაზმის უფროსი იყო! **ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი** (იცინის). ისე, დღევანდელი ხელისუფლება **კეზერაშვილის** ოფშორების მისამართებს რომ ეძებს, მისი ყოფილი მოადგილეები ხელისუფლებაში უზით, მოჰკიდონ ამ ხალხს ხელი, ცოტა „დააკაჩაონ“ და ყველაფერს იტყვიან!

**— სად აფარებდნენ თავს სააკაშვილის რეჟიმის მწვალებლები 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ?**

— რასაც ახლა ვიტყვი, ამის გამო საპატრიარქოსა და პატიოსანი მღვდელმთავრებისგან შენდობას ვითხოვ! სააკაშვილს თავისი ეპისკოპოსები ჰყავდა. ერთ-ერთი მიშამადიდებელი ეპისკოპოსი იყო **ცრუ-პეტრე.** საუბედუროდ, მიშამადიდებელი ეპისკოპოსები საპატრიარქოში ჯერ კიდევ გვყავს. ერთ-ერთი მიშამადიდებელი ეპისკოპოსი გარდაცვლილია.

**— მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილს გულისხმობთ?**

— კი, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რომ **მეუფე კალისტრატეს** თავის რეზიდენციაში სააკაშვილის სურათი წმინდა გიორგის ხატის გვერდით ჰქონდა ჩამოკიდებული და ამბობდა, რომ მიშა იყო დავით აღმაშენებელი! რომ ვეუბნებოდით — სააკაშვილი ხალხს ხოცავს და ათას უბედურებას სჩადის-მეთქი! — თქვენ არ იცით, დავით აღმაშენებელი უარესებს სჩადიოდა, მაგრამ მაგარი სახელმწიფო ააშენაო! მიშამადიდებელია კუმურდოელი ეპისკოპოსი, **მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილიც.** ჭყონდიდელ მიტროპოლიტ **მიშამადიდებელ ცრუ-პეტრეს** 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ **ძმები ახალაიებისა** და სხვა სატანების სალხინოს მონასტერში გადამალვა პირადად მიშამ დაავალა. სააკაშვილის გარეშე **ცრუ-პეტრე** ამას ვერ გაბედავდა!

**— ეს მწვალებლები და მწამებლები სალხინოს მონასტერში როდის ჩავიდნენ?**

— ესენი თბილისიდან 2012 წლის 3-5 ოქტომბრის შუალედში გაიპარნენ და სამეგრელოში სალხინოს მამათა მონასტერს შეაფარეს თავი. დათა ახალაიას სამი დღის განმავლობაში ვერავინ პოულობდა. 2012 წლის 4 ოქტომბერს მოვიდა ცნობა, რომ იგი, **სოსო თოფურიძე და მეგის ქარდავა** ცრუ-პეტრესთან იყვნენ მონასტერში, სადაც დაახლოებით თვე-ნახევარი იმალებოდნენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ზოგიერთ რაღაცებში ვერ თანხმდებოდნენ.

**— მაინც რაში ვერ თანხმდებოდნენ?**

— ამათ ქვეყნიდან გასვლა უნდოდათ, მაგრამ გარანტიას არ აძლევდნენ. ეს საკითხიც ამერიკის საელჩომ გადაწყვიტა. ამერიკის ელჩმა ამერიკის სპეცსამსახურების აგენტს **ირაკლი ალასანიას** უბრძანა, რომ **დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მეგის ქარდავა** თავდაცვის სამინისტროს მანქანებით სარფის საბაჟოს გავლით, თურქეთში გაეპარებინა! სააკაშვილს ისე ჰქონდა სისტემა აწყობილი, რომ საზღვარს ვინც გადმოკვეთდა, ეს ამბავი კუდისთვის ავტომატურ რეჟიმში ხდებოდა ცნობილი. სწორედ მაშინ, როცა ესენი სარფის საბაჟოს კვეთდნენ, სარფიდან დამირეკა ერთმა კარგმა პიროვნებამ და მაცნობა — **დათა ახალაია, მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე** ქვეყნიდან თავდაცვის სამინისტროს მანქანებით გაჰყავთ და რა ვქნათო? მოგეხსენებათ, ეს მანქანები შემოწმებას არ ექვემდებარებოდა... მე ვუთხარი — **შე დალოცვილო, თუ თავდაცვის სამინისტროს მანქანებით გაჰყავთ, ე.ი. შეთანხმებული ყოფილა ყველაფერი და შენ რა უნდა ქნა-მეთქი?!**

**— როგორ ფიქრობთ, ეს ამბავი ბიძინა ივანიშვილმა იცოდა?**

— შესაძლოა, ბატონმა ბიძინამ ამის შესახებ არ იცოდა, რადგან ამერიკის დაზვერვა და კონტრდაზვერვა საქართველოს სახელმწიფოდ არც თვლიდნენ და რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ! თან არ დაგვავიწყდეს ის ამბავიც, რომ „ქართული ოცნება“ ვალში იყო ამერიკის საელჩოსთან. **რომ არა ამერიკის საელჩო, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა და სააკაშვილი სისხლის ტბებს დააყენებდა.**

**— თვე-ნახევრის განმავლობაში დათა ახალაია, მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე სალხინოს მამათა მონასტერში რას აკეთებდნენ?**

— რას გააკეთებდნენ?! გაქანებული ნარკომანი **დათა ახალაია** წირვა-ლოცვას რომ არ დაიწყებდა, ცხადია! კაის ჭამდნენ, კაის სვამდნენ, ხოლო თბილისიდან ჩამოსდიოდათ ინფორმაციები.

**— როგორ, რანაირად?**

— კუდი სუსად ხომ გადაკეთდა? ჰოდა, თავიანთი ხელქვეითები, რომლებიც ახლა უკვე სუსის მაღალჩინოსნები გახდნენ, **დათა ახალაიას, სოსო თოფურიძესა და მეგის ქარდავას** სალხინოს მონასტერში აკითხავდნენ, ქეიფობდნენ და ჭერში ქუდებს ისროდნენ. მაგალითად, **ცრუ-პეტრესთან** დამალულ **დათა ახალაიასთან, მეგის ქარდავასთან და სოსო თოფურიძესთან** ინფორმაციები მიჰქონდა **ბათუ ქუთელიას** ძმას **გიგა ქუთელიას,** რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს სუსში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო, ანუ **დათა ახალაიას** პირადი „შნირი“ „ქართულმა ოცნებამ“ გადმოიბარა და სპეცსამსახურში მაღალ თანამდებობაზე ამუშავა. **გიგა ქუთელია** რა დონის კრეტინი და დეგენერატია და კუდში რა სისულელეები აქვს გაკეთებული, ამის შესახებ უსასრულოდ შემიძლია ვილაპარაკო!

**— როგორც ამბობენ, დათა ახალაია, მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე სალხინოს მამათა მონასტერში ანაფორებით და ხელოვნური წვერით იმალებოდნენ!**

— ესენი ცნობილი მკვლელები არიან და კაცი ასეთ სიბინძურეს რომ ხელს მოაწერს, ცხადია, ის ანაფორაში დამალვასაც იკადრებს. ფაქტია, რომ **დათა ახალაია, მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე** ცრუ-პეტრესთან სააკაშვილმა გადამალა. ცრუ-პეტრეს თანხმობის გარეშე ესენი სალხინოს მონასტერში ვერც მივიდოდნენ და ვერც დაიმალებოდნენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





**„ცრუ-პეტრესთან დამალულ დათა ახალაიასთან, მეგის ქარდავასთან და სოსო თოფურიძესთან ინფორმაციები მიჰქონდა ბათუ ქუთელიას ძმას გიგა ქუთელიას, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს სუს-ში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო!“**

მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე

**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, 2014 წლის საუკეთესო ინჟინერი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიათა აკადემიკოსი, პროფესორი ოლეგ ნამიჩეიშვილი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაქცევარ გიორგი ხუბუას ამხელს და დღევანდელი ხელისუფლებისგან ერთადერთი რამის გარკვევას ითხოვს: — აპირებს თუ არა „ქართული ოცნება“ სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე უსაძაგლესი „ინტელექტუალთა ჩარეცხვის“ პოლიტიკის დაგმობას და ამ პოლიტიკის განმახორციელებელი გიორგი ხუბუასა და მისი ხელქვეითების გასამართლებას?**






# ოლეგ ნამიჩეიშვილი:

# გიორგი ხუბუასა და მის თანამზრახველებს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა სამუდამოდ უნდა აეკრძალოთ!

— დავიწყოთ იმით, რომ ის, რაც ზნეობრივი პრინციპებიდან და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე არ გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინამორბედმა რექტორმა **რუსუდან ლორთქიფანიძემ** და ეს საქციელი მას **გიული ალასანიას** მეგობრობის დაკარგვად და კარიერული წინსვლის დამუხრუჭებად დაუჯდა, უყოყმანოდ იკისრა **გიორგი ხუბუამ.**

2007 წლის აპრილში, იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი სენაკელი ხელისბიჭის **გიორგი ჟორას ძე ხუბუას** დამანგრეველი ლაშქრობისგან განათლებისა და მეცნიერების სისტემა გვეხსნა, სააკაშვილის მიერ „ჩარეცხილებმა“ „ქართული აკადემია“ შევქმენით, რომლის ერთ-ერთი წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის პაპა **მალხაზ ზაალიშვილიც** იყო.

**— დააკონკრეტეთ, მაინც რა ზიანი მოუტანა გიორგი ხუბუამ ქართულ მეცნიერებას?**

— დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილმა და გიორგი ხუბუამ საქართველოში თუნდაც ფიზიკის მეცნიერების განვითარება ათეული წლებით შეაფერხეს. ეს პიროვნება თავისას არ მოიშლის და, თუ დასცალდა, აუცილებლად შეუდგება ივანიშვილის დაფუძნებული ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის განადგურებასაც და ამაში ბატონი ბიძინა მალე დარწმუნდება!

1989 წლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული კათედრის გამგეს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს **ლერი მიხეილის ძე ქურდაძეს.** მხოლოდ **ილია ვეკუას** დიდი თხოვნის შედეგად, უიშვიათესი ენციკლოპედიური ცოდნისა და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული ეს პიროვნება თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ, მაგრამ სააკაშვილმა და მისმა ხელისბიჭმა ხუბუამ ეს უდიდესი მეცნიერიც ჩარეცხეს. ამ სამარცხვინო საქმისთვის მათ გამოიყენეს გიგი უგულავას მამა **არჩილ უგულავა,** რომელიც თავის ბინძურ ენას ათასი საძაგლობისთვის მოიხმარდა. დიახ, **სააკაშვილმა და გიორგი ხუბუამ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ლერი ქურდაძე გიგი უგულავას მამას ენით მოაკვლევინეს!**

ასეთივე ჩარეცხილი აღმოჩნდა ბრწყინვალე ფიზიკოსი, პედაგოგი, განათლებისა და მეცნიერების შეუდარებელი ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე და გულანთებული პატრიოტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ მებონია,** რომელსაც ნერვიულობის ნიადაგზე უმძიმესი სენი შეეყარა და ახლახან გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის პაპამ, აკადემიკოსმა **მალხაზ მიხეილის ძე ზაალიშვილმა** — აკადემიის მოლეკულური ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ჯერ კიდევ 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა სპეციალიზაცია ბიოფიზიკა, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს ზოგად და უჯრედის ბიოფიზიკაში, ასევე, მოლეკულურ ბიოლოგიაში. ამ კათედრის გამგემ **გიორგი მრევლიშვილმა** 1984 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „ბიოლოგიური მაკრომოლეკულების დაბალტემპერატურული კალორიმეტრია“, რომელიც ათი წლის შემდეგ ითარგმნა იაპონურ ენაზე და გამოიცა ჰოკაიდოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში. **მალხაზ ზაალიშვილი და გიორგი მრევლიშვილი** მსოფლიოში ცნობილი ბიოფიზიკოსები, ჩვენი დამრიგებლები, კოლეგები და ახლო მეგობრები იყვნენ. ამ ორი გენიოსის შემდეგ, გიორგი ხუბუას წყალობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შერჩა ბიოფიზიკის პითეკანთროპი, ვინმე **თამაზ ჯუმბერის ძე მძინარაშვილი.** სწორედ **ავთანდილ არაბულის, თენგიზ სანაძის, ჯემალ მებონიას, მალხაზ ზაალიშვილისა და გიორგი მრევლიშვილის** გავლენის ამოძირკვას მოემსახურა ხუბუა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ყოფნისას და ახლა საჯიჯგნად მეორე უნივერსიტეტსაც ვაძლევთ?

**— ხუბუამ უნივერსიტეტში არაერთი ლაბორატორია გაანადგურა!**

— აკადემიკოს **ელეფთერ ანდრონიკაშვილის** მიერ შექმნილ ფიზიკის უნიკალურ სასწავლო ლაბორატორიაში აგებული იყო დანადგარები, რომელზეც სტუდენტები იმეორებდნენ და სწავლობდნენ ნობელის პრემიათა ლაურეატების ექსპერიმენტულ შედეგებს. ამ სამუშაოთა აღწერებმა შეადგინა ელეფთერ ანდრონიკაშვილის „ლაბორატორიული სამუშაოები ფიზიკაში“. წიგნი სავალდებულო სახელმძღვანელოდ იყო მიღებული მთლიანად საბჭოთა კავშირში და სანიმუშო პრაქტიკუმად ითვლებოდა მსოფლიოში. ამ უნიკალურ ლაბორატო-

## „სააკაშვილმა და ხუბუამ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ლერი ქურდაძე გიგი უგულავას მამას ენით მოაკვლევინეს!“


ლერი ქურდაძე

## კვირგვინოსნები

**თემურ გიორგაძე**
*საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი*



ვინც ამ სამსახურში გაზრდილი არ არის, **მეხანძრეობით დაწყებული, თუ ბოლი არ უყლაპავს და სასოწარკვეთილი ადამიანების თვალებში არ ჩაუხედავს, არ იცის, როგორ გადაარჩინოს,** იმ ხელმძღვანელ პირს ძალიან გაუძნელდება მუშაობა. იმას ვერ იტყვი, მენეჯმენტშია მაგარი და მოდი, დავნიშნოთო... **6 საათზე კაბინეტის კარს ვერ დაკეტავ და შინ ვერ წახვალ.**

„კვირის პალიტრა“

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის პროფესორი*



ჩვენი მოქალაქეები **საზღვარგარეთ კი ხარჯავენ რაღაც თანხას,** მაგრამ, თუ შევადარებთ **უცხოელი ვიზიტორების საქართველოში დანახარჯს,** სხვაობა თვეში დაახლოებით **350-მილიონდოლარიან დადებით სარგოს გვაძლევს,** ანუ მეტი თანხა შემოდის, ვიდრე გადის.

„კვირის პალიტრა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



აიძულეს პირდაპირ **ტალახაძე და პეტრიაშვილი,** რომ სიაში ყოფილიყვნენ, მაგრამ **არც ეს უშველით.**

„რეზონანსი“

**გურამ ღუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთიანობის“ წევრი*



„ქართული ოცნება“ **26 ოქტომბრის 8 საათზე** დამარცხებულ პარტიად გამოცხადდება.

„ახალი თაობა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



არჩევნებამდე **არაერთ უსიამოვნო ფაქტს ვიხილავთ** და სიტუაცია დღითი დღე დაიძაბება.

„რეზონანსი“

# „ხუბუა თავისას არ მოიშლის და, თუ დასცალდა, აუცილებლად შეუდგება ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის განადგურებასაც!“




პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებაზე. 2024 წლის 6 სექტემბერი

რიაში იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **დავით ქერესელიძემ** იურიდიული ფაკულტეტის ულიმღამო სამკითხველო შექმნა, რომლის ერთადერთი ღირსება იქ წარმოდგენილი იურიდიული ლიტერატურაა ინგლისურ ენაზე. ასეთივე ბედი ეწია ფიზიკური ექსპერიმენტის ჯადოქრის **ნოდარ ბვილავას** მიერ შექმნილ სასწავლო-კვლევით ლაბორატორიას ნახევარგამტარული მასალებისა და ხელსაწყოების შესასწავლად ორიგინალურ ფიზიკურ დანადგარებზე კომპიუტერული მართვით.

ხუბუას მიერ ჩატარებული ჩარეცხვის ოპერაციათა საგა რომ განვაგრძოთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ უნიკალური წიგნების ქურდობა საუნივერსიტეტო ფონდიდან, თუმცა, ამაზე შემდგომ...

სად წაიღეს **კუკური თურქაძის** რუდუნებით შექმნილი ოპტიკისა და ატომური ფიზიკის უნიკალური ლაბორატორიები, სადაც წარმოდგენილი იყო ნობელის პრემიის ლაურეატთა ორიგინალებთან მაქსიმალურად მიმსგავსებული ფიზიკის ექსპერიმენტული დანადგარები, რითიც მსოფლიოს ნებისმიერი უნივერსიტეტი იამაყებდა? ნუთუ საშუალება უნდა მივცეთ ხუბუას, რომ იგივე გააკეთოს **ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში?** არადა, კარგად გვახსოვს, როგორ გვარწმუნებდა, რომ ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარება ზედმეტი ფუფუნებაა ისეთი ღარიბი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

**— ხუბუამ უნივერსიტეტს პოლიციაც შეუსია...**

— აკადემიკოს **გიორგი ძოწენიძეს,** როგორც საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, დაცვა ემსახურებოდა. ამავდროულად, იგი პედაგოგიურ საქმიანობას განაგრძობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ერთხელ ლექციიდან გამოსვლისას მან თავისი დაცვის სამსახურის რამდენიმე ფორმიანი ოფიცერი დაინახა დერეფანში და საშინლად აღელდა. მათი შემოსვლა უნივერსიტეტში ამ თეთრი ტაძრის უდიდეს შეურაცხყოფად ჩათვალა და იმავე დღესვე გაათავისუფლა დაცვის სამსახურის უფროსი. **გიორგი ხუბუამ** კი უნივერსიტეტის თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც სააქტო დარბაზში განათლების ახალ კანონს იხილავდნენ, პოლიციის სპეციალური შეიარაღებული რამდენიმე რაზმი გამოიძახა, გადაკეტა დარბაზის ყველა კარი და თათბირის მონაწილეებს ტუალეტებისა და სასმელი წყლის გამოყენების საშუალება მოუსპო.

**— ნაცტროცკისტები დღემდე თავს იწონებენ, რომ მათ უნივერსიტეტში უნიკალური კონკურსი ჩაატარეს!**

— ხუბუას უახლოეს გარემოცვაში მყოფი ძალიან საეჭვო რეპუტაციის ადამიანების წყალობით, გატარდა **ჩარეცხვის ოპერაცია,** რომელსაც ფორმალურად კონკურსის სახე მიეცა, თუმცა, საკონკურსო მონაცემები არც კი განხილულა. როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის არჩევის საკონკურსო კომისიის მათემატიკა-ინფორმატიკის მიმართულების ხელმძღვანელმა **ალექსანდრე (საშა) შანგუამ** პირად საუბარში მითხრა, მასალის ობიექტურად შესწავლის არც დრო იყო და არც აუცილებლობა, რადგან უფრო ნოვატორული პრინციპი მოქმედებდა: გვარის ამოკითხვის შემდეგ კონკურსანტის ბედს წყვეტდა გიორგი ხუბუას სპეციალურ რწმუნებულთა აზრი ამ კონკურსანტის ლოიალობის თაობაზე ხელისუფლების მიმართ. უნივერსიტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაციაც გაუაზრებლად განხორციელდა. მაგალითად, როცა ფიზიკის ფაკულტეტი შვიდ ფაკულტეტთან ერთად აღმოჩნდა ერთ-ერთ მიმართულებად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, სტუდენტთა რაოდენობა აქ რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ერთეულამდე დავიდა.



მალხაზ ზაალიშვილი

> „იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი სენაკელი ხელისბიჭის გიორგი ჟორას ძე ხუბუას დამანგრეველი ლაშქრობისგან განათლებისა და მეცნიერების სისტემა გვეხსნა, სააკაშვილის მიერ „ჩარეცხილებმა“ „ქართული აკადემია“ შევქმენით, რომლის ერთ-ერთი წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის პაპა მალხაზ ზაალიშვილიც იყო!“

**— მაინც როგორ აყალბებდა ხუბუა უნივერსიტეტში ჩატარებული ე.წ. კონკურსის შედეგებს?**

— დავიწყოთ იმით, რომ გიგი უგულავას მამა **არჩილ უგულავა** თავზე ადგა 2006 წლის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, პროფესორ **ლეონარდ დიმიტრის ძე მძინარიშვილს** და კარნახობდა, რომელი კონკურსანტი უნდა ყოფილიყო მოწონებული. მაღალი რეიტინგის კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პაკეტი საერთოდ არ იხსნებოდა, თუმცა, მას ეუბნებოდნენ, რომ კონკურსში დამარცხდა და სათანადო სიყალბე ოფიციალურად ფორმდებოდა. აღმოჩნდა რამდენიმე საზრიანი კონკურსანტი, რომელმაც დოკუმენტაცია პაკეტში ისე განათავსა, რომ მისი გაუხსნელობის შემთხვევაში სათანადო ფაქტი ავტომატურად ფიქსირდებოდა. ასეთი კონკურსანტის მიერ საბუთების უკან გატანისას — კონკურსის დასრულებისა და შედეგების გამოცხადების შემდეგ — მფლობელი ავტომატურად აფიქსირებდა შესაბამის თაღლითობას. აღწერილ მეთოდს მეც მივმართე ისევე, როგორც, მაგალითად, დოცენტმა **ჟუჟუნა გიორგის ასულმა გოგიაშვილმა** და კიდევ რამდენიმე თანამშრომელმა. როცა ამ ფაქტზე მოგვიანებით ვესაუბრე **ბატონ ლეონარდს,** იგი გაოცებული დარჩა და მითხრა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. მის მიერ გაწეული სამსახური, ეტყობა, უყურადღებოდ არ დარჩენილა, რადგან 2007 წლიდან გადაიყვანეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის მიმართულების ხელმძღვანელად. დღეს, სამწუხაროდ, იგი არ არის ჩვენთან. ღმერთი იყოს მისი მოსამართლე! აი, ასე გაავსეს უნივერსიტეტი ნაცებით...

**— ხუბუას თაღლითობათა მასშტაბები ამით სრულდება?**

— ხუბუას კიდევ ერთი მსხვილი თაღლითობა ეხება **ინფორმატიკის ქართულ-ფრანგულ ინსტიტუტს,** რომელიც 2002 წელს იყო დაარსებული საფრანგეთში საქართველოს მაშინდელი ელჩის **გოჩა ჩოგოვაძის,** პარიზის 8 უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონ **ჰარალდ ვერტცის** და ქალბატონ **მიშელ ჟანდრომასალუს** — ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს მაშინდელი რექტორის მიერ. დასასრულ ვიტყვი —26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებს, ძალიან დიდი ალბათობით და საკონსტიტუციო უმრავლესობით, „ქართული ოცნება“ მოიგებს. დაპირებისამებრ წინა რეჟიმი გასამართლდება.

## საინტერესოა, აპირებს თუ არა „ქართული ოცნება“ სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე უსაძაგლესი დანაშაულის – ინტელექტუალთა ჩარეცხვის პოლიტიკის დაგმობას და ამ პოლიტიკის განმახორციელებელი გიორგი ხუბუასა და მისი ხელქვეითების გასამართლებას?

ჩვენი აზრით, **გიორგი ხუბუასა და მის თანამზრახველებს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა სამუდამოდ უნდა აეკრძალოთ! საინტერესოა, ხელისუფლებაც ასე ფიქრობს?**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თინა ხიდაშელი**
*„სამოქალაქო იდეის“ ლიდერი*



4 წლის შემდეგ **ბენო პატრიაშვილი** თუ ისევ იქნება ოლიმპიურ ორთაბრძოლაში, **ზუსტად ისევე მეყვარება, ისევე ვუგულშემატკივრებ და მისი გამარჯვებით ისევე გავიხარებ,** როგორც ამ რამდენიმე კვირის წინ, იმიტომ, რომ **სულ მუდამ ის პატარა ბიჭი იქნება ჩემს მეხსიერებაში, რომელმაც დიდ დემონებს და მაჯლაჯუნებს აჯობა.**

„აიპრესი“

**ბესო ზანგური**
*მსახიობი*



აბსოლუტურად **ყველას ვაპატიებ ყველაფერს ერთი ადამიანის გარდა,** რომელმაც მოწმენდილ ცაზე საშინელი ჩირქი მომცხო. ჩემს ბულინგს გადავიტანდი, მაგრამ **ბულინგის ქვეშ მოჰყვნენ ჩემი შვილებიც**. სიკვდილის წინ რომ მითხრან: **იმისთვის, რომ ცხონდე, მას შეუნდეო, უარს ვიტყვი და ჯოჯოხეთში ჩავალ.**

„თბილისელები“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



გაზაფხულის **ქუჩის პროტესტი არ უნდა შეწყვეტილიყო.** ოპოზიციამ **ივანიშვილის** „დუმაში“ ყოფნა არჩია ხალხთან ქუჩაში ყოფნას.

„ახალი თაობა“

**კახა ოქრიაშვილი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



„ოცნებას“ ურჩევნია, **საქართველოში ომი მოხდეს,** ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნოს!

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ წევრი, პარლამენტარი*



**ცნობილი და აღიარებული სპორტსმენები,** საყვარელი ადამიანები, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურად მახინჯ სხეულზე **ლეღვის ფოთლის როლს** შეასრულებენ.

„ინტერპრესნიუსი“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2024 წლის №29–38*

## ბოლოს და ბოლოს, ქართველებმა მართლა ვიქონიოთ ღირსება და ე.წ. აფხაზებს ვუწოდოთ ის სახელი, რასაც თავიანთ თავს უწოდებენ – აფსუა!










***თქმა და მტკიცება იმისა, თითქოს ლეონ მეორის (753-798 წ.წ.) მმართველობის დროს დაარსებული აფხაზეთის სამეფო ქართული სამყაროსგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო, ისეთივე სიბეცე და უსინდისო ტყუილია, როგორც იმის აღიარება, თითქოს დღევანდელი ეგვიპტელი არაბები ძველი ეგვიპტელების შთამომავლები არიან, ხოლო ბერძნები და იტალიელები — ძველისძველი ეტრუსკების ნაშიერნი!***

აფსუა სეპარატისტების ე.წ. სახელმწიფო მარკაზე **ლეონ მეორის** გამოსახვა ისეთივე აბუჩად აგდება და შეფურთხებაა ისტორიისა, როგორც თანამედროვე ლიბერალ-ფაშისტების სამარცხვინო და სასაცილო დემაგოგია, თითქოს მეორე მსოფლიო ომი არა სტალინის გენიამ და ძლევამოსილმა „წითელმა არმიამ“, არამედ ბრიტანელებმა და ამერიკელებმა მოიგეს!

**კიდევ ერთხელ ვეკითხებით ენგურსგაღმა მოკალათებულ აფსუა სეპარატისტებსა და მათ გულშემატკივრებს და ამ შეკითხვაზე არგუმენტირებულად, მეცნიერულად გვიპასუხონ** — თუ **ლეონ მეორესა** და მის მიერ დაარსებულ აფხაზეთის სამეფოს საქართველოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ, თუ **ლეონ მეორისთვის** ქართული მშობლიური ენა არ ყოფილა, ხოლო აფხაზეთის სამეფო არაქართული მიწა იყო, მაშინ როგორ მოხდა, რომ მე-9 საუკუნის 30-იან წლებში **ლეონ მეორის ვაჟმა, აფხაზთა მეფე დემეტრე მეორემ** (825-861 წ.წ.), რომელიც დიდი **გრიგოლ ხანძთელის** თანამედროვე გახლდათ, აფხაზთა სამეფოში საეკლესიო ენად ბერძნულის ნაცვლად ქართული დაამკვიდრა, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსებად ეთნიკური ქართველები დაადგინა?

ვინმემ აგვიხსენით, ნუთუ **დამოუკიდებელ აფხაზთა მეფე ლეონ მეორესა და დემეტრე მეორეს ეროვნული თავმოყვარეობა და თვითშეგნება არ ჰქონდათ, რომ დამოუკიდებელ აფხაზეთს ჩაუყარეს საფუძველი, თვითმპყრობელი მეფის გვირგვინი თავს დაიდგეს, მაგრამ ბერძნულის გაძევების შემდეგ საეკლესიო ენად ქართული შემოიღეს და აფსუათა ენას მიაფურთხეს?**

მაშინ რა გამოდის, **აფსუა ლეონ მეორე და მისი ვაჟი დემეტრე მეორე** ქართველების აგენტები იყვნენ და დამოუკიდებელ ხალხსა და ქვეყანას — აფხაზთა სამეფოს საეკლესიო და სახელმწიფო ენად უცხო ხალხის — ქართველების ენა მოახვიეს თავს?

თუ ეს ასეა, მაშინ **აფსუებმა ლეონ მეორის პორტრეტი ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფო მარკაზე კი არ უნდა გამოსახონ, არამედ, სირცხვილის ნიშნად, ეს მარკა უნდა დახიონ!**

მოკლედ, ზემოხსენებულ შეკითხვაზე აფსუებმა მეცნიერული პასუხი გაგვცენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღიარონ, რომ **იბერიულ-მესხურ ტომთან** — ქართულ ენაზე მოლაპარაკე აფხაზებთან საერთო არაფერი აქვთ და სინამდვილეში არიან **ადიღეელები,** რომელთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებაც ჩრდილოეთ კავკასიიდან მე-16 საუკუნეში დაიწყო!

**1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთი ვალდებულია, უპირობოდ ცნოს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემოთ ხსენებული გუბერნიები და ოლქები — თბილისი, ქუთაისი და ბათუმი თავისი მხარეებითა და ოლქებით, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები!**

ჩვენი მხრივ უნდა ვაღიაროთ, რომ გადასარჩენი და აღსადგენია ქართველი კაცის ეროვნული თავმოყვარეობა და ღირსება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ისევ და ისევ ჩვენი ვაიმეცნიერების, მეტწილად ისტორიკოსების წაყრუებითა თუ ცრუქაქუნობით შეილახა. კერძოდ, **ქართული ისტორიოგრაფიიდან და პოლიტიკური აზრიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვშანთოთ ხელების გადაგრეხით დამკვიდრებული და ჩანერგილი აზრი იმის შესახებ, თითქოს საქართველო აფხაზების** (სინამდვილეში აფსუების. დ.ჩ.) **ერთადერთი სამშობლოა და სხვა სამშობლო მათ არა აქვთ!**

უკანასკნელ ხანს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ ღირსებაზე. ბოლოს და ბოლოს, ქართველებმა მართლა ვიქონიოთ ღირსება და ე.წ. აფხაზებს ვუწოდოთ ის სახელი, რასაც თავიანთ თავს უწოდებენ — **აფსუა!**

ჯერ მასწავლებლებს და მერე სკოლაში ქართველ ბავშვებს საგულდაგულოდ შევასწავლოთ, რომ **ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია კელასურის კედლიდან იწყებოდა და ძველ ლაზიკამდე, ანუ ნიკოფსიამდე გრძელდებოდა.** დღეს ეს მიწა მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილს, ადლერის რაიონს, სოჭის რაიონსა და ტუაფსეს რაიონს.

### უძველესი დროიდან ეს მიწა დასახლებული იყო ქართველებით, კერძოდ, ქართულ ენაზე მოლაპარაკე იბერიულ-მესხური ტომით – აფხაზებით, კოლხებით, ანუ იმავე მეგრელ-ლაზებითა და სვანებით!

სხვა ხალხი იქ არ ცხოვრობდა და არც არასოდეს უცხოვრია მანამ, ვიდრე მე-16 საუკუნიდან ადიღედან ჩამოსახლებული აფსუები არ გამოჩნდნენ და ქართული მოსახლეობის ველური მეთოდებით შევიწროება არ დაიწყეს!

ყველა სახელმძღვანელო, მონოგრაფია თუ სადისერტაციო ნაშრომი, სადაც საქართველო და აფხაზეთი აფსუათა სამშობლოდ არის გამოცხადებული, გახლავთ მაკულატურა და არავითარი სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნია! მტერმა **ყოველ დროსა და ეპოქაში კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა საქართველოსთვის მისი ძირძველი კუთხის — აფხაზეთის ჩამოცილება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა უახლესი ისტორიიდან მოხმობილი ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი.**

1921 წლის 22 აპრილს ახლად გასაბჭოებულ და გაწითლებულ საქართველოში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე **პავლე სიტინი** კრემლს საიდუმლოდ სწერდა — **„ქართული შოვინიზმის დასასუსტებლად, როგორც ტერიტორიული, ისე მატერიალური თვალსაზრისით, მეორე ნაბიჯად საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფა მიმაჩნია!“**



## პავლე სიტინი:

## ქართული შოვინიზმის დასასუსტებლად, როგორც ტერიტორიული, ისე მატერიალური თვალსაზრისით, მეორე ნაბიჯად საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფა მიმაჩნია!

ეს გეგმა დღესაც მოქმედებს...

სწორედ ამ გეგმით მოქმედებდა კრემლი აფხაზეთში სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ. ცნობილია საბჭოთა ცეკას იდეოლოგის **მიხეილ სუსლოვის** 1961 წლის მოხსენების საიდუმლო ცირკულარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედა კრემლს საქართველოს წინააღმდეგ. **სუსლოვის გეგმით,**

> **„დღეს თუ არა ხვალ, ქართველები დაიწყებენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მათთან ბრძოლა აფხაზეთით უნდა დავიწყოთ. სამეგრელოს, სვანეთს უნდა მიეცეს ავტონომიები, მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ქართველები აფხაზეთში ჩამოსახლებულები არიან. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ მომრიგებლის როლი“.**

**ნიკიტა ხრუშჩოვი** სულელი იყო, მაგრამ ამასთან საშინლად ბოროტი და ქართველთმოძულე. 1956 წლის 9 მარტს თბილისში მოწყობილი სასაკლაოს შემდეგ, იგი საბჭოთა საქართველოს ცეკას პირველ მდივან **ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს** დაემუქრა — **„თუ ქართველები არ დაწყნარდებით, აფხაზებს მოგიქსევთ!“**

ეს გეგმა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ამოქმედდა და 1993 წლის 27 სექტემბრის ტრაგედიით დასრულდა, როცა საქართველომ აფხაზეთი და სოხუმი დროებით დაკარგა!

ვიდრე რჯულძაღლი **პავლე სიტინი** 1921 წლის 22 აპრილს, ლენინის დაბადების დღეს, ზემოხსენებულ ინსტრუქ-

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



აფსუა სეპარატისტების ე.წ. სახელმწიფო მარკაზე ლეონ მეორის გამოსახვა ისეთივე აბუჩად აგდება და შეფურთხებაა ისტორიისა, როგორც თანამედროვე ლიბერალ-ფაშისტების სამარცხვინო და სასაცილო დემაგოგია, თითქოს მეორე მსოფლიო ომი არა სტალინის გენიამ და ძლევამოსილმა „წითელმა არმიამ“, არამედ ბრიტანელებმა და ამერიკელებმა მოიგეს!




## პეტრე სიმონ პალასი:

## აფხაზები, როგორც ჩანს, წარმოშობით კავკასიის მთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან არიან!

## იულიუს კლაპროთი:

## აღნიშნავენ, რომ აფხაზები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და შემდეგ გავრცელდნენ სხვა რაიონებში!



## ვასილ ტატიშჩევი:

## სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები „ავხაზოსს“ უწოდებენ, ჩვენი წინაპრები „ობეზებს“ ეძახდნენ. დღეს კი ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი ყუბანელების მიერ არის შევსებული!

ციას კრემლში გაგზავნიდა, მანამდე ერთი წლით ადრე, **1920 წლის 7 მაისს,** საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში კრემლი პირდაპირ აღიარებდა:

**„რუსეთი ვალდებულია, უპირობოდ ცნოს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემოთ ხსენებული გუბერნიები და ოლქები — თბილისი, ქუთაისი და ბათუმი თავისი მხარეებითა და ოლქებით, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები!“**

სელჩუკიანთა სამეფოს კარის ისტორიკოსი **იბნ-ბიბი,** რომელიც მე-13 საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდა, საქართველოს მეფის **რუსუდანის ქალიშვილის** — უმშვენიერესი **თამარის** სულთან **ყიას ად-დინ ქეიხუსრევზე** დაქორწინების ამბებს აღწერს, სახელოვანი და დიდებული თამარ მეფის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის — **„საქართველოს დედოფალი თამარი, როგორც ბილკისი, მეფობდა ქვეყანაში — „აფხაზი“ და სატახტო ქალაქ თბილისში!“**

ცნობაში ხსენებული **„ბილკისი“** არაბთა ლეგენდარული სამეფოს — შებას მმართველი ულამაზესი დედოფალი და წინასწარმეტყველ **სულეიმანის მეუღლე** იყო. ბიბლიაში აღწერილია თვალწარმტაცი **ბილქისის** სტუმრობა ძველი წელთაღრიცხვის მე-10 საუკუნის იერუსალიმში, სადაც **ბიბლიური მეფე დავით წინასწარმეტყველი** მეფობდა.

**იბნ-ბიბის** ზემოხსენებული ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ათასგზის ნათქვამს და ისტორიული წყაროებით განმტკიცებულ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით აღმოსავლელი და ბიზანტიელი ავტორები, საქართველოს — აფხაზეთს, ხოლო ქართველებს აფხაზებს უწოდებენ. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ცნობილი რუსი სწავლულის, ისტორიკოსის, გეოგრაფისა და სახელმწიფო მოღვაწის **ვასილი ნიკიტას ძე ტატიშჩევის** ცნობა, სადაც შავით თეთრზე ვკითხულობთ:

**„მითუმეტეს ვფიქრობ, სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები „ავხაზოსს“ უწოდებენ, ჩვენი წინაპრები „ობეზებს“ ეძახდნენ. დღეს კი ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი ყუბანელების მიერ არის შევსებული!“**

**ტატიშჩევი,** რომელმაც რუსეთის ისტორია დაწერა და ძალიან განათლებული კაცი იყო, **პეტრე პირველის** დავალებებს ასრულებდა, გუბერნატორადაც მუშაობდა და ჩრდილოეთის ომშიც იბრძოდა. ის მე-17 საუკუნის მიწურულს იყო დაბადებული და იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუების მიერ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, ყოველ შემთხვევაში აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილი მაინც, ფაქტობრივად, ათვისებული და გადათქერილი იყო! ამდენად, შეუძლებელია, რუსეთის ისტორიის დამწერ **ტატიშჩევს** არ სცოდნოდა, ვინ არიან ე.წ. აფხაზები, ანუ სინამდვილეში აფსუები, რომლებმაც უძველესი ქართული ტომის სახელი მიითვისეს.



აღარაფერს ვამბობთ 1794 წლით დათარიღებულ ერთ ცნობაზე, რომელიც **პეტრე სიმონ პალასს** ეკუთვნის და ასე ჟღერს:

**„აფხაზები** (სინამდვილეში, აფსუები. დ. ჩ.), **როგორც ჩანს, წარმოშობით კავკასიის მთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან არიან!“**

**პეტრე სიმონ პალასი** (1741-1811 წ.წ.) გერმანელი მეცნიერი იყო, რომელიც 1767 წელს საცხოვრებლად რუსეთში გადმოვიდა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა. ის არაერთ სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობდა, მათ შორის, იმყოფებოდა კავკასიაშიც, სადაც ადგილზე შეისწავლა და გაეცნო ვითარებას. სწორედ აქედან გამომდინარე გააკეთა მან უზუსტესი დასკვნა იმის შესახებ, რომ ე.წ. **აფხაზები, ანუ სინამდვილეში აფსუები,** წარმოშობით მართლაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, **დღევანდელი ადიღედან** არიან!

გერმანელი **იაკობ რაინეგსი** სახელოვანი **ერეკლე მეფის** კარზე **გრიგოლ პოტიომკინის** აგენტი იყო და რუსეთის ფარულ დავალებებს ასრულებდა. **რაინეგსმა,** რომელმაც თავიდან **ერეკლე მეორეს** თავი ძალიან მოაწონა, დიდი როლი ითამაშა **1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის** მომზადებაში. **რაინეგსი,** როგორც რუსეთის აგენტი და გენერალ-ფელდმარშალ **გრიგოლ პოტიომკინის** ფარული დავალებების შემსრულებელი, **ერეკლემ** ერთხანს ქვეყნიდან გააძევა, მაგრამ გერმანელი ავანტიურისტი 1782 წელს საქართველოში რუსეთის იმპერიის დიპლომატის სტატუსით მაინც შემოძვრა და **ერეკლემ** მის წინააღმდეგ ამჯერად ვერაფერი გააწყო. ის ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა 1793 წელს, თუმცა, ამის დაწერა მოასწრო:

**„უძველეს წყაროებში „აბაზა“ ითვლებოდა ივერიად... სწორედ ამ სახელით იყო ის ცნობილი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში!“**

როცა ამას რუსეთის აგენტი წერს, რომელიც ერეკლე მეფის კარზე **გრიგოლ პოტიომკინის** მიერ იყო ჩანერგილი, შეუძლებელია, არ დაუჯერო!

ცხადია, ამ ყველაფრის შესახებ რუსებმაც ძალიან კარგად იციან და **აფსუა სეპარატისტებმაც,** მაგრამ ამ თემებზე ისინი დუმან!

გერმანელი ლინგვისტი და ორიენტალისტი **იულიუს ფონ კლაპროთი** (1783-1835 წ.წ.) 1804 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ ექსპედიციების ჩასატარებლად მოიწვია. მიჩნეულია, რომ **კლაპროთი,** რომელმაც 1807-1809 წლებში საქართველოში ექვსი თვე იცხოვრა და ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების დასაბეჭდად ფანტასტიკური შრომა გასწია, ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული მოგზაური იყო. მან ფეხდაფეხ მოიარა მთელი საქართველო, იყო რაჭაში, ინახულა წყალტუბო და აღწერა მისი ცხელი წყლები... სწორედ **იულიუს კლაპროთი** წერს:

**„აღნიშნავენ, რომ აფხაზები** (სინამდვილეში, „აფსუები“. დ. ჩ.) **ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და შემდეგ გავრცელდნენ სხვა რაიონებში!“**

ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველგვარი კომენტარი და ახსნა-განმარტება ზედმეტია!

კიდევ უფრო საინტერესო და მრავლისმთქმელია აფხაზეთის მმართველის **ნინო ბაგრატიონ-დადიანის** წერილი რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრე პირველისადმი.** ნინო დადიანი ერეკლე მეფის შვილიშვილი და **გიორგი მე-12 ქალიშვილი** გახლდათ, რომელიც **სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანზე** იყო გათხოვილი. 1805 წელს მან პეტერბურგში ელჩობა გაგზავნა, რომელსაც იმპერატორთან ქართველი ერის უდიდესი სიწმინდე — **ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი** გაატანა. იმპერატორმა ეს უდიდესი სიწმინდე ძვირფასი თვლებით შეამკო, ისევ საქართველოში გამოაგზავნა და ხატს თან 1 მილიონი მანეთიც გამოაყოლა — ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელზე ეკლესია ააშენეთო!

სხვათაშორის, საქართველოს ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა რუსის იმპერატორმა საქართველოს უდიდესი სიწმინდე კეთილი ნებით უკან დაუბრუნა. იმპერატორი ზუსტად ასე მოექცა ნინოს ჯვარსაც. წმინდა ნინოს ჯვარი ვაზისა, რომელიც ქართველმა მღვდელმთავარმა პეტერბურგში მე-18 საუკუნის შუახანებში ჩაიტანა, ბოლოს ისე მოხდა, რომ იგი რუსთხელმწიფის ხელში აღმოჩნდა. იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა** ნინოს ჯვარი 1802 წელს საქართველოსკენ გამოისტუმრა და თან დააყოლა — ეს ქართველი ერის უდიდესი სიწმინდეა და მისი ადგილი საქართველოშიაო!

**ალექსანდრე პირველისადმი** გაგზავნილი **ნინო ბაგრატიონ-დადიანის** წერილი 1808 წლით გახლავთ დათარიღებული, რომელშიც ვკითხულობთ:

**„შესაძლოა, დროთა ჩრდილმა და მეზობლებთან უთანხმოებამ აფხაზეთი ჩვენი დაქვემდებარებიდან გამოიყვანა, მაგრამ უძველესი დროიდან მოყოლებული, ნიკოფსია მემკვიდრეობითი დედაქალაქი იყო ლევან დადიანისა და მისი წინაპრებისა, ხოლო მოგვიანებით კაცია დადიანმა ხარკი მოითხოვა აფხაზეთისგან!“**

კომენტარი და ფიცი-მტკიცი, ალბათ, არც ამ წერილს სჭირდება, მაგრამ, საუბედუროდ, ქართველებს ამ ბოლო ხანებში ყველაფრის დამტკიცება გვიწევს, მათ შორის, იმისიც კი, თუ რატომ ჰქვია ამ ქვეყანას საქართველო!

**დიტო ჩუბინიძე**

***ზუგდიდის თეატრის მსახიობს მარინა დარასელიას, იგივე ლამარას, სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“, ენატრება ის არაჩვეულებრივი დრო, როცა 7 წლის განმავლობაში ყველასათვის საყვარელ სერიალში იღებდნენ და გვთავაზობს ეკრანს მიღმა დარჩენილ ფოტოებს:***

— ფოტო, სადაც აღბეჭდილი ვართ, მე, **დათო კვირცხალია, დავით ჭურღულია, ნანუკა გულუა, სესე მიქავა და ნატა ბერეჟიანი,** გადავიღეთ სერიალის გმირის — გრიშა კაკაჩიას სამზარეულოში. არადა, სინამდვილეში ეს არის სოხუმის თეატრის მსახიობის **ვალერი არღვლიანის** სახლი, საიდანაც ხელისგულივით ჩანს თბილისი. სერიალის მიხედვით, სწორედ აქ ცხოვრობდა გრიშა კაკაჩია და მასთან ერთად მისი დიდი სახლის საოჯახო საქმეების წარმმართველი ლამარა. ამ ფოტოზე ყველა ბედნიერია, ადგილზეა გადამღები ჯგუფი, ჩვენი პროფესია სიამოვნებას გვანიჭებს და გვიხარია, რომ მაყურებელთა გულები დაპყრობილი გვაქვს. გადაღების მერე, ცხადია, არ ვიშლებოდით და ქეიფი გრძელდებოდა.

ვუყურებ ახლა ამ ფოტოს და ყველა მათგანს ვუთვლი დიდ მოკითხვასა და სიყვარულს. **დათო კვირცხალია** იმერელია (თუმცა, მეგრული ჟღერადობის გვარი აქვს), დედა ჰყავს მეგრელი, გვარად თოფურია. ყოველდღე ვასწავლიდი მეგრულს, შესანიშნავად ითვისებდა, უნიჭიერესია, ზუსტად გახსნა მეგრული ხასიათი, მისი გმირი მაყურებელმა შეიყვარა და ახლაც მეკითხებიან — გრიშა კაკაჩია როგორ არის, მოუთმენლად ველოდებით მის დაბრუნებასო. დათოს მეუღლეს დავუმეგობრდი, ძალიან მიყვარს მათი ოჯახი და დიდ მოკითხვას ვუთვლი... ამ ბიჭების — **დავით ჭურღულიასა** და **სესე მიქავას** მეგრული იუმორისა და კოლორიტის გარეშე სერიალს ბევრი დააკლდებოდა. მიყვარს ნიჭიერი, გიჟმაჟი მეგრელი გოგო **ნანუკა გულუა,** დიდი ხანია, არ მინახავს და ვუგზავნი სიყვარულს. სიყვარულით მოვიკითხავ შესანიშნავ მსახიობს, ნიჭიერ და ლამაზ **ნატა ბერეჟიანს.**

**— ერთად ხართ შეკრებილი ე.წ. მეგრული კლანი...**

— დიახ, ამ მეგრელების კლანს მაყურებელი ყოველთვის დიდი სიხარულით ელოდა, ქუჩაში მხედავდნენ თუ სადმე სტუმრად, ყველა ინტერესით მეკითხებოდა, გაგრძელდებოდა თუ არა სერიალში მეგრელების ხაზი, მათ ისტორიებსა და კურიოზებს დიდი რეიტინგი ჰქონდა. ახლა გულდაწყვეტილი მეუბნებიან, ძველ სერიებს ვუყურებთო.

**— თქვენც ლამარასავით ხელმარჯვე მზარეული ხართ?**



მარინა დარასელია და გიორგი ლიფონავა

# მარინა დარასელია:

# ყველა, ვის გვერდითაც „ჩემი ცოლის დაქალებში“ ვიმუშავე, ჩემი ცხოვრების ნაწილია!



ნანა კუხალეიშვილი, თათული დოლიძე, მარინა დარასელია



მარინა დარასელია, ზურა ყიფშიძე, ციცინო გუნია



მარინა დარასელია, დათო კვირცხალია, დავით ჭურღულია, ნანუკა გულუა, სესე მიქავა, ნატა ბერეჟიანი

— არა, კერძების მომზადება არ ვიცი, თუმცა, სერიალში გრიშა კაკაჩიას სამზარეულოში ისე ვტრიალებ, თითქოს ყველაფერი უზადოდ მეხერხება. გადაღებების დროს კერძები რესტორნიდან მოჰქონდათ. ახალი დაწყებული მქონდა გადაღება, როცა **დათო კვირცხალიამ** სიდედრის 90 წლის იუბილეზე დამპატიჟა. სახლში იყვნენ მისი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, მითხრა — ღომი და ელარჯი შენ უნდა მოამზადოო. ცალკე გავიყვანე — რა ვქნა, საჭმელების გაკეთება არ ვიცი-მეთქი. ეგონა, ვეხუმრებოდი. ბოლოს დავიფიცე დედაჩემისა და მამაჩემის საგვარეულო, დადიანები და დარასელიები, არ მეხერხება სადილების მომზადება-მეთქი. ასე დავარწმუნე, მაგრამ ჩემი მეგრული სისხარტე და ტემპერამენტი ჩემს დისშვილში გადავიდა, რომელიც შესანიშნავი მზარეულია, უგემრიელეს მეგრულ ხაჭაპურს და ღომს აკეთებს. ეს ყველაფერი გადაღებულია.

**— სერიალზე მუშაობა გაგრძელდება?**

— არ ვიცი. ქალბატონმა **ქეთი დევდარიანმა** ისეთი წარმატებული სერიალის სცენარი შექმნა, არ შეიძლება, გადაღებები არ გაგრძელდეს. მაყურებელი მოუთმენლად ელოდება მეგრელების ისტორიებსა და კომიკურ სიტუაციებს. ამ სერიალს იღებდა უნიჭიერესი რეჟისორი **გიორგი ლიფონავა.** თავს ვგრძნობდი ძალიან კომფორტულად, იყო წესრიგი და წამებში ხდებოდა კადრების შექმნა.

როცა **ეკა მჟავანაძემ** სერიალში მიმიწვია, მეგონა, თავს ვერ გავართმევდი, თავიდან უარი ვუთხარი, მაგრამ მითხრა — მეგრელი ქალი ხარ, თამაში არ გაგიჭირდებაო. ჩემი თეატრის მსახიობებიც გვერდით ამომიდგნენ, ბოლოს კი **გიორგი ლიფონავამ** დამარწმუნა — ეს თეატრი არ არის, სხვა სპეციფიკაა, ბუნებრივად ითამაშე და მაყურებელს ისე მოეწონება შენი პერსონაჟი, ცალკე შენი ხაზი წავაო. ასე აღმოვჩნდი 2016 წლიდან „ჩემი ცოლის დაქალებში“. ჩემ გვერდით, უფრო სწორად, ჩემი გმირის ლამარას გვერდით სამზარეულოში მუშაობდა ორი შესანიშნავი გოგონა, რომლებმაც ძალიან კარგად გაართვეს თავი როლს. ერთი გორის თეატრიდან იყო, მეორე — სენაკის.

**— თქვენს გმირს ლამარას ემეგობრებოდა სახლის პატრონის — გრიშა კაკაჩიას ბიძაშვილი, რომლის როლსაც ნანა კუხალეიშვილი ასრულებდა...**

— ნანა მარჯანიშვილის თეატრში თამაშობდა, შესანიშნავად შეასრულა მეგრელი ქალის როლი. ოჯახთან ერთად ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად. ამ სერიალმა კიდევ უფრო ახლოს გამაცნო ჩვენი შესანიშნავი მსახიობები — **თათული დოლიძე, ლაურა რეხვიაშვილი და მარინა კახიანი.** ეგონასა და ნატრულის სახით მათ მაყურებლის საყვარელი გმირები შექმნეს, მეგრელი ქალები ისე ბუნებრივად ითამაშეს, ეჭვი არ შეგეპარება, მეგრელები რომ არ არიან. ყველა, ვინც კი ამ სერიალზე იმუშავა, ჩემი ცხოვრების ნაწილია, ყველას ვეფერები, მათთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო. **ეკა მჟავანაძეს** დიდ მადლობას ვუხდი, რომ თეატრის მსახიობი ტელევიზიაშიც გამომაჩინა და ცნობადი გამხადა. სადაც უნდა წავიდე, დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში, მთაში თუ ბარში, დამინახავენ თუ არა, თვალები უბრწყინდებათ და მეკითხებიან — **ლამარა, როგორ ბრძანდებით, გრიშა კაკაჩია როგორ არისო?!**

**— ზუგდიდის თეატრში ვის მიიჩნევთ თქვენს ნათლიად?**

— ცნობილმა მსახიობმა **ციცინო გუნიამ** გამზარდა, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. მახსოვს, ერთად გადავიღეთ ფოტო **ზურა ყიფშიძესთან,** როცა ჩვენთან მარჯანიშვილის თეატრი იყო ჩამოსული და სპექტაკლი „არტ ხელოვნება“ წარმოადგინეს. მათთან ერთად იყო ცნობილი რეჟისორი **თემურ ჩხეიძე.** სხვათაშორის, 60-იან წლებში, როდესაც ახალგაზრდა თემურ ჩხეიძე ზუგდიდის თეატრში ჩამოვიდა, ციცინო გუნიამ მის სპექტაკლში ითამაშა. სამწუხაროა, რომ დღეს ბატონი თემურიც აღარ არის ამქვეყნად. სამახსოვროდ დამრჩა ფოტოები და მოგონებები ძვირფას ადამიანებზე.

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ცუცა კაპანაძე**
*მსახიობი*



საბუთებს მოვაწესრიგებ და **საქართველოში სამუდამოდ დავბრუნდები.** რამდენჯერ ჩავალაგე და ამოვალაგე ჩემოდანი... დავდგებოდი სარკის წინ და ვამბობდი, არა, გადარჩები, ეს არის შენი ბედისწერა-მეთქი. **არავის ვაჩვენებდი ჩემს ცრემლებს.** ჩემს ტკივილთან, ჩემს ცრემლებთან და ბალიშთან ერთად ვცხოვრობდი, მაგრამ გამოვდიოდი და ყველასთან მხიარული და გაღიმებული ვიყავი. **ზოგს შეიძლება გიჟი ვგონივარ, მაგრამ არა უშავს, ვეგონო!**

„სარკე“

**მარიტა ხვედელიძე**
*მომღერალი*



**უწმინდესი უზომოდ მიყვარს.** ჩემთვის დიდი პატივი იყო მისი თანდასწრებით, მისგან არც ისე მოშორებით სიმღერა, დაუჯერებელიც კი იყო... როცა გამოსვლა დავასრულე, **პატრიარქმა ამომხედა და ტაშის დაკვრა გადაწყვიტა. მაშინვე ტირილი ავტეხე.**

„სარკე“

**რამაზ იოსელიანი**
*მსახიობი*



რაც დავიბადე, მას შემდეგ **ვცდილობ, გავიგო, ვინ ვარ,** მაგრამ ამაოდ ვფიქრობ, **რატომ მოვედი ამქვეყნად,** პასუხები ვერ მიმიღია.

„თბილისელები“

**გიორგი ცხადაძე**
*მსახიობი, მომღერალი, ტელეწამყვანი*



სულ მგონია, **ჩემს შვილს დროს ვაკლებ და მისთვის ნაკლებს ვაკეთებ.** თუმცა, ოჯახის წევრებსა და ჩემს ახლობელ ადამიანებს თუ ჰკითხავთ, აუცილებლად გეტყვიან, რომ **მთლად ცუდი მამა არ ვარ.**

„თბილისელები“

**ზაზა მარჯანიშვილი**
*კომპოზიტორი*



მიყვარს ჩემთვის, სახლში ყოფნა და წყნარად მუშაობა, **მთავარია, ყავა და სიგარეტი მქონდეს,** სულ მინდა ისეთი რამ დავწერო, რომ **ხალხი გავაერთიანო.**

„კვირის პალიტრა“

***ახალ თეატრალურ სეზონზე ახმეტელის სახელობისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრების სცენაზე მაყურებელი კვლავ იხილავს მსახიობ ნუგზარ ყურაშვილს, რომელმაც უკურნებელ სენს სძლია და სრულიად გამოჯანმრთელებული უბრუნდება ქართულ თეატრსა და კინოს:***



# ნუგზარ ყურაშვილი:
# ღმერთმა და ექიმებმა გადამარჩინეს!

— ოქტომბრის ბოლოდან თეატრში ვბრუნდები, ამ დრომდე ექიმებისგან აკრძალული მქონდა ნერვიულობა, მცირე დაძაბულობა და გაღიზიანებაც კი. ძალა უნდა მოიკრიბო და კარგ ხასიათზე უნდა იყოო... კარგა ხანია, სპექტაკლში არ მითამაშია, რეპეტიციების გავლა მომიწევს, ახლა უკეთესად ვარ და თამაშსაც შევძლებ.

**— გვიამბეთ თქვენი ავადმყოფობის შესახებ....**

— აღმომაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. საბედნიეროდ, ექიმს დროულად მივაკითხე, ორგანიზმში მეტასტაზები არ იყო გავრცელებული. ოპერაცია გავიკეთე ჯერ საქართველოში პროფესორ **ამიკო პერტიასთან,** შემდეგ — თურქეთში, სადაც, პრაქტიკულად, პლასტიკური ოპერაცია ჩამიტარდა — როგორც ავტომანქანაში ძველ აკუმულატორს ცვლიან და ახალს დგამენ, ჩემივე ნაწლავიდან გააკეთეს ახალი შარდის ბუშტი.

**— როგორ მიმდინარეობდა მთელი ეს პროცესი?**

— შარდის ბუშტიდან სამი სიმსივნე **ამიკო პერტიამ** ამოკვეთა, მაგრამ მითხრა — ეს დროებითი გამარჯვებაა, ბუშტი მთლიანად ამოსაღები გახდებაო. პერტია გენიოსი ექიმია, ახალგაზრდა კაცი, ძალიან ბევრ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე, მეც რამდენიმე წელი კარგად ვიქნებოდი, თუმცა, ბოლოს მაინც მომიწევდა ბუშტის ამოღება. შემდეგ თურქეთში წასვლა გადავწყვიტე, აჯიბადემის კლინიკაში, სადაც უძლიერესი აპარატურა დგას. დამინიშნეს ე.წ. ქიმიოთერაპია, ჩამოვიტანე წამლები და ონკოლოგმა **ნია შარიქაძემ** ჩამიტარა პროცედურები. ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ **ამიკო პერტიამ** შესანიშნავად გამიკეთა ოპერაცია და თურქეთშიც შესანიშნავ ექიმთან **ალი ზადესთან** უნდა გამეგრძელებინა მკურნალობა. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, **ალი ზადემ** „ჩამიდგა“ ეს ახალი ბუშტი. ოპერაცია გრძელდებოდა ექვსსაათნახევარი, ისიც მითხრეს, რომ ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციაც საკმაოდ რთული იქნებოდა. თვენახევარი საავადმყოფოში ვიწექი, ძალიან სუსტად ვიყავი, როცა დავბრუნდი, სისხლში ყველა სასიცოცხლო მაჩვენებელმა დაიწია, კედელკედელ დავდიოდი, მითხრეს — ოპერაციის შემდეგ ძალების აღდგენას დრო სჭირდება, ახალი სხეული ორგანიზმს უნდა შეეგუოსო...

**— აჯიბადემი მსოფლიოში ცნობილი კლინიკაა, საკმაოდ ძვირადღირებული სერვისით...**

— დიახ, მთელი იმპერიაა, პირდაპირ გეტყვით, გენიოსები მუშაობენ, თუკი ხელი მოკიდეს ოპერაციას, ესე იგი, გადარჩენა გარანტირებული გაქვს. აქვთ შესანიშნავი აპარატურა, პალატები, კვება, ყურადღება. თან მახლდა ჩემი ვაჟი. ამ კლინიკაში საქართველოდან ძალიან ბევრი პაციენტი მკურნალობს.

**თურქი ექიმები გაკვირვებული მეკითხებოდნენ – რა ხდება საქართველოში, სიმსივნით დაავადებული ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოდისო.**

დიდი პატივი მცა მთავრობამ, საოპერაციოდ ფინანსები გამომიყო **კახა კალაძემ,** კულტურის მინისტრმა **თეა წულუკიანმა,** ჯანდაცვის სამინისტრომ, თანხები შემიგროვა სერიალ „ცხელი ძაღლის“ ფანკლუბმა... დიდი მადლობა ყველას, ცრემლს ვერ ვიკავებ, იმდენად დიდი სიყვარული და სითბო ვიგრძენი ჩემი ხალხის მხრიდან. ოპერაცია 45 ათასი დოლარი დაჯდა, რასაც ვერასოდეს გადავიხდიდი. თურქეთში ტაქსის მძღოლმა მითხრა — ალბათ, დაფინანსებული ხართ, უბრალო თურქი მოქალაქე აჯიბადემში მკურნალობას ვერ ახერხებსო. მოკლედ, ღმერთმა და თავისი საქმის უბადლო პროფესიონალმა ექიმებმა გადამარჩინეს!

**— ამბობენ, რომ ბერებმა ილოცეს თქვენთვის...**

— ოპერაციაზე სანამ გავემგზავრებოდი, მამაოები მოდიოდნენ ჩემთან, მუცელზე ხელს მადებდნენ და ლოცულობდნენ. ახლა საჭიროა სწორი კვება და ორგანიზმის მოძლიერება. ყველას ვურჩევ, დროულად მიმართონ ექიმს და იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე, სიმსივნე განაჩენი არ არის, დროული მკურნალობა გადარჩენის გარანტიაა. ვენაცვალე **ბიძინა ივანიშვილს,** რომელიც ქუთაისში აკეთებს დიდ დიაგნოსტიკურ ცენტრს, სადაც ქართველებს საშუალება გვექნება, არ ვიტანჯოთ, უახლესი აპარატურით ვისარგებლოთ და ვიმკურნალოთ. ამ დიაგნოსტიკურ ცენტრში აპარატურაზე სამუშაოდ კადრებსაც მოამზადებენ და ეს იქნება შვება ჩვენი მოსახლეობისათვის.

**— ახალი თეატრალური სეზონი იხსნება, ერთგული მაყურებელი სცენაზე გელოდებათ...**

— ახმეტელის სახელობის თეატრში ორ სპექტაკლში ვთამაშობ, მოზარდ მაყურებელთა თეატრში — ოთხ სპექტაკლში. ამასწინათ კინოშიც მიმიწვიეს, მაგრამ ვერ შევძელი, ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი.

**ბედნიერი ვარ, რომ ოქტომბრის ბოლოს ჩემს საყვარელ მაყურებელს ისევ შევხვდები, მათი სითბო და სიყვარული გამაძლიერებს!**



პროფესორი ამიკო პერტია



მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი „სარა ბარა ბზია ბზზოიტ, ანუ მე შენ მიყვარხარ“. ეტლში – ნუგზარ ყურაშვილი

### ბოლოთქმა

ამ ერთი წლის წინათ პროფესორმა **ამიკო პერტიამ** მეც გადამარჩინა და ჩემთან ერთად, ძალიან ბევრი მადლიერი პაციენტი, რომლებიც დღემდე მისი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებით. **უმრავლოს საქართველოს მისნაირი გულისხმიერი, პროფესიონალი და კაცთმოყვარე ექიმები.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნანა ცინცაძე**
*ექიმი, პოეტი*



ჩემს თავს ყველაზე დიდ ნაკლად ერთ რამეს ვუთვლი — **მუშტის დარტყმა რომ არ შემიძლია.** ცხოვრებაში ვერ ვახერხებ საკადრისი პასუხის გაცემას, თორემ **ფიქრებში შემიძლია, კაცი მოვკლა.**
„თბილისელები“

**თიკა ფაცაცია**
*ტელეწამყვანი*



ერთი პერიოდი **ნახევარი თავი გადაპარსული მქონდა.** ახლა გაკვირვებული ვარ, **ამ ვარცხნილობის გამო როგორ არაფერი მითხრეს არც მშობლებმა და არც მეუღლემ.** უმტკივნეულოდ მიიღეს.
„სარკე“

**გიორგი გაბუნია**
*მსახიობი*



მთელი ცხოვრება მინდოდა, **უარყოფითი გმირი მეთამაშა** და რეჟისორებმა არასოდეს მათამაშეს.
„თბილისელები“

**ბარბარე სამხარაძე**
*მომღერალი*



ჩემს ტვინს აქვს იშვიათი ფუნქცია, რომ **წყენა მალე დაივიწყოს,** მაგრამ, როცა მუსიკას ვწერ, მაშინ ვცდილობ, **ყველაფერი გავიხსენო,** რამაც ჩემში ემოცია გამოიწვია.
„სარკე“

**ქეთი ჩიქვანი**
*მომღერალი*



შემიძლია, **დიდი მსხვერპლი გავიღო** ახლობლების საჭიროებისთვის, ჩემი წარმატებისთვის კი — არა.
„თბილისელები“

**თამარ ივერი**
*საოპერო მომღერალი*



როცა **პატარა შვილები გყავს და მეუღლეც ახალგაზრდაა,** ეს უფრო გინარჩუნებს ახალგაზრდობის შეგრძნებას.
„თბილისელები“

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***მაღალი არტერიული წნევის, საქვეყნოდ გავრცელებული პათოლოგიისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ იმ ადამიანებს, რომელთა არტერიული წნევაც, ბუნებრივად თუ მარეგულირებელი საშუალებებით, 115/70-ის ან 100/70-75-ის ფარგლებშია, დიდი ხნის სიცოცხლე უწერიათ:***



# „ბოლო გამოკვლევებით დასტურდება, რომ ადამიანის ნორმალური არტერიული წნევა 25 თუ 85 წლის ასაკში 120/80-ის ფარგლებში უნდა იყოს!“

## კახა საბახტარიშვილი:

# ნებისმიერი სახის ძლიერ ტკივილს ყოველთვის თან ახლავს არტერიული წნევის მატება!



— არტერიული წნევა და მასთან დაკავშირებული პათოლოგიები თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევაა. არტერიული ჰიპერტენზია, ანუ წნევის მატება ასაკოვანი ადამიანების დაახლოებით 80 პროცენტს აღენიშნება. ფაქტია, რომ ასაკთან ერთად არტერიული წნევის მაჩვენებლები მაღლა იწევს. აღნიშნულთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში საგანგებო ცხრილიც კი გავრცელდა, სადაც მითითებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის თითქოსდა შესაბამისი პულსი და არტერიული წნევის მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, **ამ ცხრილის თანახმად, 50-54 წლის ადამიანისთვის ნორმალურ არტერიულ წნევად მიჩნეულია 129/85-თან, ხოლო მაქსიმალურ ზღვრად — 142/89-თან. 64 წლის ადამიანისთვის ნორმად გამოცხადებულია 134/87-თან, ხოლო მაქსიმალურად — 147/91-თან.**

თავიდანვე ვაცხადებთ, რომ ეს ე.წ. ცხრილი არის ბლეფი და ბოლო გამოკვლევებით დასტურდება, რომ **ადამიანის ნორმალური არტერიული წნევა 25 თუ 85 წლის ასაკში 120/80-ის ფარგლებში უნდა იყოს!** დადასტურებულ ფაქტად ითვლება ისიც, რომ იმ ადამიანებს, რომელთა არტერიული წნევაც, ბუნებრივად თუ მარეგულირებელი საშუალებებით, 115/70-ის ან 100/70-75-ის ფარგლებშია, დიდი ხნის სიცოცხლე უწერიათ! რაც უფრო მაღალია წნევის მაჩვენებლები, სისხლძარღვებზე უფრო მეტი ზემოქმედება ხდება და მათი კედლები უფრო მეტად ზიანდება, ხოლო დაზიანებულ უბნებში ადვილად წარმოიქმნება ათეროსკლეროზული ფოლაქები, რაც ინსულტისა და ინფარქტის წარმოშობის რისკს ზრდის.

ჩემთან ხშირად ხვდებიან პაციენტები, რომლებიც 95 წლის ასაკშიც კი მშვენივრად გამოიყურებიან. უკლებლივ ყველა მათგანი ატარებს **120/80-თან მიახლოებულ იდეალურ წნევას.** ზოგს ეს წნევა ბუნებრივად აქვს, ზოგი — ინარჩუნებს წნევის მარეგულირებელი პრეპარატის საშუალებით.

საერთოდ, ტერმინი — სიბერით გარდაცვალება მედიცინისთვის არ არსებობს. ადამიანი ღრმა სიბერეში მეტწილად ან სიმსივნით უნდა მოკვდეს, ან — ინსულტით, ან — ინფარქტით. თუ სიმსივნეს გამოვრიცხავთ, რომელიც მოხუცებში ნელა პროგრესირებს, ჯანმრთელი სისხლძარღვების შემთხვევაში, ინსულტი და ინფარქტი ნაკლებად მოსალოდნელია. **მოკლედ, ადამიანის წნევა, ძირითადად, სულ უნდა იყოს ერთ ფარგლებში — 120/80-თან.** თუ ეს მაჩვენებელი 130/90-ის ნიშნულს გადაცდება, ეს უკვე ჰიპერტონიული დაავადების დასაწყისია და აუცილებელია სასწრაფოდ ზომების მიღება.

გავრცელებულია ასეთი მითიც — თითქოს მაღალ წნევას ადამიანი თავის ტკივილით შეიგრძნობს! სინამდვილეში ჰიპერტონიულ დაავადებას იმიტომ ეძახიან ჩუმ მკვლელს, რომ დასაწყისში არავითარი გარეგნული გამოვლინება არ ახასიათებს და დიდი ხნის განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. თავის ტკივილს მაღალი წნევა კი არ იწვევს, პირიქით, თავის ტკივილი იწვევს მაღალ წნევას. საერთოდ, ნებისმიერი სახის ძლიერ ტკივილს ყოველთვის თან ახლავს არტერიული წნევის მატება.

***— როდის სჯობს წნევის დამარეგულირებელი პრეპარატის დალევა, დილით თუ საღამოს?***

— რატომღაც ჩემი კოლეგების უმრავლესობა პაციენტებს წნევის მარეგულირებლების დილით, კერძოდ, 11:00 საათიდან 12:00 საათამდე მიღებას ურჩევს, რაც არასწორად მიმაჩნია! საქმე ის გახლავთ, რომ არტე-

## „ვისაც წნევა აწუხებს, აუცილებლად მიიღოს ნედლი ჭარხალი ან მისი წვენი!“

რიული წნევა, ორგანიზმის ბიორიტმიდან გამომდინარე, 23:00 საათიდან დაწევას იწყებს. **01:00 საათიდან 05:00 საათაამდე არტერიული წნევა ყველაზე დაბალია. ხოლო 06:00 საათიდან 08:00 საათამდე შუალედში წნევა ყველაზე მაღალია.** შესაბამისად, ინფარქტებისა და ინსულტების უმრავლესობა სწორედ ამ დროს ხდება. დილით და დღის განმავლობაში წნევა შედარებით სტაბილურია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე ეფექტურია წნევის მარეგულირებელი პრეპარატის მიღება **22:00 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდში.** მიღებიდან 6-7 საათის შემდეგ წამალი მაქსიმალურად ამჟღავნებს თავის შესაძლებლობებს, რაც ზუსტად ემთხვევა იმ დროს, როცა არტერიული წნევა ყველაზე მაღალია. სხვათაშორის, ახლახან ესპანეთში 50 ათას პაციენტზე აწარმოეს დაკვირვება. პაციენტების ნაწილი წნევის დამარეგულირებელ საშუალებებს ღებულობდა ტრადიციულად დილით, 10:00-12:00 საათს შორის, ხოლო მეორე ნაწილი — ძილის წინ. **აღმოჩნდა, რომ ვინც წნევის დამარეგულირებელ საშუალებას ძილის წინ ღებულობდა, იმათ ჯგუფში ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვი 40 პროცენტით დაბალი იყო.** ეს არც არის გასაკვირი... საერთოდ, წნევის დამარეგულირებელ სხვადასხვა საშუალებას ინსტრუქციაში უწერია, რომ მათი მოქმედების ხანგრძლივობა 24 საათია. რეალურად კი ეს წამლები ეფექტს 12-13 საათის შემდეგ კარგავენ. **გამოდის, რომ დილით მიღებულ დამარეგულირებელს ღამის 01:00-02:00 საათზე, ფაქტობრივად, ძალა არა აქვს.** არადა, ამ დროს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ადამიანის წნევა მაქსიმუმს დილის 06:00 საათიდან 08:00 საათამდე აღწევს. ეს ის პერიოდია, როცა ადამიანების უმრავლესობას სძინავს და ცხადია, წნევას არავინ იზომავს. ამასთან, ადამიანი ამ დროს დამარეგულირებლისგან დაუცველია. სწორედ ამ პერიოდზე მოდის ინსულტებისა და ინფარქტების აბსოლუტური უმრავლესობა.

**საღამოს მიღებულ წნევის დამარეგულირებელს ის ეფექტი აქვს, რომ დილით წნევის მატებას არ დაუშვებს. უამრავ ჩემს პაციენტს ვურჩიე, წნევის დამარეგულირებლების ძილის წინ მიღება. ვინც დამიჯერა, ყველა კმაყოფილი დარჩა!**



***— რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ წნევა დავირეგულიროთ?***

— გვახსოვდეს, რომ ექიმის მიერ დანიშნული და შერჩეული წნევის მარეგულირებელი საშუალებები არა შიგადაშიგ, არამედ **მუდმივად** უნდა მივიღოთ. ყოველი ერთი კილოგრამი წონის დაკლება, წნევას ერთი ერთეულით დაბლა სწევს! ანუ ჭარბწონიანებმა თუ 10 კილოგრამი დაიკლეს, წნევა 10 ერთეულით დაბლა დაიწევს! **დაივიწყეთ მარილი!** მარილში შედის ნატრიუმი, რომელიც ორგანიზმში წყალს აკავებს და ხელს უწობს არტერიული წნევის ზრდას. მივეჩვიოთ უმარილო კერძების მიღებას, რადგან საკვები პროდუქტები, როგორც წესი, თავად შეიცავენ ფარულ მარილებს, რომლებიც სრულიად საკმარისია ორგანიზმის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. **წესად**

## კვირგვინოსნები



**ლაშა გურული**
*პარიზის 2024 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი*

დედა სულ მეუბნებოდა — **აი, მოვა დრო, როცა შენთან ბავშვები ფოტოებს გადაიღებენ და ავტოგრაფს გამოგართმევენო.** ამაზე ხშირად ვსაუბრობდით. თითქოს, ამ ყველაფერს წინასწარ ვხედავდით. **24 წლისას მაგრძნობინეს, რომ უკვე დიდი ვიყავი და აზრი აღარ ჰქონდა ჩემს კარიერას.** ზუსტად ამის შემდეგ დავდე საუკეთესო შედეგები.

„თბილისელები“



**სოფო მაისურაძე-პეტრიაშვილი**
*ოლიმპიური ჩემპიონის გენო პეტრიაშვილის დედა*

**გენო** ისეთი კეთილია, ვერც აღგიწერთ. **ყველას გამოხედვას ითვალისწინებს, არავინ უნდა იყოს მოწყენილი ოჯახში თუ სხვაგან, სადაც ის არის.** საოცრად კაცთმოყვარეა. **ასეც უნდა იყოს ქრისტიანი,** აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება?

„სარკე“



**ვილი სანიოლი**
*საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი*

**საქართველოში ჩამოსვლა არასდროს მინანია!** ქართველებმა ბევრჯერ დაამტკიცეთ, რომ **შეგიძლიათ მარცხის შემდეგ ფეხზე წამოდგომა!**

„კვირის პალიტრა“



**გიორგი ქოჩორაშვილი**
*საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წევრი*

ბავშვობაში რომ ეთქვათ — **ეროვნულ ნაკრებში გოლებს გაიტანო,** ვერ დავიჯერებდი.

„აიპრესი“



**ზურა მანჯავიძე**
*მომღერალი*

როგორც მტერი, საშიში ვარ. **თუ ვინმეს გადავეკიდე,** მერე რთულად მიბრუნდება გული.

„თბილისელები“

# „ძლიერი ტაქიკარდიის დროს, როცა პულსი 150 ერთეულსაც კი აღწევს და თუ ასე გაგრძელდა, ინფარქტი ან ინსულტი გარანტირებულად დადგება, თვალები უნდა დავხუჭოთ და თვალის კაკლებზე 20 წამის განმავლობაში თითები ძლიერად დავაჭიროთ!“




**შემოვიდოთ, კვირაში თუნდაც ხუთჯერ, ოცდაათი წუთის განმავლობაში სწრაფი ნაბიჯებით სიარული** (წამში ორი ნაბიჯი). მექანიკური დატვირთვისას გამოიყოფა ნივთიერებები, რომლებიც სისხლძარღვებს აფართოებენ, რათა კუნთებთან ბევრი სისხლი მივიდეს.

ვისაც წნევა აწუხებს, აუცილებლად მიიღოს **ნედლი ჭარხალი ან მისი წვენი,** დღეში 100 გრამი სრულიად საკმარისია! საქმე ის გახლავთ, რომ ჭარხალი შეიცავს აზოტის ოქსიდს, რომელიც სისხლძარღვების გაფართოებასა და წნევის დაწევას უწყობს ხელს! ცნობისათვის, სწორედ აზოტის ოქსიდი განაპირობებს „ვიაგრას“ ეფექტს.

**— ზემოხსენებულ ცხრილში პულსზეც არის მინიშნებები. რამდენი უნდა იყოს ჯანმრთელი ადამიანის პულსი?**

**— დღის განმავლობაში მოზარდებში გულისცემის სიხშირე 60-დან 100 ერთეულამდე უნდა მერყეობდეს; ასაკოვან ადამიანებში კი დასაშვებია, რომ ეს რიცხვი 50 ერთეულს არ აღემატებოდეს.** სპორტსმენებში, რომლებსაც ე.წ. სპორტული გული აქვთ, გულისცემის სიხშირე, როგორც წესი, დაბალია და 50-დან 60 ერთეულამდე მერყეობს. **თუ პულსი 100 ერთეულს გადააჭარბებს, ეს უკვე ტაქიკარდიაა, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიშია.**

**— დავუშვათ, პულსი აგვიჩქარდა, ანუ სახეზეა კლასიკური ტაქიკარდია და ხელთ არანაირი მედიკამენტი არ გვაქვს, ასეთ ვითარებაში თავს როგორ უნდა ვუშველოთ?**

— ასეთ დროს უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირად:

1. გავჩერდეთ, დავითვალოთ სამამდე და ღრმად ჩავისუნთქოთ;
2. დავითვალოთ სამამდე და სუნთქვა შევიკავოთ;
3. დავითვალოთ სამამდე და ძლიერად ამოვისუნთქოთ.

ამ მარტივი პროცედურით ცდომილი ნერვი აქტიურდება და გულისცემა ნორმაში მოდის. **ძლიერი ტაქიკარდიის დროს, როცა პულსი 150 ერთეულსაც კი აღწევს და თუ ასე გაგრძელდა, ინფარქტი ან ინსულტი გარანტირებულად დადგება, თვალები უნდა დავხუჭოთ და თვალის კაკლებზე 20 წამის განმავლობაში თითები ძლიერად დავაჭიროთ.** ამ მეთოდს **„აშნერის მეთოდი“** ეწოდება. ვისაც გული აწუხებს, ამის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს!

ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ამ მეთოდის გამოყენებით პაციენტს ინფარქტი და ინსულტი თავიდან აუცილებია. საერთოდ, გულის ფრიალი, გულის ძიგძიგი, გულის ფეთქვა, გულის ამოვარდნა, ძირითადად, სწორედ ტაქიკარდიაზე მიგვანიშნებს. გვახსოვდეს, რომ მოსვენებულ და მშვიდ მდგომარეობაში ჯანმრთელი ადამიანი თავის გულისცემას არ უნდა გრძნობდეს და გულის ფეთქვის ხმა არ უნდა ესმოდეს! თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ საქმე გვაქვს გულის სერიოზულ პათოლოგიასთან და სასწრაფოდ უნდა მივმართოთ ექიმს!

## არტერიული წნევის ნორმები ადამიანის ასაკის მიხედვით

| ასაკი | მინიმუმი | ნორმა | მაქსიმუმი |
|---|---|---|---|
| 1-12 თვე | 75/50 | 90/60 | 110/75 |
| 1-5 წელი | 80/55 | 95/65 | 110/79 |
| 6-13 წელი | 90/60 | 105/70 | 115/80 |
| 14-19 წელი | 105/73 | 117/77 | 120/81 |
| 20-24 წელი | 108/75 | 120/79 | 132/83 |
| 25-29 წელი | 109/76 | 121/80 | 133/84 |
| 30-34 წელი | 110/77 | 122/81 | 134/85 |
| 35-39 წელი | 111/78 | 123/82 | 135/86 |
| 40-44 წელი | 112/79 | 125/83 | 137/87 |
| 45-49 წელი | 115/80 | 127/84 | 139/88 |
| 50-54 წელი | 116/81 | 129/85 | 142/89 |
| 55-59 წელი | 118/82 | 131/86 | 144/90 |
| 60-64 წელი | 121/83 | 134/87 | 147/91 |

**— მაინც როგორ იმოქმედა „კოვიდ-19“-მა არტერიულ წნევასა და გულზე?**

— ადრე მიაჩნდათ, რომ „კოვიდ-19“ მხოლოდ ფილტვის ქსოვილს აზიანებდა და მრავალრიცხოვანი თანმხლები გართულებები მხოლოდ ძლიერი ანთებითი პროცესების გავლენის შედეგი იყო. ახლა უკვე ზუსტად დადგენილია, რომ კორონავირუსმა ადამიანის ორგანიზმის, პრაქტიკულად, ყველა ორგანო დააზიანა და ფილტვების შემდეგ განსაკუთრებით ეს ეხება გულს. უფრო მეტიც, იმ ადამიანების 33 პროცენტს, რომლებსაც გული და წნევა საერთოდ არ აწუხებდათ, „კოვიდ-19“-ის მსუბუქი ფორმის გადატანის შემდეგაც კი გულზეც და წნევაზეც სერიოზული გართულებები აღენიშნებათ. ეს პრობლემები კოვიდის გადატანიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ დაიწყო.

**— მაინც რა ჩივილებზე იყო საუბარი?**

— გულში არჩევენ მიოკარდს, ანუ გულის კუნთს, პერიკარდს, ანუ გულის ჩანთას, რომელშიც გულია გახვეული და ენდოკარდს, ანუ გულის შიდა გარსს. გულის ქსოვილი ვირუსების, ბაქტერიებისა და სოკოების ზემოქმედების შედეგად ძალიან ადვილად ზიანდება და, შესაბამისად, ვითარდება **მიოკარდიტი** (გულის კუნთის ანთება), **პერიკარდიტი** (გულის გარეთა გარსის ანთება) და **ენდოკარდიტი** (გულის შიდა გარსის ანთება). ვაშინგტონის უნივერსიტეტის სენტ-ლუისის სამედიცინო სკოლის კვლევების მიხედვით, „კოვიდ-19“-ის გამომწვევი ვირუსი აღწევდა გულის კუნთის უჯრედებში და იწვევდა მათ სიკვდილს, რის შემდეგაც გულის შეკუმშვის რიტმი ირღვეოდა. უბედურება ამით არ მთავრდებოდა და **კორონავირუსი არამარტო გულის კუნთის უჯრედებს კლავდა, არამედ აზიანებდა კუნთოვან ქსოვილს, რომელიც პასუხისმგებელია გულის კუნთის შეკუმშვაზე.** კორონავირუსი ხშირად იწვევს მიოკარდიტს, ანუ გულის კუნთის ანთებას. მსუბუქი ფორმის დროს ეს გამოიხატება გულის არეში ჩხვლეტით, ქოშინით, დაღლილობის შეგრძნებით და ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპებით. ასეთი ადამიანები დაღლილობას ცუდად იტანენ. ასეთ დროს შესაძლოა, განვითარდეს **არითმია და ექსტრასისტოლია,** რაც ზრდის ინსულტის განვითარების რისკს. კორონავირუსი განსაკუთრებით სახიფათოა სპორტსმენებისთვის!

ბევრმა სპორტსმენმა, რომელმაც კორონა ადვილად გადაიტანა, ადრიანად დაიწყო ვარჯიში და დატვირთვა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ასეთ სპორტსმენთა უმრავლესობას გულის კუნთში ნაწიბურები აღმოაჩნდა, რაც გადატანილი მიკროინფარქტის შედეგია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ჯემალ ბაღაშვილი**
*მუსიკოსი*



ხვალ და ზეგ სამღვდელოებაში სხვა თაობა მოვა — **რწმენაში გაზრდილი ადამიანები, რომლებსაც კომუნისტური რეჟიმი ნაკლებად შეეხოთ.** მათი ძალა სხვა იქნება. ამიტომ **ნუ განვიკითხავთ იმ ხალხს, ვინც ჯოჯოხეთური 70 წელი გამოიარა.** ამაში იგულისხმებიან როგორც სასულიერო პირები, ასევე მრევლი.

„სარკე“

**გიორგი ძოწენიძე**
*მომღერალი*



ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, **ადამიანმა შეინარჩუნოს უბრალოება.** რასაც უნდა მიაღწიოს ცხოვრებაში, **უნდა დარჩეს უბრალო ადამიანად. არაფრით არ უნდა იყოს ამპარტავანი და ტრაბახა.** ამ ღირებულებით გაიზრდებიან ჩემი შვილებიც.

„სარკე“

**ნინო მუმლაძე**
*მსახიობი*



ჩემს მაგალითზე მივხვდი, რომ **ასაკი ძალიან პირობითი რამეა.** ასაკი არის შენი ცხოვრებისეული გამოცდილება, პლუს რამდენიმე ნაოჭი სახეზე. **21-ე საუკუნეში ამ ნაოჭების გასწორებაც არ არის პრობლემა** და გამოდის, რომ მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილება რჩება.

„სარკე“

**თამო ვაშაყმაძე**
*ტელეწამყვანი*



თამუნა იყო გოგონა, რომელიც **არასდროს იცვამდა დეკოლტეს, სულ გრძელი კაბით დადიოდა.** სახლიდან რომ წამოვედი, ვთქვი, მარტოც შევძლებ პიროვნებად ჩამოყალიბებას-მეთქი. **მაშინ 17 წლის ვხდებოდი და ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა.** პირველ რიგში, სამსახური უნდა დამეწყო. **სახლიდან მხოლოდ მედავითნის წიგნებითა და სამოსით წამოვედი, სხვა არაფერი გამაჩნდა.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: „შუა ცა“ ჩვენს პირად ჰოროსკოპში

*— პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ რომელ ზოდიაქოს ნიშანში განლაგებისას ძალუძს ადამიანს დაუმუშავებელი ინფორმაციის შეგროვება და მისგან რაიმე ღირებულის შექმნა? ვისი მოწოდებაა პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკა? რა შემთხვევაში აქვს ადამიანს უნარი, სხვათა განწყობა-ემოციები ამოიცნოს და ვის ინტერესს წარმოადგენს ქველმოქმედება, ისტორია, თერაპია, პედიატრია თუ ასტროლოგია? ვინ გვევლინება ხშირად თავისზე სუსტების დამცველად და საუკეთესოა ისეთ თანამდებობაზე, როგორიცაა პრეზიდენტობა, მინისტრობა, სამხედრო ან საზღვაო სტრუქტურებში მეთაურობა? ვინ გაართმევს საუკეთესოდ თავს კვლევით საქმიანობას, სამეცნიერო დარგებს, ბუღალტერიას და ვის გაუღიმებს ფორტუნა პოლიტიკის, ეკონომიკის, ბიზნესის ანდა რეკლამირების სფეროში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

## 16 – 22 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საპასუხისმგებლო დროა, ამიტომ ეცადეთ, გაბედულად იმოქმედოთ და არ მოდუნდეთ. სამუშაოს უმრავლესობას სახლის პირობებში შეასრულებთ. ოჯახში შეიძლება იმატოს სტუმრების რაოდენობამ და მხიარულმა თავყრილობებმა. დიდ სიამოვნებას მიიღებთ გამოფენების, კონცერტებისა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისგან, მითუმეტეს, თუ გვერდს საყვარელი ადამიანი ან მეუღლე დაგიმშვენებთ. შესაძლოა, შეიძინოთ ახალი ნივთები, დაიკანონოთ უძრავი ქონება.

**კურო** (21.04-20.05)
თუ წინასწარ დაფიქრდებით დეტალებზე და შეიმუშავებთ ზუსტ გეგმას, ბიზნესსა და პროფესიულ საქმიანობაში არ გაგიჭირდებათ მიზნის მიღწევა. წამოწყებებში მხარს დაგიჭერენ როგორც ახლობლები, ისე კოლეგები და პარტნიორები. მეტად წარმატებული აღმოჩნდება ჯგუფურად მუშაობა. კარგი დროა მნიშვნელოვანი შენაძენებისთვისაც. ენერგიული განწყობის შესანარჩუნებლად ეცადეთ, დასვენებისთვის გამოიყენოთ თავისუფალი დრო. ამ პერიოდში მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის.

**ტყუპი** (21.05-22.06)
გაიზრდება საქმეების რაოდენობა. ახალი ნაცნობობა და შეხვედრები გაგიხალისებთ ცხოვრებას. პარტნიორებთან ურთიერთობა სასიამოვნო და სასარგებლო იქნება. შესაძლოა, ოჯახის წევრებმა მონაწილეობა მიიღონ თქვენს გართობასა და შემოქმედებაში. სასიკეთოა მიწის ნაკვეთის შეძენა, ქონების გადაფორმება, სააგარაკო მშენებლობის დაწყება ან კეთილმოწყობა, რასაც გარკვეული ფინანსები შეეწირება. მოგზაურობისა და ახლო გადაადგილებებისას შესაძლოა რომანტიკული ნაცნობობა და თავგადასავლები.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
გაიზრდება გადაადგილებების, შეხვედრებისა და საქმიანი კორესპონდენციის რაოდენობა. კარგი დროა სამუშაო ადგილისა და საბუთების მოსაწესრიგებლად. საქმეები თქვენი გეგმის შესაბამისად წარმართეთ. გაზრდილი შრომისუნარიანობის მეშვეობით ადვილად დაძლევთ ნებისმიერ სირთულეებს. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებსა და ბავშვებს. მოიმატებს კეთილგანწყობა და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის სურვილი. ეს სასიკეთო დროა სასიყვარულო და რომანტიკული ურთიერთობებისათვის.

**ლომი** (23.07-23.08)
საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით, მაგრამ ზღვარს ნუ გადახვალთ დროსტარებაში და ნუ გაფლანგავთ ფულს. გაგიადვილდებათ ახალი კავშირების დამყარება და საჭირო ხალხის დაახლოება. მიუხედავად ზოგიერთი სირთულისა, ოპტიმიზმითა და პარტნიორების მხარდაჭერით ადრინდელი გეგმების განხორციელებას მოახერხებთ. სასიყვარულო გრძნობა გარეგნობის დახვეწის სურვილს გააღვიძებს. შესაძლოა, დაიწყოთ სახლის კეთილმოწყობა. კარგი დროა დასვენებისთვისაც.

**ქალწული** (24.08-23.09)
კარგი დროა ახალი საქმეებისთვის, პირადი წამოწყებებისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩანაფიქრის განსახორციელებლად ბევრი დრო დაგჭირდებათ, თუმცა, თუ არ აჰყვებით ემოციებს და შეინარჩუნებთ სიმშვიდეს, გარშემო მყოფების დახმარებასაც მიიღებთ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება კონკურენტებთან ჭიდილიც. ეცადეთ, მეტი სიამოვნება მიიღოთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისგან, რადგან დასვენებისთვის ბევრი დრო არ დაგრჩებათ.

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ რას განსაზღვრავს და როგორ ზემოქმედებას ახდენს „შუა ცის“ (Medium Coeli) ადამიანის პირად ჰოროსკოპში ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგება მის მოწოდებაზე, ინტერესზე, ნიჭზე, სურვილებსა და მისწრაფებებზე. ამ მიმართებით, ტყუპის ზოდიაქოში „შუა ცის“ ყოფნა რაზე მიგვითითებს?**

— **3. პირად ჰოროსკოპში ტყუპის ზოდიაქოში „შუა ცის“ განლაგება, როგორც წესი, მიგვითითებს ისეთ დარგებზე, როგორიცაა პუბლიცისტიკა, ჟურნალისტიკა, მწერლობა, რამეთუ ამ ადამიანს ძალუძს, გადაუმუშავებელი ინფორმაციის შეგროვებით რაიმე ფასეული შექმნას.** ასევე დადებით შედეგს მოუტანს მოდისა და ხელოვნების სფეროებში მოღვაწეობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ამგვარ ადამიანს ხიბლავს ისეთი სამუშაო, რომელიც მის აზრებში ქაოსს შემოიტანს და გონების სტიმულირებას მოახდენს. შესაბამისად, სასიკეთო იქნება ბიზნესის წარმოება, ვაჭრობა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სფეროში თუ პრესმდივნად მუშაობა.** ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ადამიანის მთავარ იარაღს კომუნიკაბელურობა წარმოადგენს, ამიტომ კონტაქტურობისა და სხვათა მიმართ კეთილგანწყობის დახმარებით, მას ბედი წყალობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, დიპლომატია, ტელე ან რადიოწამყვანობა, რეპორტიორის ამპლუა, მძღოლის პროფესია, იუმორი თუ კრიტიკა და სპორტის ის სახეობები, რომლებიც ყინულს უკავშირდება.

**4. პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ კირჩხიბის ზოდიაქოში განლაგებისას, ადამიანი მეტად მზრუნველია და, ძირითადად, ორიენტირებულია ოჯახზე. მისთვის კარიერულ აღმასვლაზე უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი გრძნობა-ემოციები.** ამის გათვალისწინებით, პროფესიის არჩევისას მხოლოდ საკუთარი შეგრძნებებით და ინტუიციაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას. ამგვარად, მის ჰოროსკოპში „შუა ცის“ განლაგებიდან გამომდინარე, **სასიკეთოა ისეთ სფეროში მოღვაწეობა, რომელიც უკავშირდება ქველმოქმედებას, სოციალურ თუ სადაზღვევო სამსახურს, ძიძაობას, სასტუმროს ბიზნესს, ისტორიას, სამედიცინო სფეროებიდან თერაპიასა და პედიატრიას, ასტროლოგიას და სხვა.** გარდა ამისა, ამგვარ ადამიანს აქვს იმის უნარი და ნიჭი, ამოიცნოს სხვათა განწყობა და ემოციები. შესაბამისად, მას შეუძლია თავისი კარიერა კვების სფეროსა და სარეკლამო საქმიანობას დაუკავშიროს.

**5. პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ ლომის ზოდიაქოს ნიშანში განლაგება კი მიგვითითებს ადამიანის მედიდურ გარეგნობასა თუ მბრძანებლურ ტონზე.** ამავდროულად, მისი თავდაჯერებულობა, მოდის, სტილის შეგრძნება, შინაგანი სითბო და ხელგაშლილობა განაპირობებს ნებისმიერ გარემოში ფართო სოციალურ კავშირებს და ამ პიროვნების მიმართ დიდ ყურადღებასა და პატივისცემას. ამიტომ ამგვარი ადამიანის თვისებებისა და ნიჭის გათვალისწინებით, **მისთვის სასიკეთო მოღვაწეობის სფეროებია პედაგოგიკა, დღესასწაულების ორგანიზება და მენეჯმენტი, ტელეჟურნალისტიკა, რეჟისორისა და მსახიობის ამპლუა, საიუველირო საქმე, მენეჯერობა და სხვა.** ნიშანდობლივია, რომ ამგვარ ადამიანს გამძაფრებული აქვს წარმატების მიღწევის, აღიარების, პოპულარობის, ლამაზად და მდიდრულად ცხოვრების მოთხოვნილება, ამიტომ იგი ხშირად გვევლინება თავისზე სუსტის მფარველად და დამცველად. ასეთი მონაცემების მქონე ადამიანი საუკეთესოდ გაართმევს თავს ისეთ თანამდებობაზე ყოფნას, როგორიც არის პრეზიდენტობა, მინისტრობა, სამხედრო თუ საზღვაო სტრუქტურებში მეთაურობა.

**6. პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ ქალწულის ზოდიაქოში განლაგებისას, ადამიანი არის მშრომელი და ყურადღებას უფრო მეტად დეტალებზე ამახვილებს. ამასთან, იგი საკმაოდ ჭკვიანი, გონებამახვილი, ეკონომიური და პრაქტიკულია,** ამიტომ მისი შესაფერისია **პედაგოგიური მოღვაწეობა, მეცნიერების დარგები, კვლევითი საქმიანობა, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა, ბუღალტერია,** ასევე იქნება შესანიშნავი **ბიბლიოთეკარი, მონაცემთა შემგროვებელი თუ ბიოგრაფი.** გარდა ამისა, ამგვარ ადამიანს სპორტი უყვარს და შეუძლია მწვრთნელის პროფესია აირჩიოს ანდა სპორტდარბაზში ინსტრუქტორის ამლუა მოირგოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას ძლიერი ნებისყოფა გააჩნია და შეუძლია საკუთარი ემოციების კონტროლი. იგი ასევე ადვილად ორიენტირდება გამოუვალი მდგომარეობისას. **ამგვარი მონაცემების ადამიანს ბედი წყალობს, აგრეთვე, ისეთ სფეროებსა თუ დარგებში როგორებიცაა ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, დიეტოლოგია, ქირურგია, მათემატიკა, ქიმია და ბიოლოგია.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 16 – 22 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
თავდაჯერებულობისა და მიზნის მიღწევის სურვილის მეშვეობით შეძლებთ ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნებას. თქვენი ინიციატივით დამყარებული ახალი კავშირები ძველი პრობლემებისგან გათავისუფლებაში დაგეხმარებათ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსური საქმეების წარმოებისას, რათა არ განიცადოთ დანაკარგი. მოერიდეთ დიდ შენაძენებს. ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილით შეძლებთ ოჯახის ყველა წევრის გაერთიანებას, მათ გახალისებასა და გაბედნიერებას.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
შემოქმედებითად იქნებით განწყობილი და შესაძლოა, ადვილად შეცვალოთ ცხოვრების ჩვეული წესი. არ გაგიჭირდებათ სწრაფი და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება. გამოიყენეთ ეს დღეები ახალი სტრატეგიის შესამუშავებლად და ცხოვრებაში დასანერგად. კარგი დროა სამეცნიერო საქმიანობისთვის და სხვათა საიდუმლოებების გასაგებად. ახალი რომანტიკული ურთიერთობა კი მხოლოდ თქვენს ფანტაზიაში პოვებს ადგილს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
კარგი დროა გარეგნობისა და ჯანმრთელობის მოსაწესრიგებლად, რამეთუ ამაზე იქნება დამოკიდებული საქმიანი კავშირების წარმატებით წარმართვა და ფინანსური მოგების მიღება. საზოგადოებრივი სამუშაო, ბევრი შეხვედრა და გადაადგილება დამღლელი, მაგრამ შედეგიანი აღმოჩნდება. ყველა გადაწყვეტილება დინჯად მიიღეთ და გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევები. მოგზაურობისას ან მივლინებაში გამგზავრებისას აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება საბუთებსა და ბილეთებს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თქვენ მეტად აქტიური და ქმედითუნარიანი გახდებით. მოიმატებს გადაადგილებებისა და შეხვედრების რიცხვიც. ახლობლების წრეში გაიზრდება თქვენი პოპულარობა. ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ეცადეთ, მეტად რაციონალურად ხარჯოთ ფული. კარგი იქნება, თუ თავისუფალ დროს სახლში გაატარებთ და ხშირად დაისვენებთ. ამგვარად ოჯახის წევრებთანაც უფრო ჰარმონიულ ურთიერთობას დაამყარებთ და თავადაც მეტად ისიამოვნებთ. კარგი დროა შორეული მოგზაურობისთვის.

**მერწყული** (20.01-18.02)
გაიზრდება შეხვედრებისა და მოლაპარაკებების რაოდენობა, მათ შორის, დამსაქმებლებთან, მაღალი თანამდებობის მქონე და ავტორიტეტულ ადამიანებთან. პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარების უნარზე იქნება დამოკიდებული თქვენი პროფესიული საქმიანობის წარმატება და წინსვლა. არაა გამორიცხული სამუშაო ადგილის ან სამუშაო პირობების შეცვლა. პირად ცხოვრებაში თავს მშვიდად და ჰარმონიულად იგრძნობთ. ეს დრო კარგია როგორც პირადი, ისე საქმიანი მოგზაურობისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
სიმშვიდეს და თავდაჯერებულობას შეგმატებთ ფინანსური სტაბილურობა და ახლობლების მხარდაჭერა. შემოსავლები გაიზრდება და მეტად დაუკავშირდება აქტიურ საქმიანობას. სირთულეებს შეგიქმნით საქმიან პარტნიორებთან შეუთანხმებელი მუშაობა ან ინფორმაციული შეფერხებები. ახალ ნაცნობობას კი შესაძლოა, მოჰყვეს ახალი სასიყვარულო ურთიერთობა. ქალაქგარეთ გასვლა, ბუნებასთან კავშირი და დასვენება დამატებით ენერგიებს შეგმატებთ.



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**17, 18, 19 და 21 სექტემბერი**
**3 სექტემბერი – ახალმთვარეობა, 18 სექტემბერი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება. პიკი – 06.37 საათზე.**

## 16 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.42 საათზე, ჩადის 18.08 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.44) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 17.30 საათზე, ჩადის 17 სექტემბერს 03.07 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 19.38 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 09.05 საათიდან 13.40 საათამდე. **ტენდენციები:** მოვლენების განვითარებას ყურადღება მიაქციეთ. კარგია ახალი საქმის დაწყება. ურთიერთობისას გულახდილობა გმართებთ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, შემოქმედებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სახლის მშენებლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ფოტოგრაფიისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, არომათერაპიისთვის, იურისტთან კონტაქტისთვის, სახლის მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ანალიზის ჩაბარება, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების, ალკოჰოლის მიღება, სესხის აღება-გაცემა, ახალი ფეხსაცმლის ჩაცმა, საიდუმლოდ საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, მხედველობა, ტერფები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, მარგალიტი, გიშერი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 17 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.44 საათზე, ჩადის 18.07 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 17.56 საათზე, ჩადის 18 სექტემბერს 04.27 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 19.45 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გაითვალისწინეთ, რომ დღეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება რთული იქნება და დიდხანს მოგიწევთ. დღეს ზედმეტად აქტიური ნუ იქნებით. საკუთარი ცხოვრებაც კრიტიკულად გაიაზრეთ. ახლობლებს და შვილებს მეტი დრო დაუთმეთ. კარგი დღეა ფეხით სიარულისა და ვარჯიშებისთვის, შემოქმედებისთვის, გარიგება-გაყიდვებისთვის, ქველმოქმედებისთვის. საჭმელ-სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ. არ არის სასურველი ანალიზის ჩაბარება, ექოსკოპია, ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა, სესხის აღება-გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.45 საათზე, ჩადის 18.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.26) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 18.20 საათაზე, ჩადის 19 სექტემბერს 05.47 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 19.52 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 06.37 საათზე. **მთვარის დაბნელება.** მე-3 ფაზა იწყება 06.37 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა. მაღალია კონფლიქტის, ტრავმების, ავარიების, ცდუნებების, შეცდომების, ცუდი აზრების, შიშების ალბათობა. ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ. საქმეები შეძლებისდაგვარად გადადეთ. არ არის სასურველი გადაწყვეტილების მიღება, საფინანსო ოპერაციები, საიდუმლოს გამხელა, წესების დარღვევა, ალკოჰოლისა და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ანალიზების ჩაბარება, ახალი ფეხსაცმლის ჩაცმა, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, გიშერი, წითელი იასპი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 19 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.46 საათზე, ჩადის 18.03 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 18.44 საათზე, ჩადის 20 სექტემბერს 07.07 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 19.59 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია გულმავიწყობის ალბათობა. ნუ გადაიღლებით და ნუ ინერვიულებთ. პროვოკაციებს მოერიდეთ. დაიოკეთ მიდრეკილება აგრესიულობისკენ, კამათისკენ, სულსწრაფობისკენ. თვალებს ნუ გადაღლით. ეფექტური იქნება თირკმლების, კანის, ყელის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა სპორტული ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, წესების დარღვევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 20 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 18.01 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.02) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 19.11 საათზე, ჩადის 21 სექტემბერს 08.28 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 20.08 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.40 საათიდან 13.04 საათამდე. **ტენდენციები:** მაღალია მოტყუების მცდელობა. საკუთარ ღირსება-ნაკლოვანებაში მეტად გაერკვევით. ეფექტურია თირკმლების, შარდსასქესო და ენდოკრინული სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიში. მოერიდეთ აგრესიულობას, განკითხვას, წესების დარღვევას. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის (დღის 13.00 საათიდან), ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების შესაძენად, ახალი ნაცნობობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ქმედება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, აქატი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 21 სექტემბერი, შაბათი

**მზე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 05.48 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 19.41 საათზე, ჩადის 22 სექტემბერს 09.49 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 20.20 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა! ურთიერთობისას მეტი ყურადღება და სითბო გამოავლინეთ. გზებზე მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოერიდეთ განკითხვას, ყვირილს, სიჯიუტის გამოვლენას. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ხელოვნების ნიმუშების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, სამშენებლო მასალის შესაძენად, ახალი ნაცნობობისათვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება, ორპირ ქარში ყოფნა. ეფექტურია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ყური, ცხვირი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 22 სექტემბერი , კვირა

**მზე** გადაინაცვლებს (16.00) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.49 საათზე, ჩადის 17.58 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.27) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 20.19 საათზე, ჩადის 23 სექტემბერს 11.08 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 20.40 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.15 საათიდან 14.25 საათამდე. **ტენდენციები:** მზის გადანაცვლება სასწორის ზოდიაქოში ადამიანებში გაამახვილებს დიპლომატიურობას, მშვიდობიანობისკენ, კომპრომისის დაშვებისკენ მიდრეკილებას, სილამაზის აღქმის უნარს, შემოქმედებით ნიჭს და ასევე მერყეობა-გაორებას, უყაირათობას, სულსწრაფობასაც. დღეს შესაძლოა, ურთიერთობისას გამოავლინოთ ხასიათცვალებადობა. ნებისმიერი ინფორმაცია შეამოწმეთ. არ არის სასურველი გარისკვა, უჰაერო სივრცეში ყოფნა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საქმიანი შეხვედრა-მიმოწერისთვის, რეკლამა-აუქციონებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები, ხელები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი. საღამოს — ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



**21 სექტემბერი – შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ღმრთისმშობლობა**

✝ **16 სექტემბერი. ორშაბათი.** მღვდელმოწამისა ანთიმოზისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამეთა: თეოფილე დიაკონისა, დოროთესი, მარდონიოსისა, მიგდონიოსისა, პეტრესი, ინდისისა, გორგონიოსისა, ზენონისა, დომნა ქალწულისა და ექვთიმესი და სხვათა; ღირსისა თეოქტისტესი, ღირსი ეფთვიმე დიდის თანამმარხველისა; წმიდისა ფებე დედათდიაკონისა; მოწამისა ბასილისა ნიკომიდიელისა; მღვდელმოწამისა არისტიონისა, ალექსანდრიელი ეპისკოპოსისა; იოანიკე II სერბელი პატრიარქისა.

✝ **17 სექტემბერი. სამშაბათი. ღირსისა სვიმეონისა, დავითგარეჯის ლავრის წინამძღვრისა, წინასწარმეტყველისა და სასწაულმოქმედისა;** მღვდელმოწამისა ბაბილასი, დიდისა ანტიოქიის ეპისკოპოსისა და მისთანა სამთა ყრმათა: ურბანისა, პრილიდიანესი, ეპოლონისა და დედისა მათისა ქრისტოდულასი; წინასწარმეტყველისა მოსესი, ღმრთისმხილველისა; მოწამისა ერმიონიასი, 70-თაგან მოციქულ ფილიპე დიაკონის ასულისა; მოწამისა ბაბილა ნიკომიდიელისა და მისთანა 84-თა ყრმათა; მოწამეთა: თეოდორესი, მიანესი, იულიანესი და კიონისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა იოასაფისა, ბელგოროდელი ეპისკოპოსისა; იოაკიმესი, ალექსანდრიელი პატრიარქისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „მაყვალი შეუწველი“.**

✝ **18 სექტემბერი. ოთხშაბათი. წინასწარმეტყველისა ზაქარიასი და მართლისა ელისაბედისა — წმიდა იოანე ნათლისმცემლის მშობელთა;** მოწამისა რაისასი; მოწამეთა იუვენტინე და მაქსიმე მხედართა; მოწამეთა: ურბანისა, თეოდორესი, მედიმნესი და მათთანა 77-თა სასულიერო პირთა, ნიკომიდიას წამებულთა; მოწამისა აბდისი სპარსეთს; წმიდისა მოწამისა პეტრე ათირელისა.

✝ **19 სექტემბერი. ხუთშაბათი. ხსენება სასწაულისა ქმნილისა მთავარანგელოზისა მიქაელისა მიერ კოლასეს შინა;** მოწამეთა: ევდოქსისი, ზენონისი და მაკარისი; ღირსისა არქიპოსი; მოწამეთა რომილესი და მისთანა სხვათა მრავალთა; მღვდელმოწამისა კირილესი, ჰორტინელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: კვირიაკესი, ფავსტო ხუცისა, აბიბოს დიაკონისა და მათთანა 11-თა მოწამეთა; ღირსისა დავითისა.

✝ **20 სექტემბერი. პარასკევი. წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა. მოწამისა სოზონისა;** მოციქულთა ებოდისა და ონისიფორესი, 70-თაგანთა; მოწამისა ევფსიქი კესარია კაბადოკიელისა; ღირსისა ლუკასი.

✝ **21 სექტემბერი. შაბათი. შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ღმრთისმშობლობა. დიდუბობა. გელათობა. შუამთობა. ბეთანიობა.** წმიდათა აღმსარებელთა იოანესი და გიორგი-იოანესი.

✝ **22 სექტემბერი. კვირა. შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა. წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმე და ანასი.** მოწამისა სევერიანესი; ღირსისა თეოფანე მმარხველისა და აღმსარებელისა; მოწამეთა ხარიტონისა და სტრატორესი; ნეტარისა ნიკიტა კონსტანტინოპოლელისა; პოვნა და აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა თეოდოსისა, ჩერნიგოველი მთავარეპისკოპოსისა; ხსენება მესამე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.




მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მუავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,
მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვერცხლი; 7. პარმა; 12. სომელიე; 13. მალტა; 14. ნიმფები; 15. კოპრა; 16. კარფური; 17. რუპია; 18. ეფემერა; 19. ნერბი; 20. ვლადი; 21. ლიოსა; 22. კილიტა; 25. ზვარი; 26. ყიყინი; 29. სტარი; 30. ოპერაცია; 31. ბიტი; 33. მირანდა; 34. დიმი; 36. ატესტატი; 37. დარკი; 38. რონდელი; 39. ენა; 41. მიმი; 43. სოკერი; 44. სირჩა; 46. ლირიკა; 49. ლიონი; 50. ინდის; 52. რაზდანი; 53. მოტელი; 54. ცვარი; 55. ბიურო; 57. დენტინი; 58. ტურისტი; 59. აპისი; 60. სტეკი.

შვეულად: 1. ვანდეა; 2. რამზესი; 3. ხმელეთი; 4. ისიკავა; 5. ამორძალი; 6. ალბუმინი; 7. პეკინეზი; 8. რეპორტაჟი; 9. ამარილისი; 10. კლეპტომანი; 11. კარაბადინი; 22. კაპიტანი; 23. ლარუსი; 24. ტიციანი; 26. ყამირი; 27. ყორანი; 28. ნანსენი; 31. ბადიში; 32. ტერასა; 34. დისკანტი; 35. მკერდი; 39. ესტრადა; 40. არიზონა; 41. მალარია; 42. მილიცია; 45. ფორანი; 46. ლიმიტი; 47. რიტორი; 48. კოლოსი; 51. სკოჩი; 55. ბის; 56. უბე.

**სენაკითარაზოგანედილიმონიავაზარიმესამეკარე**
**კაბარევერსიამატისიგარაჟირაფინადიმისიარული**

| ქალაქი სამეგრელოში | ვატერპასი | მანძილი ეკვადორიდან პოლუსისაკენ | ციტრუსი | მტაცებელი ცხოველი | ფულის მისაღები თამასუქი | გოლკიპერი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მდინარე პარიზში | საკრავი | აქა-იქ, ანუ | ტრიბუნის თანაშემწე ძველ რომში | ქართველი მსახიობი მამაკაცი | ჰემინგუეი „ვის უხმობს ...“ | სამის რიგითი ნომერი | თმის ვარცხნილობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|



ჰორიზონტალურად: 1. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 7. ქალაქი იტალიაში; 12. ღვინის დეგუსტატორი; 13. ჯუჯა სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში; 14. მეორეხარისხოვანი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ქოქოსის კაკლის გული; 16. სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში; 17. ინდოეთის ფული; 18. ფრთოსანი მწერი, ე.წ. მედლეურა; 19. დედალი ცხვარი; 20. ფრანგი მსახიობი ქალი („ჯადოქარი“); 21. ამერიკელი რეჟისორი; 22. ფოლგა; 25. დიდი ვენახი; 26. ბაყაყის ხმიანობა; 29. „ბითლზის“ წევრი; 30. ქირურგიული ჩარევა მკურნალობის მიზნით; 31. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 33. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 34. სოფელი ბაღდათის რაიონში; 36. სკოლის დამთავრების საბუთი; 37. ფრანგი გმირი ქალი ჟანა ...; 38. ქართველი რეჟისორი; 39. მეტყველების ორგანო; 41. პანტომიმის მსახიობი; 43. ფეხბურთის სახელი ამერიკის კონტინენტზე; 44. ერთგვარი სასმისი; 46. ლიტერატურის სახეობა; 49. ქალაქი საფრანგეთში; 50. ფინიკი, იგივე ... ხურმა; 52. სტადიონი ერევანში; 53. სასტუმრო ავტომობილისტებისათვის; 54. ნამი; 55. ერთგვარი საწერი მაგიდა; 57. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 58. ტურიზმის მიმდევარი; 59. ღვთაებრივი ხარი; 60. ცხენოსნის წკეპლა.

ვერტიკალურად: 1. კონტრრევოლუციის კერა; 2. ეგვიპტის ფარაონი; 3. მიწა, ზღვის საპირისპიროდ; 4. იაპონელი მწერალი; 5. მითიური მებრძოლი ქალი; 6. წყალში ხსნადი უმარტივესი ცილა; 7. ძაღლის ჯიში; 8. დღის განმავლობაში მომხდარი ამბების გამოქვეყნება პრესის, ტელევიზიის საშუალებით; 9. სამხრეთაფრიკული ბალახოვანი მცენარე; 10. ადამიანი, რომელსაც აქვს გადაულახავი ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 11. ძველი სამკურნალო წიგნი; 22. უფროსი ლეიტენანტის ჩინი არმიაში; 23. ფრანგული ენციკლოპედიის გამომცემლობა; 24. იტალიელი ფერმწერი; 26. დაუმუშავებელი, ნასვენი მიწა; 27. შავი ფრინველი; 28. ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი; 31. შვილიშვილი; 32. საცხოვრებელ სახლს მიშენებული აივანი; 34. ბავშვის მაღალი ხმა; 35. ტანის ზედა წინა ნაწილი; 39. სცენა მსახიობების, მუსიკოსების გამოსასვლელად მაყურებელთა წინაშე; 40. აშშ-ის შტატი; 41. ციებ-ცხელება; 42. სამართალდამცავი ორგანო; 45. ბზის საზიდარი, ურემი (საბა); 46. ზღვრული ნორმა; 47. მჭევრმეტყველი; 48. უზარმაზარი ქანდაკება, კოლონა; 51. შოტლანდიური ვისკი; 55. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 56. ზღვის პატარა ყურე.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ფილმი მინელის მონაწილეობით | ამბის რომელიმე ახსნა | ფრანგი ფერმწერი | რიაზანოვის ფილმი | წმენდილი შაქარი | საგანგებო დავალება | თვლემა |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალის სამოსი | მედლის უკანა მხარე | იტალიელი ვიოლინოს ოსტატი | თამბაქოს ნაწარმი | გრძელკისერა ცხოველი | წვეულება | გადაადგილება ფეხით |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

*დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს*

დამოუკიდებელი და ზვიადისტური

**ასავალ დასავალი**

2024 წლის 16 – 22 სექტემბერი №39 (1557)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეცნიერებისტიკა "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

